ბელადი

# ბელადი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 იანვარი **ხუთშაბათი** 2011

№020 (13317) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადონა

## თასზეც სუპერკლასიკო?

## ორი მილანური ნახევარფინალში

## ბაიერნიც თასისკენ მიდის




## ლივერპული მოცოცხლდა

## რაფა-სლემი არ იქნება

15



## რა საოცრად წავიდა...

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** მეორედ დაასრულა კარიერა. 28 წლის ბელგიელის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ ჟუსტინმა ბოლო რამდენიმე კვირაა იდაყვის ძველი ტრავმა გაიმიზეზა. ეს დაზიანება ანენმა 2010 წლის უიმბლდონზე მიიღო.

ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ბოლო დროს მტკივანი ხელით თამაშობდა ტურნირებზე. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ეს ტრავმა ანენს აღარ მისცემს უმაღლეს დონეზე თამაშის საშუალებას.

პირველად ჟუსტინმა კარიერის დასრულების შესახებ 2008 წლის მაისში გამოაცხადა. მაშინ ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო. 2010 წელს ბელგიელი დაბრუნდა, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა და WTA-ის ტურის ორი ტურნირი მოიგო. წელს ავსტრალიის ღიაზე ანენმა მესამე წრეში წააგო რუს **სვეტლანა კუზნეცოვასთან**.

## ერთი დღე პარსამდე

## გიორგი შერმადინი

11

● კავკასიური ფეხბურთის წრე

# გამარჯობა, სალამ, ბარევ ძეს

## კარგია, მაგრამ სად არის: იდეამ, რომელიც იყო-არ იყო, სალაპარაკო გააჩინა

სომხურ ინტერნეტგაზეთ "რეგნიუსში" **ზვიად სიჭინავას** ინტერვიუ გამოქვეყნდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა: *"უეფა ჩვენ ხშირად გვთავაზობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჩემპიონატის გამართვას. ამის თაობაზე არაერთხელ ველაპარაკე ჩემს სომეხ და აზერბაიჯანელ მეგობრებს და კოლეგებს და ორივემ მითხრა, რომ ეს შეუძლებელია. იმედია, ადრე თუ გვიან იდეას მხარს მაინც დაუჭერენ და ჩვენი ტურნირი, "სამხრეთ კავკასიის თასი", საუკეთესო შეჯიბრება იქნება".*

კომენტარისთვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას მივმართეთ. მისი პასუხი ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილმა** გვაცნობა. თურმე, სიჭინავა სომეხ ჟურნალისტს ზაფხულში ელაპარაკა, თუმცა, უეფას მსგავსი ტურნირის ჩატარება არც შემოუთავაზებია, მე კი "სამხრეთ კავკასიის თასზე" სიტყვაც არ დამიძრავსო. ეტყობა, თვეების შემდეგ დაწერილ ინტერვიუში გაუგებრობა მოხდა, მაგრამ მან თავისი ეფექტი მოახდინა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვებმა სომხური და აზერბაიჯანული მედია და გულშემატკივარი ააფორიაქა და დიდი ყურადღებაც დაიმსახურა. ფორუმზე აქტიურად განიხილავენ, რამდენად სასურველია ტურნირი, თორემ დღეისთვის "სამხრეთ კავკასიის თასის" ჩატარება, ცხადია, არარეალურია.

ზვიად სიჭინავა

იდეამ განსაკუთრებული დაინტერესება აზერბაიჯანში ჰპოვა, რადგან "თანამეგობრობის თასზე" გამარჯვების შემდეგ ჩვენი მეზობლები მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასიის ფეხბურთში პირველი სიტყვა ეთქმით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა "აზერისპორტის" ფორუმი:

- „კავკასიის თასის" იდეა მომხიბლავი იქნებოდა. სუსტი გუნდები არც "ტერეკი", ნალჩიკის "სპარტაკი", მახაჩყალის "ანჟი" და "ალანია" არიან.

- უფრო შთამბეჭდავი „კავკასიის თასის" საკლუბო ტურნირად ჩატარება და მასში დაღესტნის, ჩეჩნეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და სხვა კავკასიური ქვეყნების კლუბების მიწვევა იქნება.

- არა, შეუძლებელია. ეს ყველაზე კონფლიქტური ჩემპიონატი იქნება.

- სისულელეა! ქვეყნისთვის, რომელმაც "თანამეგობრობის თასი" სამჯერ მოიპოვა, უმნიშვნელო ტურნირი იქნება და თამაში მოგვიწევს არა ხელოვნურ საფარზე, არამედ ასფალტზე.

- წარმოიდგინეთ ასეთი ჯგუფები: "ა" ჯგუფი – "ნეფთჩი", თბილისის "დინამო", "ტერეკი", "არარატი"; "ბ" ჯგუფი – "ყარაბახი", "სიონი", "ანჟი", "პიუნიკი". ვფიქრობ, კარგი თამაშები იქნებოდა.

ცხადია, იდეა საინტერესოა და როგორც ფინანსურად, ასევე სატელევიზიო და სპორტული თვალსაზრისით ტურნირს დიდი პოტენციალი გააჩნია. სხვა საქმეა, რომ დღეს მისი გამართვა შეუძლებელი ჩანს. სხვათა შორის, მსგავს იდეაზე 10 წლის წინ ცნობილი კომენტატორი **ნუგზარ ჯუღელი** ლაპარაკობდა. მაშინ სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებისგან ასეთი რამ მოვისმინეთ – მშვენიერი აზრია, მაგრამ სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება მას შეუძლებელს ხდის. მათ ტურნირზე თანხმობა რომც გამოთქვან, ცხადია, მატჩები თბილისში უნდა გაიმართოს, რაც სარისკო ამბავი იქნება. ასეთი შეხვედრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველო მზად არ არის.

"სამხეთ კავკასიის თასის" ჩატარებას, ბუნებრივია, გარკვეული წინაპირობა გააჩნია. მსგავსი რეგიონული ტურნირების ჩატარების იდეა G14-ის დაარსების შემდეგ გაჩნდა. ევროპული ფეხბურთის გრანდებმა ("ბაიერნმა", "რეალმა", "ბარსელონამ", "მანჩესტერმა", "ლივერპულმა" და სხვებმა) სუპერლიგის ჩამოყალიბება შემოსავლების გაზრდისა და ღარიბებისგან გამიჯვნის მიზნით გადაწყვიტეს. ღარიბებმა კი რეგიონულ ტურნირებზე დაიწყეს ლაპარაკი. ასე გაჩნდა ჩრდილოატლანტიკური ლიგის (ჰოლანდია, ბელგია, დანია, ირლანდია), "როიალ კაპისა" (სკანდინავიის ქვეყნებში) და "ბალტიის თასის" (ბალტიისპირეთის ქვეყნებში) პროექტები.

პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს იდეები და პროექტები საფეხბურთო "ტვინებში" არ დაბადებულა და მის უკან ერთიანი ევროპის არქიტექტორები დგანან, მიზანი კი დაახლოებით ასეთიაო - ერთიანი ევროპული ლიგა, რომელიც გერმანული მოდელით ჩატარდება: პირველ და მეორე ლიგებში საუკეთესოები ითამაშებენ, დანარჩენები - რეგიონულ ტურნირებში. ეს წლების წინ **აკაკი ასათიანმა** თქვა და ლოგიკას მოკლებული აზრი არ არის, რადგან რეალურად, G14-ის დაარსების იდეა სწორედ ერთიანი ევროპული ლიგის შექმნას ისახავდა მიზნად, რომელშიც კონტინენტისა და დიდი ბრიტანეთის საუკეთესო კლუბები ითამაშებდნენ. მართალია, უეფა იდეას საჯაროდ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ რეალურად ლენარტ იუპანსონისა და გერჰარდ აიგნერის დროს ჩემპიონთა ლიგის მომგებიან პროექტში G14-ის იდეები ილანდებოდა. თუ ჩემპიონთა ლიგაა, რატომ მონაწილეობენ წამყვანი ქვეყნების მეორე-მესამე და მეოთხეადგილოსანი კლუბები? ეს ხომ ტურნირის სახელს ეწინააღმდეგება?

უეფას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მიშელ პლატინიმ გადაწყვიტა, ჩემპიონთა ლიგაში ღარიბი ქვეყნების ჩემპიონების მოხვედრა მაინც გაეადვილებინა, მაგრამ ხალხოსნური იდეების განხორციელებას სერიოზული ძალა, მდიდარი ევროპული კლუბები და მათი უმძლავრესი სპონსორები ეწინააღმდეგებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი. ზესტაფონი

# როგორია? მაგარია!

## ზესტაფონელებმა კამპ ნოუ ნახეს

"ზესტაფონი" უკვე ესპანეთშია, სადაც სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადების მთავარ ეტაპს შეუდგა. საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერებმა ქალაქ ესტეპონამდე საკმაოდ გრძელი გზა გაიარეს – თბილისიდან ჯერ მიუნხენში ჩაფრინდნენ, ხოლო შემდეგ ბარსელონის გავლით მალაგაში გადაფრინდნენ, საიდანაც დანიშნულების ადგილზე ავტობუსით ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავიდნენ.

ბარსელონაში "ზესტაფონის" წევრებს ექვსსაათიანი "ფანჯარა" ჰქონდათ და დრო უქმად არ დაუკარგავთ – ულამაზესი ქალაქიც მოინახულეს და განუმეორებელ "კამპ ნოუსაც" ეწვივნენ.

ესტეპონაში ქართველები სასტუმრო "ესტეპონა პალასში" დაბინავდნენ. იქვე არიან შვეიცარიული "სიონი" და მიმდინარე ევროპის ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა - პოლონური "ლეხი". "ზესტაფონმა" პირველი ესპანური ვარჯიში გუშინ ჩაატარა.

შეგახსენებთ, ფეროელები პირენეებზე 24 ფეხბურთელით გაემგზავრნენ, რომელთა შორისაა გუნდის ხორვატი ახალწვეული **გორან გრუიცა**.

2-8 თებერვალს "ზესტაფონი" "მარბელას თასზე" იასპარეზებს და პოტენციურ მეტოქეებად ისეთი ძლიერი კლუბები ეყოლება, როგორებიც სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი", კიევის "დინამო", დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" და პრაღის "სპარტა" არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი. დინამო

# დინამომ ნალჩიკთან წააგო

გუშინ ანთალიაში თბილისის "დინამომ" პირველი საკონტროლო შეხვედრა რუსეთის პრემიერლიგელ ნალჩიკის "სპარტაკთან" გამართა.

ყაბარდოელებმა ანგარიში მე-9 წუთზე გახსნეს. "დინამოს" პრესსამსახურის ინფორმაციით, სტანდარტულის შესრულებისას საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **ნაზირ კოჟაროვმა** თავით გაიტანა.

"დინამოში" ითამაშეს გასინჯვაზე მყოფმა 24 წლის სერბმა ნახევარმცველმა **სემირ ჰაჯიბულიჩმა** (მისი ბოლო გუნდი ალბანური "ბესა" იყო) და ასევე 21 წლის უკრაინელმა ნახევარმცველმა **სერგეი კოლესნიკმა**. კოლესნიკმა 24 დეკემბერს უკრაინის პირველი ლიგის ლიდერ "ალექსანდრიას" შემადგენლობაში საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა.

**დინამო-სპარტაკი 0:1**

**გოლი: 0:1 კოჟაროვი (9).**

**დინამო: ლორია - ციმაკურიძე, თომაშვილი, კვარაცხელია, მაროვიჩი - კვეკვესკირი (72. ედნილსონი), ფირცხალავა (75. თექთურმანიძე) - კახელიშვილი (50. რობერტინიო), კოშკაძე (50. კოლესნიკი), ჰაჯიბულიჩი - ტატანაშვილი.**

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# კვირკველია პანიონიოსელია

## თათრეთიდან საბერძნეთში წელიწადნახევრით

**დავით კვირკველია** გუშინ "პანიონიოსის" ფეხბურთელი გახდა. ქართველთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ გუშინ ოფიციალური ინფორმაცია ბერძნული კლუბის პრესსამსახურმა გაავრცელა.

*"დავით კვირკველიამ სამედიცინო შემოწმება გაიარა და დღეს "პანიონიოსთან" კონტრაქტი წელიწადნახევრით გაფორმა"*, - იუწყება კლუბის პრესსამსახური.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის კვირკველიას ყაზანის "რუბინთან" კონტრაქტი დაუსრულდა და საბერძნეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სამზადისი. სამტრედია

# ხალხს უნდა ფეხბურთი, ფეხბურთს უნდა ფული, ფულს უნდა შოვნა...

## სამტრედიას უიმედოდ ასკეტური ბიუჯეტი დაუნიშნეს

მამუკა მესიაჩენკო (მარცხნივ) და ლევან ანჯაფარიძე

ზამთრის შესვენებამ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერები გამოკვეთა - ვინც ფული ვერ იშოვა, ყველას გავარდნის საფრთხე ემუქრება. მათ შორის განსაკუთრებით "სამტრედიას" უჭირს. ფოთის "კოლხეთსა" და ბოლნისის "სიონში" გაურკვეველი მდგომარეობაა, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც აქვთ, "სამტრედიას" კი მსგავსი გაურკვევლობაც სანატრელი გაუხდა. გუნდმა პირველი ეტაპი უფულოდ ითამაშა და ყველაზე უჩვეულო ის იყო, რომ ფეხბურთელები კი არ დაიშალნენ, გაჭირვებაში ერთმანეთს დაუდგნენ და პირობების კვალობაზე საკმაოდ კარგადაც ითამაშეს.

უკეთესი მდგომარეობა არც მეორე ეტაპზე ელით - "სამტრედიას" მხოლოდ 44 ათასი ლარით დააფინანსებენ, ანუ თვეში 11 ათასით. ცხადია, ეს გუნდის განირვაა.

რატომ და ვინ გადაწყვიტა სამტრედიაში ფეხბურთის ასეთი „ხელშეწყობა", სხვა თემაა, მაგრამ ამ პატარა იმერულ ქალაქში კლუბის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ, ეძებენ სპონსორებს, მდიდარ სამტრედიელებს, ოღონდ გუნდი შეინარჩუნონ.

როგორც გვითხრეს, ძველებური დაპირებების ნაცვლად ახლა კონკრეტული შეთავაზებებია, ვინ როგორ შეეშველება კლუბს, ზოგი საკვებით, ზოგი ფორმით და ბუცებით, მაგრამ უმაღლესი ლიგის გუნდის შესანახად ეს საკმარისი არ არის.

**გელა სანაია** წასვლის შემდეგ "სამტრედიას" **ლევან ანჯაფარიძე** ავარჯიშებს, რომელიც გუნდს გასულ წელს **მამუკა მესიაჩენკოსთან** ერთად წვრთნიდა.

რაც უნდა საოცარი იყოს, ამ გაჭირვებულმა კლუბმა მეორე ეტაპისთვის მზადება ყველაზე ადრე დაიწყო, პირველი საკონტროლო შეხვედრა ფოთის "კოლხეთთან" 6 იანვარს გამართა და 1:3 დამარცხდა. თუმცა ამ დროისთვის ძირითადად ბავშვები ვარჯიშობდნენ, მთავარმა გუნდმა კი ვარჯიში გუშინ, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე დაიწყო.

პირველი ეტაპის შემადგენლობიდან მხოლოდ **პაატა ჯინჭარაძე, გიორგი ხუმარაშვილი, სპარტაკ გოგია, რევაზ ნინუა, აკაკი კუპრეიშვილი** და **შოთა ჩომახიძე** დარჩნენ. კლუბში ამბობენ, რომ ჩომახიძის დარჩენა განსაკუთრებით ახარებთ. გამოცდილ ფეხბურთელს სხვა კლუბებში იწვევდნენ, მაგრამ საკუთარი ქალაქის გუნდი გასაჭირში არ მიატოვა.

იმერლებმა ოთხი საკონტროლო შეხვედრა გამართეს: "კოლხეთთან" მატჩზე უკვე მოგახსენეთ. შემდეგ ორი შემადგენლობით ეთამაშნენ ზუგდიდის "ბაიას" (0:4, 3:2), "ზესტაფონთან" კი სამარცხვინო ანგარიშით დამარცხდნენ - 1:7.

ბოლო შეხვედრამ კლუბის მესვეურებს ცხადად დაანახვა, რა ელის "სამტრედიას" მეორე ეტაპზე. მთავარი მწვრთნელი **ლევან ანჯაფარიძე** წუხს, რომ ასეთი შემადგენლობით გუნდი განწირულია, თუმცა ბოლო დღეებში რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს - ცხინვალის "სპარტაკიდან" **ბურჯანაძე**, "ბოავიშტას" ნაცვლად სამტრედიაში აღმოჩნდა **გიორგი ალავერდაშვილი**, დაბრუნდნენ ძმები **თორნიკე** და **ირაკლი შალიკაშვილებიც**. ეს გარკვეული იმედია, მაგრამ უმრავლესობა მაინც გამოუცდელი ფეხბურთელია და ასეთი მწირი დაფინანსებითა და კადრებით "სამტრედია" აუტსაიდერობისთვისაა განწირული.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი. ბაია

ელგუჯა ქომეთიანი

# გასტუმრებული ნახევარი თვე და, ეტყობა, გასასტუმრებელი ბრაზილიელი

## გაჭირვების ტალკვესი: კვესეიშვილი

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის "ბაია" ზუგდიდის ბაზაზე ემზადება. კლუბს ფინანსურად სეზონის დასაწყისიდანვე გაუჭირდა და ამის გამო არაერთი კვალიფიციური ფეხბურთელი დაკარგა, მაგრამ ავად თუ კარგად არსებობას განაგრძობს და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ადგილობრივი კადრებით იბრძვის.

"ბაიას" ფინანსური პრობლემები ჯერაც ვერ მოგვარებულა, მაგრამ დავალიანებების გასტუმრების საქმეში მცირე სიახლეები მაინც არის. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, დარიგდა იანვრის პირველი ნახევრის გასამრჯელოები და თვის ბოლომდე მეორე ნახევრის დავალიანებებსაც გაისტუმრებენ. თუმცა ძველი ვალები მაინც ვალებად რჩება – არაერთ ფეხბურთელს მთელი ხუთი თვის ხელფასი აქვს მისაღები. როგორც ყოველთვის, ადგილობრივი მთავრობა კლუბს თანადგომას ჰპირდება.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს, აქ "ბაია" შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. იანვარში გუნდმა უკვე ჩაატარა ოთხი ამხანაგური მატჩი. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ზუგდიდელებმა პირველლიგელ მარტვილის "მერანთან" 1:2 დათმეს, ფოთის "კოლხეთს" კი ფრედ, 1:1 ეთამაშნენ.

ამის შემდეგ "ბაიამ" "სამტრედია" 5:0 გაანადგურა. ამ შეხვედრაში დუბლი **ლომიამ** შეასრულა, თითო გოლი კი **რიგვავას, ეხვაიასა** და **სიხარულიას** ანგარიშზეა.

გუშინ კი კიდევ ერთი "მეგრული დერბი" გაიმართა. "ბაიას" მეტოქე ხობის "კოლხეთი" იყო და მატჩი 0:0 დასრულდა. ქომეთიანმა ამ შეხვედრაში ორი შემადგენლობა ათამაშა.

პირველი ტაიმი: **სომხიშვილი – სვირავა, აქუბარდია, აფაქიძე, გამრეკლიძე – კუხალაშვილი, ნ. შონია, წურწუმია, დანილო – ქობალია, ჩანგელია.**

მეორე ტაიმი: **მაქაცარია – გ. ქირია, მამულია, რ. ონიანი, რიგვავა – გუჯეჯიანი, სიხარულია, ვართაგავა, ლომია – ეხვაია, კუკავა.**

"ბაიას" შემადგენლობაში რამდენიმე უცნობი ფეხბურთელის გვარს ამოიკითხავდით. მარცხენა ნახევარმცველი **დანილო** ბრაზილიელია და ზუგდიდელთა შემადგენლობაში ისინჯება. იგი 24 წლისაა და ამ მატჩში ქომეთიანზე წარუშლელი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია, მაგრამ რაკი ნამგზავრი და გადაღლილი იყო, ერთ შანსს კიდევ მისცემენ. ალბათ იკითხავთ, საიდან აქვს უსახსრობით განამებულ "ბაიას" ლეგიონერის დამატების საშუალება. საქმე ისაა, რომ დანილო თანახმაა, საქართველოში მცირე ხელფასზეც ითამაშოს.

"ბაიაში" სინჯებზეა ორი თბილისელი ახალგაზრდაცაა – მარცხენა მცველი **ილია გამრეკლიძე** და მარჯვენა ნახევარმცველი **გიორგი კუხალაშვილი**. მათი საკითხიც უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**ლევან აკობია** "ბაიამ" სომხურ "ულისში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვა, სამაგიეროდ, ზუგდიდელები მცველ **გიორგი კვესეიშვილის** გასხვისებით იმედოვნებენ გარკვეული საფასურის მიღებას და ამ ფულით კლუბის ფინანსური პრობლემების ნანილობრივ მოგვარებას. საქმე ისაა, რომ კვესეიშვილი ამჟამად უზბეკეთშია, სადაც იქაური უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ კლუბში ცდილობს დამკვიდრებას და სადღეისო ცნობებით, ამის კარგი შანსიც აქვს. მას "ბაიასთან" კონტრაქტი ჯერ არ გასრულებია და კლუბს კომპენსაცია ამიტომაც ერგება.

მომდევნო სპარინგმატჩს "ბაია" ხვალ ურეკში "ულისთან" გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ხდება ხოლმე

# მოხეტიალე ფორვარდი (გაიგე პირდაპირ)

აპოლონ ლემონჯავა

## კაცი, რომელმაც ერთ წელიწადში შვიდი კლუბი გასინჯა

*"ჰოლანდიაში აგენტის დახმარებით მოვხვდი. თუმცა შემდეგ ურთიერთობები აგვერია და დღემდე ცუდად მექცევიან... კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ "ფეიენოორდი" სახელს ყველა საშუალებით მიტეხდა, თითქოს ცუდი ადამიანი ვარ. არადა, გუნდში არავისთან მიჩხუბია და ფეხბურთელებთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს... "ფეიენოორდის" შემდეგ გასასინჯად რამდენიმე კლუბში ვიყავი: "პარტიზანში", "შალკეში", "ატალანტაში", "ბორდოში", "ვიტესში"... მერე "მარსელის" ვარიანტი გამოჩნდა და დაუფიქრებლად წავედი საფრანგეთში. თუმცა მიზეზთა გამო ვერსად ჩავირიცხე და რუსეთში დავბრუნდი",* - ამბობს ლემონჯავა.

სხვათა შორის, იტალიურ ინტერნეტ-პორტალ "კალჩო ლანზე" ლემონჯავაზე მართლაც ვნახეთ ინფორმაცია, რომელიც 2010 წლის 19 აგვისტოთია დათარიღებული: *"ატალანტა" აპოლონ ლემონჯავასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ცდილობს. რუსი ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ "ფეიენოორდიდან" სასამართლო გარჩევების შედეგად წამოვიდა".*

თუმცა რად გინდა, თუნდაც მადრიდის "რეალში" ითამაშოს - აპოლონი ამბობს, რუსეთის ნაკრებში თამაშზე ვოცნებობო... ინტერვიუში ერთი საინტერესო ფრაზაცაა – საფრანგეთში ძალიან უყვართ რუსები, ამიტომ კარგად მიმიღესო.

რას არ გაიგებ ადამიანი, ლემონჯავა რუსობას იბრალებს. თუმცა მისი ლაპარაკი ქართველი ფეხბურთელებისას უფრო ჰგავს... ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ აპოლონი რუსეთის პირველი ლიგის "ალანიაშიც" დაინუნეს, მაგრამ კაცი ნაკრებში თამაშზე მაინც ოცნებობს.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი. კოლხეთი

# შეროზია და კოლხეთი: ყველაფერი ძველებურად?

**ბესიკ შეროზიამ** "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის მინურულს შეწყვიტა, მაგრამ კლუბთან კავშირი არ გაუწყვეტია. სეზონის პირველი ნახევარი ფოთელებმა **ზაზა ინიაშვილის** ხელმძღვანელობით ჩაამთავრეს და ზამთრის შეკრებაზეც გუნდს დღემდე იგი უძღვება.

ამის მიუხედავად, შეროზიას ძველ თანამდებობაზე დაბრუნება გამორიცხული მაინც არ არის. დღეისთვის იგი შინ, ზუგდიდშია, მაგრამ ხვალ ფოთში ჩასვლასა და კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრას აპირებს, რაც ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი კვლავ შეროზია იქნება.

*"და ზუსტებით ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, ალბათ, ამ შემოთავაზებას დავთანხმდები. ყველამ კარგად იცის, რომ "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება ერთი წამითაც არ მინდოდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ მაიძულა – დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ახლა კი მეუბნებიან, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. თუ მართლა ასე მოხდა, უბედნიერესი კაცი ვიქნები და გუნდისთვის ენერგიას არ დავიშურებ. ფოთს ფეხბურთის საუკუნოვანი ტრადიციები აქვს და სირცხვილი იქნება, ამ ქალაქს უმაღლეს ლიგაში ღირსეული წარმომადგენელი არ ჰყავდეს",* - გვითხრა შეროზიამ.

ხვალ არა მხოლოდ მისი დაბრუნების საკითხი, სხვა საინტერესო სიახლეებიც გაირკვევა – თუ კლუბის ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა, იმის მიუხედავად, რომ სეზონის განახლებამდე მცირე დროა დარჩენილი, "კოლხეთი" შინ შეკრებასაც გაივლის და ახალი ფეხბურთელებითაც გაძლიერდება.

ბოლო საკონტროლო მატჩი ფოთელებმა ერევნის "ულისთან" ჩაატარეს და 2:2 ითამაშეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბესიკ შეროზია

## ქართული ფეხბურთი

● სამზადისი. სპარტაკი

ბადრი კვარაცხელია

# შეხვედრა ნარსულთან

ერთ-ერთი პირველი გუნდი, მეორე ეტაპისათვის მზადება რომ დაიწყო, ცხინვალის „სპარტაკი“ იყო. ერთი მხრივ, ამაში გასაკვირი არც არაფერია: „სპარტაკი“ სატურნირო ცხრილში ბოლო საფეხურზე იმყოფება და გადამწყვეტ ეტაპზე სერიოზული ძალისხმევაც მართებს, უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნოს.

**ბადრი კვარაცხელიას** გუნდი დეკემბრის ბოლოდან თბილისში ემზადებოდა, 10 იანვრიდან კი ორკვირიან შეკრებაზე ურეკში იმყოფებოდა. „სპარტაკში“ მომხდარ საკადრო ცვლილებებზე ადრეც ვისაუბრეთ და ამჯერად მხოლოდ გუნდში მოსულ ფეხბურთელებს შეგახსენებთ: **მურმან ქურასბედიანი** და **ვლადიმერ უგრეხელიძე** „სიონიდან“ გადმოვიდნენ, **ზვიად მეტრეველი** - „დინამოდან“, ხოლო **გიორგი მანჩხავა** ბოლოს უკლუბოდ იყო. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ „სპარტაკში“ კიდევ ორი ყოფილი დინამოელი აღმოჩნდეს - **ვაჟა ნემსაძე** და **გიორგი მამუჩიშვილი** (ორივე ახალგაზრდა ფეხბურთელი ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია).

...თემქაზე მდებარე „სიხარულის“ სტადიონზე „სპარტაკმა“ გუშინ საკონტროლო მატჩი ჩაატარა და სპარინგ-პარტნიორად აზერბაიჯანის ჩემპიონატში მერვე ადგილზე მყოფი „განჯა“ ჰყავდა. სტუმართა გუნდს საკუთარ ჩემპიონატში, ასე ვთქვათ, მშვიდი ფინიში ელოდება: ვერც პირველ ექვსეულში შევა და არც გავარდნის საფრთხე ემუქრება; თუმცა, **ფუად ისმაილოვის** გუნდთან აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერებსაც უჭირთ თამაში და, რაც მთავარია, ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „განჯაში“ წამყვან მოთამაშედ მოიაზრება ჩვენი თანამემამულე **ზურაბ ძამსაშვილი.** სხვათა შორის, აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „განჯას“ შემადგენლობაში ძამსაშვილის გარდა ორი ქართველი ფეხბურთელიც თამაშობდა - **გიორგი სეთურიძე** და **ლევან მდივნიშვილი,** აგრეთვე უკრაინელი **ვლადიმირ კოზლენკო,** ორი წლის წინათ „გაგრას“ ღირსებას რომ იცავდა. ნურც იმ ფაქტს დავივიწყებთ, რომ 1997-98 წლებში „განჯას“ ერთ-ერთი ლიდერი ...ბადრი კვარაცხელია გახლდათ, ვისი დიდი დამსახურებაც იყო, რომ ამ პროვინციულმა კლუბმა იმ სეზონში „დუბლი“ შეასრულა: აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიპოვა. და აი, გუშინ ბადრი კვარაცხელია თავის ყოფილ კლუბს დაუპირისპირდა და იმის მიუხედავად, რომ მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მხოლოდ ფრეს (1:1) დასჯერდა. პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს: „განჯას“ ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა და თავის დროზე თითქმის ყველა წამყვან აზერბაიჯანულ კლუბში ნათამაშებმა **ჯეიხუნ სულთანოვმა** მე-12 წუთზე თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. პირველი ტაიმის შუაგულამდე მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ტრავმირებული ნუკრი მანჩხავას ნაცვლად მოედანზე შემოსული **ვალერი ბოლქვაძის** გამოჩენის შემდეგ მასპინძლებმა იძალეს და არაერთი მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, ზვიად მეტრეველის, **ბესიკ დეკანოიძისა** და **ილია ბუზალაძის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. „სპარტაკმა“ საპასუხო გოლი მხოლოდ მატჩის მიწურულს გაიტანა: შეცვლაზე შემოსულმა **ტიერი-ანს კლოვისმა** ეფექტური ბურთი გაიტანა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირა.

გუშინდელ მატჩში გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

სპარტაკი: **გრიშიკაშვილი - ქურასბედიანი (60. კილასონია), ტეტუნაშვილი, ბოიომო (81. მამუჩიშვილი), მანჩხავა (30. ვ. ბოლქვაძე) - მგელაძე, კაკაშვილი (60. ნარიმანიძე), დ. ლობჟანიძე - დეკანოიძე (73. ბუზალაძე), მ. ბარაბაძე (46. კლოვისი) - მეტრეველი.**

განჯა: **მაჯიდოვი - მუსტაფაევი, ქერიმოვი, ა. მამადოვი, მ. მამადოვი - რ. ჰუსეინოვი, ძამსაშვილი, ი. ჰუსეინოვი, ფუჩინე - სულთანოვი, ჟუნივანი.**

აქვე, აღვნიშნავთ, რომ „სპარტაკს“ ტრავმების გამო **თეიმურაზ შონია, ვლადიმერ უგრეხელიძე** და **ლევან ჭაფოძე** აკლდა. იმასაც ვიტყვით, რომ დიდი შანსია გუშინდელმა მეტოქეებმა ამ დღეებში ერთმანეთში კიდევ ერთი სპარინგ-მატჩი ჩაატარონ.

**გია ტუხაშვილი**

● ვიტ ჯორჯია

# გადადებული, როგორც ნისია, სხვისია

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" გერმანული რეგიონალლიგის ბინადარ "ჰალეშერთან" ითამაშა და 0:2 დამარცხდა. შეგახსენებთ, ამ გუნდების მატჩი გუშინწინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ავდრის გამო ერთი დღით გადაიდო.

გერმანელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს – ანგარიში მე-5 წუთზე გახსნეს, რასაც ქართველთა გააქტიურება მოჰყვა. "ვიტ ჯორჯიამ" პირველ ტაიმში ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. **ბექა ზაქრაძის** პასის შემდეგ **ბესიკ ჩიმაკაძემ** შვიდიოიდე მეტრიდან თავური ააცილა.

"ვიტ ჯორჯია" უშანსოდ არც შეხვედრის მეორე ნახევარში ყოფილა. **რევაზ ღანიაშვილის** დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა. 81-ე წუთზე ჰალეშერელებმა თბილისელთა დაცვის უხეში შეცდომით ისარგებლეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

**მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა გუშინ ამ შემადგენლობით ითამაშა: **მიქაბერიძე (46. ძაძამია) – ხურცილავა (46. გურამ გურეშიძე), ადამაძე (46. გოგიაშვილი), კასრაძე, ჭანკვეტაძე (46. ღანიაშვილი) – ვასაძე (46. გიორგი გურეშიძე), მაისაშვილი – ბეჭვაია, ჯანელიძე (80. ქავთარაძე), ზაქრაძე (46. კორიფაძე) – ჩიმაკაძე (46. როსტიაშვილი).**

ეს ამ შეკრებაზე "ვეტერინართა" პირველი სპარინგი იყო. მომდევნო საკონტროლო მატჩს "ვიტ ჯორჯია" ხვალ ჩაატარებს აზერბაიჯანულ "აფშერონთან".

**ლევან ჯანეზაშვილი**

# საგრანსფერო მიდი-მოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| **ზესტაფონი** გია გეგუჩაძე | გ. მიქაბერიძე (სამტრედია - იჯარით), ცხადაია (?), მაკარიანი (?) | გრუიცა, (ხორვატია), მენთეშაშვილი (ჰაპოელი ამქელონი, ისრელი) | 8 იანვრიდან ზესტაფონში<br>ზესტაფონი-სამტრედია 7:1<br>24 იანვრიდან ესპანეთში |
| **ოლიმპი** თორნიკე მაისურაძე | ყაზაიშვილი, ხოჭოლავა (ორივე - ვიტესი ჰოლანდია), ჭანტურია (?), ბერიაშვილი (თურანი, აზერბაიჯანი), ახალკაცი (გორი), ჯაფარიძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი) | ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი), ი. მაისურაძე (ვიტებსკი, ბელარუსი), მურველაშვილი (?), სეთურიძე (?), ქურდობაძე (?), გორდეზიანი(?), ბახტაძე(?), ტყემალაძე (?) | 4 იანვრიდან რუსთავში<br>ოლიმპი-სიონი 1:2<br>20 იანვრიდან თურქეთში<br>ოლიმპი-ისტანბულსფორი 4:0<br>ოლიმპი-სერვეტი 3:2 |
| **დინამო** კახა კაჭარავა | ვანაძე (ვოლგა, რუსეთი), შეყრილაძე (დილა), მუჯირი (კონტრაქტი დაუმთავრდა), მეტრეველი (სპარტაკი), ხმალაძე (ზარია, უკრაინა), ლილუაშვილი (?) | კახა კაჭარავა (მთავარი მწვრთნელი), ზაურ სვანაძე (მთავარი მწვრთნელის ·ასისტენტი), შ.კაშია (სპარტაკი), ზარქუა, კვეკვესკირი (ორივე - ბაია), ტატანაშვილი (მეტალურგი ზ. უკრაინა), ციმაკურიძე (უგუნდოდ), მაროვიჩი, (სერბეთი) | 3 იანვრიდან თბილისში<br>დინამო-სტუ 3:1<br>დინამო-ლოკომოტივი 3:1<br>დინამო-სიონი 4:1<br>დინამო-დილა 1:0<br>დინამო-გაგრა 2:1<br>23 იანვრიდან ანთალიაში<br>დინამო-ნალჩიკი 0:1 |
| **ვიტ ჯორჯია** მერაბ კოჭლაშვილი | დ. ლომაია (კონტრაქტი დაუმთავრდა), ლიპარტია (ზარია, უკრაინა), კლიმიაშვილი (?) | გაბრიჭიძე, ჯუღელი (ორივე მეშახტე), ქავთარაძე (ნორჩი დინამო), როსტიაშვილი (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა) | ვიტ ჯორჯია-სტუ 2:0<br>ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 2:0<br>22 იანვრიდან ანთალიაში<br>ვიტ ჯორჯია-ჰალეშერი 0:2 |
| **ბაია** ელგუჯა ქომეთიანი | მეგრელაძე (ტორპედო), გუგუჩია (ტორპედო, იჯარით), კვეკვესკირი, ზარქუა (ორივე - დინამო), დოლიძე (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (კარიერა დაასრულა), სომხიშვილი (?), ზუბბაია (?), გოგობერიშვილი, კ. ჩხეტიანი (ორივე - სიონი), ხუბუა (?), გ.მ. ხიდეშელი (?), ლ. ახალაია (?), კანდელაკი (ვიტესი, ჰოლანდია), ლ. აკობია (ულისი, სომხეთი), კვესეიშვილი (უზბეკეთი) | მაქაცარია, სვირავა, გ. ქირია (სამივე - სქური), აქუბარდია (სპარტაკი) | 3 იანვრიდან ზუგდიდში<br>ბაია-ჯოლხეთი 1:1<br>ბაია-მერანი 1:2 |
| **ტორპედო** გია გიგატაძე | როსტიაშვილი ( ვიტ ჯორჯია, იჯარა დაუმთავრდა), ზ. ხაჭიპერაძე (?), კვერნაძე (?), ლ. კირკიტაძე (?), ბიბილაშვილი (?), ცნობილაძე (?), ნ. კვასხვაძე (?) | გვარამაძე (მეკარეების მწვრთნელი, სპარტაკი), მეგრელაძე, დოლიძე (ორივე - ბაია), გუგუჩია (ორივე - ბაია, იჯარით), მაისურაძე (სპარტაკი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - სამტრედია), რ. გოცირიძე (სიონი), ხარაბაძე (?), ანდრიაძე (?) | 3 იანვრიდან ქუთაისში<br>22 იანვრიდან ანთალიაში<br>ტორპედო-უნივერსიტატეა 2:2 |
| **სიონი** გიორგი ყიფიანი | გიორგი ყიფიანი (მთავარი მწვრთნელი) უგრეხელიძე, ქურასბედიანი (ორივე სპარტაკი), ლ. ჭელიძე (?), გ. ნოდ. ჭელიძე (?), გ. თოდუა (?), ნემსაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), რ. გოცირიძე (სიონი), | ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), რ. ჯიქია, ინნკირველი, (ორივე - კოლხეთი), რეხვიაშვილი (უგუნდოდ), კ. ჩხეტიანი გოგობერიშვილი, (ორივე - ბაია) | 25 დეკემბრიდან - ბოლნისში<br>სპარტაკი-სიონი 1:1<br>ოლიმპი-სიონი 1:2<br>სიონი-IBSU 3:0<br>20 იანვრიდან - ურეკი<br>სიონი-კოლხეთი 0:0<br>სიონი-სამტრედია 3:0 |
| **კოლხეთი** ბესიკ ბერიზია | ჭითანავა, ჯოჯუა (ორივე - გორი), გ. შენგელია (?), სტურუა (?), ეკონია (?), მახვილაძე (?), ო. გველესიანი (თურანი, აზერბაიჯანი), გ. დეკანოსიძე (?), სილაგავა (?), ინნკირველი რ. ჯიქია (ორივე - სიონი), თედიაშვილი (?), სიჭინავა, ციცხვაია (ორივე გაგრა) | ძაგანია, კვერენჩხილაძე (ორივე - სამტრედია) | 20 იანვრიდან - ფოთში<br>კოლხეთი-სამტრედია 3:1<br>ბაია-კოლხეთი 1:1<br>კოლხეთი-სიონი 0:0<br>კოლხეთი-ულისი 2:2 |
| **სამტრედია** ლევან ანჯაფარიძე | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - ტორპედო), ძაგანია, კვერენჩხილაძე (ორივე - კოლხეთი) | გ. მიქაბერიძე (ზესტაფონი - იჯარით), ალავერდაშვილი (ფინეთი) | სამტრედია-კოლხეთი 1:3<br>სამტრედია-ზესტაფონი 1:7<br>სამტრედია-სიონი 0:3 |
| **სპარტაკი** ბადრი კვარაცხელია | გალდავა (?), ჩალაძე (მარტვილი), მამუდოვი (?), ბაბულაიძე (?), ცინცაძე (?), კორსანტია (?), სარალიძე (?), თავბერიძე (?), ფურცელაძე (?), ძაგანია (?), მაისურაძე (ტორპედო), შ. კაშია (დინამო), აქუბარდია (ბაია) | ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), ქურასბედიანი, უგრეხელიძე (ორივე სიონი), მანჩხავა (უგუნდოდ), მეტრეველი, მამუჩიშვილი, ნემსაძე (სამივე - დინამო) | 27 დეკემბრიდან - თბილისში<br>სპარტაკი-სიონი 1:1<br>10 იანვრიდან - ურეკი<br>10 იანვრიდან - თბილისში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

● გამოხმაურება

# მეთოფეებმა ჩახმახი შეაყენეს

„არსენალმა“ ლიგის ანუ „ქარლინგის თასის“ ფინალს „იფსვიჩის“ ძლევით მიაღწია - „მეთოფეებმა“ 3:0 მოიგეს. ამრიგად, გუნდი, რომელიც მიმდინარე სეზონში ჯერ კიდევ ოთხივე ჯილდოსთვის იბრძვის, ერთთან უკვე ძალიან ახლოს არის. მართალია, „ქარლინგის თასი“ ოთხი შესაძლო ტიტულიდან ყველაზე „დაბალი სინჯისაა“, მაგრამ ჩრდილოლონდონელთა ბანაკში მას დიდ ყურადღებას აქცევენ და ამიტომაც იყო **ნიკლას ბენდტნერის**, **ლორან კოშელნისა** და **სესკ ფაბრეგასის** გოლებმა დიდი სიხარული რომ გამოიწვია. შეგახსენებთ იმასაც, რომ „არსენალისა“ და „იფსვიჩის“ პირველი ნახევარფინალური მატჩი, 12 იანვარს, იფსვიჩის „პორტმენ როუდზე“ „ჩემპიონშიფის“ ცხრილში მე-19 ადგილზე მყოფი მასპინძლების გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

მატჩის შემდეგ „მეთოფეთა“ გახარებულმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** ასე ბრძანა: *„ჩვენ გვინდა გავიმარჯვოთ ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც გამოვდივართ. თუ „ქარლინგის თასს“ მოვიპოვებთ, გუნდში ფსიქოლოგიური კლიმატი შეიცვლება და ვიგრძნობთ, რომ სხვა ჯილდოების მოხვეტაც შეგვიძლია. რასაკვირველია, კარგად გვესმის, რომ ლიგის თასი ჩვენს მიზნებს შორის ყველაზე დიდი არ არის, „არსენალი“, ამ სეზონში, უფრო დიდ ამოცანებს ისახავს, მაგრამ ვიმეორებ, ის ჩვენ სხვა ტიტულების მოგებაში დაგვეხმარება. რატომღაც ყოველ პრესკონფერენციაზე მეკითხებიან, არის თუ არა ჩემი მთავარი მიზანი პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრა. მინდა ერთხელაც და საბოლოოდ გამოვაცხადო, რომ ჩემი მიზანი ყველაფრის მოგებაა“.*

„მეთოფეთა“ ესპანელი კაპიტანი სესკ ფაბრეგასი კი გოლის გატანამ, არც მეტი, არც ნაკლები, გადარია. ვენგერმა ამაზეც თქვა ორიოდ სიტყვა:

*„სესკის რეაქციამ, ალბათ, მიგახვედრათ, რომ მას გოლები და გამარჯვებები სწყურია. ფაბრეგასს ტიტულების დაგროვება უნდა და ამიტომაც ნიშნავდა მისთვის ეს გოლი ამდენს“.*

და რაკიღა ფაბრეგასი ვახსენეთ, ბარემ ერთი ამბავიც გავიხსენოთ: ცოტა ხნის წინ გაზეთებში დაიწერა „არსენალის“ ბრაზილიელი ფეხბურთელის, **დენილსონის** ნათქვამი, რომ მათი გუნდის კაპიტანი ბუნებით ლიდერი არ არის.

*„მინდა ყველას ვუთხრა, რომ მსგავსი არაფერი მითქვამს, - განაცხადა პუბლიკაციათა პასუხად დენილსონმა. - მეტიც, მის შესახებ არავისთან მილაპარაკია. მე მას, ისევე როგორც სხვა ფეხბურთელებს, პატივს ვცემ. ერთადერთი, რაც ვთქვი, ის იყო, რომ გუნდის შედეგებზე პასუხისმგებლობა ოცდახუთივე ფეხბურთელმა უნდა აიღოს“.*

არსენალი ფინალში გასვლას ხარობს

● გამოხმაურება

# ბერბატოვი დაფრინავს...

„მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ცხრილს კვლავ 5 ქულით რომ ლიდერობს, რასაკვირველია, დიდწილად **დიმიტარ ბერბატოვის** დამსახურებაა. აი, „ბლექპულთან“ გადადებულ შეხვედრაშიც მან გამოიჩინა თავი - ორი გოლი გაიტანა. მერედა, მოგეხსენებათ, როგორ იყო: მასპინძელთა მართლაც შესანიშნავი გუნდი მრისხანე სტუმრებს 2:0-ს უგებდა, მაგრამ თამაში მაინც სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭების სასარგებლოდ, 3:2 დასრულდა.

ბულგარელმა, რომელსაც ამ სეზონში მოედანზე ყველაფერი მეტისმეტი სიმსუბუქით გამოსდის ბომბარდირთა დავაშიც წინ წაიგდო საქმე - უკვე 19 გოლი აქვს გატანილი, მის მდევარ **კარლოს ტევესს** კი 14. ბერბატოვმა თქვა:

*„ჩვენ მენტალურად ძლიერი გუნდი გვყავს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუძლია მაშინაც კი მოიგოს, როდესაც 1:0-ს ან 2:0-ს აგებს. ეჭვი არასდროს გვეპარება, რომ სადაც ერთი გოლის გატანა შეგვიძლია, იქვე შვიდსაც შევაგდებთ. „ბლექპულთან“ შეხვედრაში პირველი ტაიმი არ ვარგოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თავს ვძლიეთ და ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ დავასრულეთ“.*

„ბლუმფილდ როუდზე“ ჩატარებული შეხვედრის გახსენებისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ ეპიზოდში მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ და კაცმა რომ თქვას, დიდი შანსია, მართლებიც იყვნენ...

შესვენებისას ფერგიუსონმა მოედანზე ვეტერანი **რაიან გიგზი** შეიყვანა, რასაც 20 წუთში მეორე ცვლილება მიაყოლა - **უეინ რუნის** მაგივრად მოედანზე მექსიკელი **ხავიერ ერნანდესი** შეუშვა, რომელმაც მალე გოლიც შეაგდო. მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა:

*„პირველ ტაიმში უნიათოდ ვთამაშობდით და ჩარლი ადამის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდით. ამ ბიჭის მარტო ერთი კუთხური ღირს 10 მილიონი ფუნტი. მოკლედ, მასპინძლებს ჩვენი სისუსტით კიდევ უფრო მეტად სარგებლობაც შეეძლოთ. როგორც ჩანს, საკუთარ სიძლიერეში ზედმეტად ვიყავით დარწმუნებული, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთ შეხვედრებში ყოველთვის დგება მომენტი, როდესაც შეგიძლია ყველაფერი ყირაზე დააყენო. ამ შემთხვევაში თამაშის სურათი შესვენების შემდეგ მოედანზე რაიან გიგ ზის შესვლამ განაპირობა“.*

ბოლოს კი ფერგიმ მესამე გოლზე გაამახვილა ყურადღება. ეს გოლი ბერბატოვმა 88-ე წუთზე გაიტანა:

*„იმ ეპიზოდში მე დიმიტარს ვუყვიროდი ბურთი „ჩიჩარიტოს“ (ერნანდესს) გადააწოდე მეთქი, მაგრამ ის იმდენად არის საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, რომ თავად გაიტანა გოლი“.*

მაშ, დიმიტარ ბერბატოვი საუკეთესო ფორმაშია? - ეს კითხვა ამ ბოლო დროს ხშირად ისმის და თავად ბულგარელ ფორვარდსაც მოუწია მასზე პასუხის გაცემამ. მან თქვა:

*„იმედი მაქვს, რომ ჩემი კარიერის საუკეთესო ფეხბურთი ეს არ არის. საუკეთესო ფეხბურთს მე კიდევ ვითამაშებ“.*

მოგეხსენებათ, იყო ერთი სამწუხარო ეპიზოდიც, როდესაც მანჩესტერელთა 20 წლის განაპირა მცველი **რაფაელი მარლონ ჰეირვუდთან** შეჯახების შემდეგ მოედნიდან გაიყვანეს. ის სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.

ბერბატოვის მორიგი გოლი

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიო კაპელო

## კაპელოს რჩევები

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** „მანჩესტერ სიტის“ მეკარე **ჯო ჰარტს** ყურადღების მაქსიმალურ მოკრებას ურჩევს - ასე 23 წლის გოლკიპერი მსოფლიო კლასის ოსტატად ჩამოყალიბდებაო, ამბობს იტალიელი. ჰარტს, რომლის სიმაღლეც 191 სანტიმეტრია, ისტლენდზე და ეროვნულ გუნდში უკვე მყარად უკავია ადგილი, მაგრამ კაპელოს ეს არ აკმაყოფილებს და უნდა ის მსოფლიოს საუკეთესოთა შორის იხილოს. ნაკრების თავკაცმა თქვა:

*„ის უნდა მიხვდეს, რომ როდესაც ამა თუ იმ გუნდის კარს იცავ, ყურადღების მოდუნების უფლება ნამითაც არ გაქვს. სულერთია, ვის ხვდები, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალს“, „ჩელსის“ თუ რომელიმე სუსტ მონინააღმდეგეს, მოდუნება შეიძლება გაშვებულ გოლად დაგიჯდეს. როდესაც ჩემპიონობა გინდა, შეცდომები უნდა გამორიცხო“.*

ერთი შეცდომის გამო, რომელიც ჯო ჰარტმა ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ლესტერის“ წინააღმდეგ თამაშის დროს დაუშვა, „მანჩესტერ სიტის“ გადათამაშებამ მოუწია - ასეთი დატვირთული განრიგის დროს კი ყოველი ზედმეტი თამაში დიდ ენერგიას ითხოვს. ეს შეცდომა კაპელოს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენია.

*„დიახ, ის შეცდა, მაგრამ ჰარტი ჯერ ახალგაზრდაა. ინგლისის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან ყოველ შეხვედრაში პირველიდან ბოლო წამამდე ყურადღებით თამაში ისწავლოს. გონების გადართვა დაუშვებელია.*

*რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია იყო ისეთი გუნდის ნევრი, რომელიც დიდძალ ფულს იხდის და გამარჯვებას ითხოვს. ასეთ დროს უნდა გესმოდეს, რომ ცხრილში შენზე დაბლა მდგომი ნებისმიერი მოწინააღმდეგე ყველა ღონეს იხმარს, რათა დაგამარცხოს. ამიტომაც, ჰარტი ვალდებულია ყოველ ტურში საუკეთესო ფორმაში იყოს“.*

## წყვილად მოსწონთ

„მანჩესტერ იუნაიტედმა“, „არსენალმა“, „ლივერპულმა“ და „ვესტ ჰემმა“ გაგზავნეს სკაუტები „ისტმეინ ლიგის“, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მერვე ინგლისური ლიგის გუნდ „დალუიჩ ჰემლეტსის“ ამომავალი ვარსკვლავების **ქუეიდ ტეილორისა** და **პოლ მაკალუმის** სანახავად. „დალუიჩ ჰემლეტსი“ „რომფორდს“ ეთამაშებოდა.

ჩამოთვლილ გუნდებთან რას მოვა, მაგრამ, როგორც ამბობენ პირველი ლიგის ბინადარი „საუთჰემპტონიც“ ცდილობს წყვილის ხელში ჩაგდებას. კიდევ, „საუთჰემპტონს“ **ალექს ჩემბერლენის** სანაცვლოდ „არსენალისთვის“ 10 მილიონი ფუნტის გამორთმევა და ამ თანხით, უფრო სწორად კი მისი ნაწილით „პიტერბოროსგან“ თავდამსხმელ **კრეიგ მაკეილ-სმითის** ყიდვა სურს.

## ქირავდება...

პრემიერლიგის გუნდებს ჩვევად აქვთ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც მათ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, ქვედა ლიგებში ანათხოვრებენ ხოლმე. ახალგაზრდები იქ იძენენ პრაქტიკას. „ჩემპიონშიფის“ გუნდი „ლესტერ სიტი“, რომელსაც ცნობილი **სვენ-გორან ერიკსონი** უდგას სათავეში ერთბაშად ორ ასეთს ქირაობს: „ასტონ ვილასგან“ **კერტის დევისს** და „ჩელსისგან“ **პატრიკ ვან აანჰოლტს**. პირველი 25 წლის არის, მეორე ოცისა გახლავთ.

საერთოდ, ინგლისურ გუნდებში ასეთი სატრანსფერო ოპერაცია ხშირია, მათი სრულად ჩამოთვლა კი შეუძლებელი და, ალბათ უინტერესოც, თუმცა ერთიორის დასახელება მაინც შეიძლება: „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“, მაგალითად „რედინგისგან“ **მეტ მილსის** ნაყვანა სურს, 24 წლის თავდამსხმელ **რუბენ რიდს** კი „ოლდჰემს“ აძლევს.

„პორტსმუთში“ არის ასეთი ფეხბურთელი, 31 წლის **რიჩარდ ჰიუზი**, რომელიც კლუბს აუჯანყდა და წასვლას ითხოვს. მის შესაძენად „ბრისტოლ სიტი“ და „შეფილდ უენსდი“ ებრძვიან ერთმანეთს.

## სელტიკის მიზანი

შოტლანდიის პრემიერლიგის ლიდერი „სელტიკი“ სოფიის „ლევსკისგან“ ფრანგი თავდამსხმელის **გარა დემბელეს** ყიდვას აპირებს. დემბელე 24 წლის არის და „სელტიკის“ ხალხმა ის ევროლიგის თამაშებზე ნახა. ფრანგის ფასი 2,5 მილიონი ფუნტია.

„სელტიკის“ ინტერესის შესახებ გაზეთებს დემბელეს ინგლისელმა აგენტმა შეატყობინა, რომელმაც აგრეთვე თქვა, რომ მის კლიენტზე პრემიერლიგისა და ევროპის სხვა ქვეყნების გუნდებიც ნადირობენ. საგულისხმოა, რომ დემბელეს მოხულიგნო ახალგაზრდის რეპუტაცია აქვს.

სამაგიეროდ თავდამსხმელს ბულგარეთის ლიგაში აქვს ძალიან შთამბეჭდავი შედეგი - 26 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა. თუმცა, „სელტიკი“ მარტო დემბელეს ვარიანტით არ იზღუდება და შემადგენლობის გაძლიერების სხვა გზებსაც ეძებს: „ევერტონისგან“ 22 წლის **ჯეიმს ვუგანის** ყიდვა უნდა.

გვერდი მოამზადა

**ილია ბაგუნაშვილმა**

● აზიის თასი

# ავსტრალია აზიურ გიგულს უგევს

## ფინალი ოგგადახდილი იაპონიის წინააღმდეგ

**ნახევარფინალი**

**იაპონია-ს. კორეა 2:2 დ.დ. 3:0 პ.**

**გოლები:** 0:1 კ. იუნგი (23), 1:1 მაედა (36), 2:1 ჰოსოგაი (97), 2:2 ჰ. ვონი (120)

**ავსტრალია-უზბეკეთი 6:0**

**გოლები:** 1:0 კიუელი (5), 2:0 ოგნენოვსკი (35), 3:0 კარნი (65), 4:0 ემერტონი (73), 5:0 ვალერი (82), 6:0 კრუზე (83)

**გაძევება:** ბაკაევი (67, უზბეკეთი)

**28 იანვარი**

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**უზბეკეთი-ს. კორეა**

**29 იანვარი**

**ფინალი**

**ავსტრალია-იაპონია**

ყატარში მიმდინარე აზიის თასზე ორი მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი. ნახევარფინალებიდან მოლოდინი მხოლოდ ერთმა გაამართლა. იაპონიისა და სამხრეთ კორეის დაპირისპირება თითქმის ყოველთვის უკომპრომისოა და გამონაკლისი არც ეს შემთხვევა ყოფილა. აი მეორე შეხვედრის შედეგს კი მოულოდნელს ვერაფრით ვუწოდებთ, მაგრამ მაინც სავარაუდო იყო, რომ უზბეკეთი ავსტრალიასთან ჭიდილში ასე ძალიან არ დაიჩაგრებოდა.

იაპონურ-კორეულ დაპირისპირებას ტურნირის მშვენება შეგვიძლია ვუწოდოთ. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა ჩამორჩენა პირველივე ტაიმში გაქვითეს, დამატებითმა დრომ კი მშრალად ჩაიარა და საქმე ოვერტაიმზე მიდგა. პირველ დამატებით დროში იაპონია დაწინაურდა და თითქოს უკვე თავი ქუდში ჰქონდა, როცა მსაჯის საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე კორეელებმა ნონასწორობა აღადგინეს და ყველაფერი პენალტების სერიაში გაირკვა.

საფეხბურთო ლატარიაში ფსიქოლოგიური უპირატესობა თითქოს კორეის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ **ალბერტო ძაკერონის** შეგირდები შოკიდან მომენტალურად გამოვიდნენ. მათ სამივე თერთმეტმეტრიანი გამოიყენეს, მეტოქემ კი ერთიც ვერ გაიტანა და ფინალის საგზური იაპონიას დარჩა. არადა, ტურნირის სტარტზე მასმედიამ ეს გუნდი და განსაკუთრებით მისი იტალიელი თავკაცი შავ დღეში ჩააგდო – აზიის თასი ხომ იაპონელებმა იორდანიასთან რის ვაივაგლახით მიღწეული ფრით დაიწყეს.

*"ბრწყინვალე მატჩი იყო, შედეგზე არანაკლებ ის მახარებს, რომ ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანეთ და კომბინაციური ფეხბურთი ვითამაშეთ. ამასთან ერთად, ჩემმა ბიჭებმა გასაოცარი ფსიქოლოგიური მდგრადობა გამოავლინეს და გადამწყვეტ მომენტში თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულეს. ეს გამარჯვება მათი დამსახურებაა, რისთვისაც მთელი ქვეყნისგან მადლობა ეკუთვნით"*, - განაცხადა აღფრთოვანებულმა ძაკერონიმ მატჩის შემდეგ.

მეორე ნახევარფინალზე კი ვფიქრობთ, მოსაყოლი ბევრი არაფერია. უზბეკები ამ ეტაპამდე დამაჯერებლად მოვიდნენ და თითქოს ავსტრალიასთან საბრძოლველადაც მზად იყვნენ, მაგრამ **კიუელმა** და კომპანიამ შუაგზიელები შეხვედრის დებიუტშივე გატეხეს. როგორც ხედავთ, ექვსი ავსტრალიური გოლი ექვსი ფეხბურთელის ანგარიშზეა.

ავსტრალიის ნაკრები, რომელიც ახალ კონტინენტს სულ რამდენიმე წლის წინ შეუერთდა, პირველად გავიდა აზიის თასის ფინალში და ტიტულის მოგების ჩინებული შანსიც აქვს. იაპონელთა და **ჰოლგერ ოსიეკის** გუნდის საჩემპიონო შანსებს მსოფლიოს ცნობილ ტოტალიზატორთა დიდი ნაწილი თანაბრად აფასებს.

*"ჩვენ აქ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ჩამოვედით და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. რაც მთავარია, ჩვენ შეგვწევს ძალა, რომ კონტინენტის უძლიერესი გუნდის წოდება მოვიპოვოთ, თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ ყატარში იაპონიის დონის გუნდთან ჯერ არ გვითამაშია"*, - ამბობს ოსიეკი.

*"ნახევარფინალში ღირსეულ მეტოქეს ვძლიეთ, რამაც დიდი ენერგია წაგვართვა, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, ფინალისთვის ძალებს სრულად აღვიდგენთ და აზიის თასზე გადამწყვეტ ნაბიჯსაც დამაჯერებლად გადავდგამთ"*, - ეს ისევ ძაკერონის სიტყვებია.

ბოლოს მოკლედ შეგახსენებთ იმ გზას, რომელიც ავსტრალიისა და იაპონიის ეროვნულმა ნაკრებებმა ფინალამდე განვლეს. ავსტრალიამ ჯგუფში სამხრეთ კორეასთან ფრედ ითამაშა და ინდოეთსა და ბაჰრეინს სძლია, მეოთხედფინალში კი ერაყს აჯობა; იაპონელთა უსახურ დებიუტზე უკვე გითხარით, იორდანიის შემდეგ კი ძაკერონის გუნდი გონს მოეგო და ჯგუფში სირია და საუდის არაბეთი დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალიდან ყატარი გამოაგდო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იაპონელი შინჯი ოკაზაკი კორეელთა აღყაში

● ტრანსფერი



# კაკუტა მეზობლებთან გადავიდა

წუხელ **გაელ კაკუტა** სეზონის ბოლომდე „ფულჰემის" ფეხბურთელი გახდა. „ჩელსიმ" 19 წლის ფრანგი მარცხენა გარემარბი მეზობელი უბნის გუნდს ივნისამდე მიაქირავა. ხელშეკრულების გაფორმებამდე კაკუტა „ფულჰემის" ექიმებმა გასინჯეს.

კაკუტამ „კრეივენ კოტეჯზე" კონტრაქტი მას მერე გააფორმა, რაც მისმა ახალმა გუნდმა ინგლისის დედაქალაქი დატოვა და წუხანდელი შეხვედრის ჩასატარებლად ლივერპულისკენ გაეშურა. გაზეთები წერენ, რომ ის კვირასაც ვერ ითამაშებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში „ტოტენჰემის" წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, გაელ კაკუტას „ფულჰემის" მაისურით გამოჩენას შემდეგ ოთხშაბათამდე არ უნდა ველოდეთ. 2 თებერვალს „ფულჰემი" „ნიუკასლ იუნაიტედს" მასპინძლობს. საინტერესოა, რომ კაკუტამ დეკემბერში „ჩელსისთან" ოთხწელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისის ჩემპიონს ის გასაყიდად არ ემეტება.

აღსანიშნავია, რომ „ფულჰემის" მწვრთნელს **მარკ ჰიუზს** „მანჩესტერ სიტიდან" **შონ რაიტ-ფილიპსის** გადაბირებაც სურს. ჰიუზმა თქვა: *„ამ ფეხბურთელს მე ძალიან კარგად ვიცნობ"*.

რაც შეეხება კაკუტას, ის ამ იანვარში ჰიუზის მეორე შენაძენი გამოდგა. პირველი გახლდათ **სტივ სიდუელი**, რომელიც „ფულჰემმა" „ასტონ ვილადან" გადაიყვანა და თან კაკუტასავით კი არ იქირავა, არამედ იყიდა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი კაკუტა „ჩელსიში" 2007 წელს „ლანსიდან" გადავიდა. ის იმთავითვე ამომავალ ვარსკვლავად შერაცხეს და სახელიც გაუვარდა. 2009 წელს ფრანგი სკანდალის ცენტრში მოექცა. „ლანსმა" იჩივლა, რომ კაკუტამ კონტრაქტი დაარღვია და „ჩელსიში" როგორც იურიდიული, ასევე მორალური წესების სრული იგნორირებით გადავიდა. მაშინ ფიფამ ფეხბურთელს ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და 670 000 ფუნტის გადახდაც დააკისრა. ამავე საქმისთვის დაისაჯა „ჩელსიც", რომელსაც, თუ გახსოვთ, ორი ეგრეთ წოდებული ფანჯრის განმავლობაში სატრანსფერო აქტიურობა აეკრძალა. დასჯილთა საბედნიეროდ, სპორტულმა არბიტრაჟმა შარშან, თებერვალში სანქციები გააუქმა.

გაელ კაკუტას საფრანგეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები, 2009 წლის დეკემბერში კი 18 წლისა გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც „ჩელსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა.

**ილია ბაბუნაშვილი**

● სკანდალი

# გრეი სამსახურიდან გააგდეს

ცნობილი ინგლისელი ტელეწამყვანი **ენდი გრეი** SKY Sports-იდან გაუშვეს. იმ მიზეზებს, რომელთა შესახებაც „ლელომ" გუშინ მოგახსენათ, ახალი დაემატა: გაირკვა, რომ გრეის კოლეგა **შარლოტ ჯეკსონისთვის** უცენზურო ხუმრობა უკადრებია. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გეტყვით როგორი ურთიერთობა ჰქონდათ გრეის და ჯეკსონს, შესაძლოა, ისინი ზედმეტად ფამილიარულადაც ეხუმრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად, ნამდვილად აჯობებდა ეს ამბავი არ გახმაურებულიყო.

სექსიზმი - ეს სიტყვა ბოლო ორი-სამი დღეა ინგლისურ მასმედიაში აქტიურად ტრიალებს და იმის რწმენას ნიშნავს, რომ ერთი სქესი მეორეს სჯობს. თუ, მაგალითად, მიგაჩნიათ, რომ ქალები კაცებს ყველაფერში სჯობიან, სექსისტი ბრძანდებით. ენდი გრეის დაუმტკიცდა, რომ პირიქით ჰგონია. მართლა ასე სწამს SKY Sports-ის ცნობილ წამყვანს თუ არა, ვინ იცის, მაგრამ გრეის წინააღმდეგ ტალღა მაშინ აგორდა, როდესაც ეთერში შემთხვევით გაისმა მისი საუბარი კოლეგა **რიჩარდ კეისთან.** ამ ლაპარაკში გრეი და კეისი ამტკიცებდნენ, რომ ქალთანამსაჯ **სიან მესის** თამაშგარე მდგომარეობის არსი არ ესმის და საერთოდ, ქალები ვერ ხვდებიან, რა არის ოფსაიდი. ამას დიდი მღელვარება მოჰყვა, გრეის სექსისტი უწოდეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ SKY Sports-მა (ალბათ ჟურნალისტისგან გამიჯვნის მიზნით) თავად მოიტანა მეორე ჩანაწერი, სადაც გრეი იმავე აზრს დაჟინებით იმეორებს. მაგრამ მარტო ეს რომ ყოფილიყო საფეხბურთო მიმომხილველი იქნებ წელიწადში 1,7 მილიონი ფუნტის მომტანი სამსახურის დაკარგვას გადარჩენილიყო კიდეც. მესამე საბუთი იმისა, რომ ენდი გრეი სექსისტია, მეტისმეტად წონიანი გამოდგა. ეს უკვე თანამსაჯ მესის თამაშგარე მდგომარეობას აღარ ეხებოდა. ეს იყო რეპეტიციის დროს ჩაწერილი უხამსი ხუმრობა მიკროფონთან დაკავშირებული ასოციაციებით. თქვენი ნებართვით, ჩვენ ამ უნიჭო იუმორის დეტალურად აღწერას მოვერიდებით, ხოლო მათ, ვისაც მისი ნახვა სურს youtube.com-ის გახსნას ვურჩევთ.

ენდი გრეის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციისთვის მოგახსენებთ, რომ ის 55 წლის ყოფილი ფეხბურთელია. 1975-1985 წლებში შოტლანდიის ნაკრებში 20 შეხვედრაში 7 გოლი აქვს გატანილი. კარიერა დაასრულა 1990 წელს. მანამდე თამაშობდა ცხრა კლუბში, რომელთა შორის იყო „ევერტონი", „ასტონ ვილა" და „გლაზგო რეინჯერსი".

ინგლისელმა ტაბლოიდებმა SKY Sports-ის თანამშრომლები გამოჰკითხეს და გაიგეს, რომ გრეი არასდროს გამოირჩეოდა თავაზიანობით, რითაც სამსახურში ბევრს აღიზიანებდა. მავანმა ისიც კი თქვა, არხის ხელმძღვანელები მის გასაშვებად მიზეზს ეძებდნენო. არადა, ენდი გრეი უკვე 20 წელიწადია ეგრეთ წოდებული ტელესახეა და ხალხი მის რეპორტაჟებს შეეჩვია.

**ილია ბაბუნაშვილი**



ენდი გრეი

შარლოტ ჯექსონი

● ინგლისი

## ჰრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**ლივერპული-ფულჰემი 1:0**

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - კელი, აგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი - კუიტი (66. შილვი), პოულსენი (80. აურელიო), ჯერარდი, მაქსი როდრიგესი - მეირელეში, ტორესი

**ფულჰემი** (4-4-2): სტოკდეილი - პენტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, ბეირდი - დაფი (63. გერა), მერფი, სიდუელი, დემპსი - ე. ჯონსონი, დემბელე

**გოლი:** 1:0 პენტსილი (52 ს.კ.)

**გაფრთხილება:** პენტსილი (ფულჰემი)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 11-13; **კარში დარტყმა:** 8-10 (4-6); **თამაშგარე:** 6-0; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 40 466

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 23 | 14 | 9 | 0 | 51:21 | 51 |
| 2. არსენალი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:22 | 46 |
| 3. სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:20 | 45 |
| 4. ჩელსი | 23 | 12 | 5 | 6 | 42:19 | 41 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:26 | 38 |
| 6. სანდერლენდი | 24 | 9 | 10 | 5 | 28:24 | 37 |
| 7. ლივერპული | 24 | 9 | 5 | 10 | 31:31 | 32 |
| 8. ბლეკბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 31:37 | 31 |
| 9. ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:33 | 30 |
| 10. სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:28 | 30 |
| 11. ბოლტონი | 24 | 7 | 9 | 8 | 34:35 | 30 |
| 12. ბლეკბერნი | 23 | 8 | 4 | 11 | 34:41 | 28 |
| 13. ასტონ ვილა | 24 | 7 | 7 | 10 | 27:40 | 28 |
| 14. ევერტონი | 23 | 5 | 12 | 6 | 27:29 | 27 |
| 15. ფულჰემი | 24 | 5 | 11 | 8 | 25:26 | 26 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 7 | 4 | 12 | 29:43 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:31 | 23 |
| 18. უიგანი | 24 | 4 | 10 | 10 | 20:39 | 22 |
| 19. ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| 20. ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:43 | 21 |

● რეალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავაზა, რომელიც ხარივით ჯანმრთელია

## სიტის ხელფასი დაეზოგება, ადებაიორი 4 მილიონს მიიღებს, რეალი?

მაშ ასე, როგორც იქნა, „რეალმა“ **გონსალო იგუაინის** ტრავმით გამოწვეული პრობლემა გადაჭრა და თავდასხმაში კაცი დაიმატა - 26 წლის ტანმაღალი ტოგოელი **ემანუელ ადებაიორი**. მაშინ, როცა ადებაიორი მადრიდის ტორეხონის აეროპორტში გამოჩნდა დილის 11 საათზე, გუნდი მთელი შემადგენლობითა და იუბილარი მნვრთნელით (**ჟოზე მოურინიო** 48 წლისა გახდა) სევილიაში იმყოფებოდა „სამეფო თასის“ პირველი ნახევარფინალური მატჩის გასამართავად. საერთოდაც, ამ სათასო დაპირისპირებამ ესპანეთში ჩრდილში მოაქცია ადებაიორის ტრანსფერი.

ტოგოელის ესპანეთში ჩამოსვლასთან ერთად გაირკვა მისი ტრანსფერის დეტალები, რაღაც-რაღაცეები დაზუსტდა კიდეც - ადებაიორი „რეალში“ 6-თვიანი იჯარით გადავიდა, მის სანაცვლოდ ესპანური გრანდი არაფერს გადაუხდის „მანჩესტერ სიტის“, თუმცა კი თავად ტოგოელს საკმაოდ მსუყე გასამრჯელოს მისცემს - 4 მილიონ ევროს 6 თვის განმავლობაში (და არა 2 მილიონს, როგორც გუშინ გავრცელდა). „რეალს“ აფრიკელი ფორვარდის გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლებაც აქვს, ოღონდ საამისოდ 15 მილიონი ევრო უნდა გაამზადოს ზაფხულში. მოკლედ, დიდ მოგებაშია „სიტი“ მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო თანხა არ მიუღია - ინგლისური კლუბი ადებაიორს წელიწადში 7,5 მილიონ ევროს უხდიდა და სულ ტყუილად თუ არა, მაინც ძალიან ბევრს ფეხბურთელისთვის, რომელმაც ნახევარ სეზონში 8 მატჩი ითამაშა და მხოლოდ 1 გოლი გაიტანა პრემიერლიგაში და ისიც პენალტის ნიშნულიდან. „სიტის“ ფული გვარიანად დაეზოგება. იხეირა ადებაიორმაც, მაღალი ხელფასიც შერჩა და გრანდში დამკვიდრების ბრწყინვალე შანსიც მიიღო. აი, რა მოიგო (თუ წააგო) „სამეფო კლუბმა“, ცოტა მოგვიანებით შევიტყობთ.

ადებაიორმა აეროპორტიდან ეგრევე „სანიტას ლა მორალეხას“ კლინიკას მიაკითხა, სადაც სრული სამედიცინო შემოწმება გაიარა, რაც უკვე ნებისმიერი ტრანსფერის აუცილებელი ატრიბუტია. კლინიკიდან აფრიკელი ფეხბურთელი დოქტორ **კარლოს დიესის** დასკვნით გამოვიდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა - ემანუელ ადებაიორი ხარივით ჯანმრთელია. დიესი მართლაც გაოცებული იყო: *„ეს რა ვნახეთ, ადებაიორს გასაოცარი ჯანმრთელობა აქვს. მას ვარჯიშის უფლებას თუნდაც ახლავე ვაძლევ“*. „სიტის“ ყოფილმა შემტევმა ათამდე სხვადასხვა ტესტი გაიარა და ყველაში უმაღლესი ქულა მიიღო.

### რა ღირს მოუს ერთი სურვილი?

მაშ, რას ელოდოს მოურინიო, რომელიც იგუაინის ტრავმის შემდეგ დაჟინებით მოითხოვდა ფორვარდის დამატებას და თავიდანვე აფრიკელი „ავაზის“ კანდიდატურის მომხრე იყო. მოკლედ,

სამედიცინო შემოწმებაზე ადებაიორმა ექიმები ჭკუიდან შეშალა

მწვრთნელს სურვილი აუსრულეს, რაც კლუბს 4 მილიონი ევრო დაუჯდა. ჯერი მწვრთნელსა და მის ახალ შეგირდზეა, რას მოინადირებს მოუ „ავაზასთან“ ერთად? გახსოვთ ალბათ, ერთხელ პორტუგალიელმა ძალიან ბევრი ილაპარაკა, კატებითა და ძაღლებით ნადირობაზე, „განსაკუთრებული“ წუწუნებდა, კატებით ნადირობა შესაძლებელია, მაგრამ ძნელიაო. ახლა მის „მენიუშია“ „ძაღლებით ნადირობა“. **ფლორენტინო პერესი** და **ხორხე ვალდანო** (რომელიც ახალი ფორვარდის დამატების პირველი წინააღმდეგი იყო) დაუყოვნებლივ მოითხოვენ შედეგს ამ ტრანსფერისგან. არადა, შეგახსენებთ, რომ აფრიკელს ამ სეზონში ჩემპიონატში გოლი თამამაშიდან ჯერ არ გაუტანია, ბოლოს მოედანზე კი 1 დეკემბერს გავიდა.

### ვისი ტომის ხარ, ადე?

მაშ, ვინ არის „რეალის“ ახალწვეული? კლუბის ისტორიაში ტოგოელი ფორვარდი მე-4 აფრიკელი ფეხბურთელია კამერუნელი **სამუელ ეტო'ოს**, მისი თანამემამულის, **ჯერემი ნჯიტაპისა** და **მაჰამადუ დიარას** შემდეგ. „რეალში“ სხვა ფეხბურთელებსაც უთამაშიათ აფრიკული წარმოშობით, მაგალითად, კონგოელი ფრანგ **კლოდ მაკელელეს**.

შეი ემანუელ ადებაიორი ტოგოს დედაქალაქ ლომეს მკვიდრია, თუმცა წარმოშობით ნიგერიული ტომის იორუბას წარმომადგენელია. ადებაიორს გაუმართლა, როცა ტოგოს 15-წლამდელთა ნაკრებში აიყვანეს (მას შეეძლო ნიგერიის ნაკრებში თამაშიც, მაგრამ ტოგო არჩია). იქ კი ფრანგული „მეცის“ სკაუტებმა აღმოაჩინეს. 1999 წელს მან წარმატებით გაიარა სინჯები „მეცში“ და ორი სეზონი კლუბის 17-წლამდელთა გუნდში ითამაშა, შემდეგ კი სარეზერვო გუნდში დააწინაურეს. 2001 წელს კი მთავარ გუნდში ჰქონდა დებიუტი. 2003 წელს მან „მონაკოსთან“ გააფორმა კონტრაქტი და ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაში დაეხმარა. 2006 წლის იანვარში ადებაიორი „არსენალმა“ 3 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყიდა, მას ეგრევე „პატარა კანუ“ შეარქვეს (სხვათა შორის, **ნვანკვო კანუ** ადებაიორის ბავშვობის კერპია). აფრიკელი „არსენალის“ მოწინავე ფეხბურთელი გახდა, ფანები ტრიბუნებზე მღეროდნენ კიდეც: *„ადებაიორ, ადებაიორ, მიეცით პასი ის გაიტანს“* მის გასამხნევებელ სიმღერებს, თუმცა 2009 წელს მან კიდევ ერთხელ გამოიცვალა კლუბი - 25 მილიონ ფუნტ სტერლინგად. მას ჰქონდა გიჟური პირველი სეზონი „სიტიში“, მაგრამ ახლა ისტლენდზე სხვა ხალხის ჟრიამული ისმის. ემანუელი აფრიკის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. ერთი წლის წინათ ადებაიორის ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც მისი დამოკიდებულება ბევრი რამისადმი რადიკალურად შეცვალა, ემანუელი თითქმის ბავშვობიდან ევროპაშია და აფრიკული გაჭირვების მთელი სიმწარე არ გამოუცდია - შარშან იანვარში კი ანგოლაში აფრიკის თასზე ავტობუსით მიმავალი ტოგოს ნაკრები ვიღაც სეპარატისტებმა ჩაცხრილეს (სამი ადამიანი გარდაიცვალა), თუმცა თავად უვნებელი გადარჩა. ამის შემდეგ ემანუელს ეროვნული ნაკრებისკენ და აფრიკის მთელი კონტინენტისკენ გახედვაც კი არ სურს. სხვათა შორის, ფორვარდი ცნობილია იმით, რომ თითქმის ყველა ახალ კლუბში სადებიუტო მატჩში გოლი გააქვს, ვნახოთ, რა იქნება „რეალში“...

### აფრიკელი მოვიდა, აფრიკელი უნდა წავიდეს!

აფრიკელი მოვიდა, აფრიკელი უნდა წავიდეს - სხვანაირად არ გამოდის, ტოგოელის მისვლას „სამეფო კლუბში“ ვიღაცის რეალური კარიერა უნდა შეენიროს და ეს „ვიღაც“ **მაჰამადუ დიარაა**, რომელიც ისედაც ძალიან ახლოს იყო „რეალთან“ განშორებასთან. საქმე ისაა, რომ LFP (ესპანეთის პროფესიული ლიგა) პირველი გუნდის განაცხადში მხოლოდ 25 ფეხბურთელის ყოფნას უშვებს. 25 ფეხბურთელი „რეალს“ უკვე ჰყავს ოფიციალურად რეგისტრირებული, ერთი აშკარად ზედმეტია.

„მარკა“ ირწმუნება, რომ უახლოეს საათებში „რეალიდან“ „მალაგაში“ იჯარის წესით მაჰამადუ დიარა გადავა. მალის ნაკრების ნახევარმცველი ზედმეტია „რეალში“, მას თამაში თითქმის არ უნევს. მიუხედავად ამისა, 29 წლის დიარა სულაც არ არის ცუდი ფეხბურთელი და მისით ბევრი კლუბია დაინტერესებული, მათ შორისაა **მანუელ პელეგრინის** „მალაგა“. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ჟოზე უპირატესობას **ჩაბი ალონსოსა** და **სამი ხედირას** ანიჭებს, შემდეგ მოდის **ლასანა დიარა** და **ფერნანდო გაგო**, მაჰამადუ სიაში მეხუთეა, ანუ თამაში არ მოუწევს პრაქტიკულად არასოდეს. დიარას კონტრაქტი ივნისში დასრულდება და შემდეგ ის „მალაგას“ სრულუფლებიანი წევრი გახდება და წელიწადში 2,5 მილიონ ევროს მიიღებს გასამრჯელოს სახით. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მაჰამადუ 2006 წელს მოხვდა „ლიონიდან“.

### ძულები კარგი, ვნახოთ საძმეშიც

დავუბრუნდეთ ისევ ადებაიორს პეს-ის სტატისტიკური ბაზა ფეხბურთელებს მრავალი ატრიბუტის მიხედვით უწერს ქულებს (100-ქულიანი სისტემით). ადებაიორმა ასეთი „ნიშნები“ მიიღო: შეტევა - 82, დაცვა - 31, ტექნიკა - 84, დარტყმის ძალა - 84, თავური - 83, სიზუსტე - 66, აგრესია - 88, გუნდური თამაში - 83. აღვნიშნავთ, რომ თითქმის ყველა კატეგორიაში მაღალი დონის ფორვარდის ქულებია.

ადებაიორის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა მადრიდელთა ცოცხალმა ლეგენდა **გუტიმ**, რომელიც თურქულ „ბეშიქთაშში“ თამაშობს: *„ემანუელი დიდებული ფეხბურთელია. ის ძლიერი შემტევია და ახლა ძალიან სჭირდება „რეალს“.*

● ბარსელონა

# ლეო მესი: რისი გულისთვის?!

ისევე, როგორც „რეალი“, „ბარსელონაც“ სათასო ბატალიით არის დაკავებული, თუმცა კატალონიელთა ბანაკში **ემანუელ ადებაიორის** ტრანსფერის დარი სიახლე არ არის, მაგრამ ჩემპიონთა შორისაც გაიგებთ ახალ ამბებს. მაგალითად, დღეს კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების მაგიდას **ერიკ აბიდალი** მიუჯდება, მთავარი თემა, ბუნებრივია, კონტრაქტის გახანგრძლივებაა. სხვათა შორის, ფრანგი ძალიან ალალი ადამიანია და პირდაპირ აცხადებს, „ბარსელონასთან“ კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაგრძელებ, თუკი მაღალ დონეზე თამაშს შევძლებო: *„ბარსელონას“ ნებისმიერ წინადადებას სიამოვნებით გამოვეხმაურები. ათასჯერ მითქვამს, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაში არასოდეს მომინდომებია, რადგან ასეთი სახის კლუბი ბუნებაში არ არსებობს. თუკი კლუბსაც იგივე სურს, რაც მე, ჩვენ წამებში მივაღწევთ შეთანხმებას. კონტრაქტს 1-2 წლით გავახანგრძლივებ, მაგრამ თუკი სხეული კარგად თამაშის საშუალებას არ მომცემს, ვერავის მოვატყუებ, ყველას ხელს ჩამოვართმევ და დავემშვიდობები. წავალ გოლფს ვითამაშებ, ოჯახს მივხედავ, პატარებს დავეხმარები ფეხბურთელებად გაზრდაში. მსურს, რაც შეიძლება დიდხანს ვიყო „ბარსელონაში“, კლუბში, რომელსაც დიდი მნვრთნელი ჰყავს. იმედია, პეპ გვარდიოლა „ბარსელონაში“ 70 წლამდე დარჩება“.* არადა, თუ გახსოვთ, თავიდან ერიკ აბიდალს გვარდიოლასთან უთანხმოებაც ჰქონდა და ის გუნდიდან გაშვებასაც ითხოვდა. ვფიქრობთ, აბიდალი 2015 წლამდე გააგრძელებს კონტრაქტს „ბლაუგრანასთან“.

ლეო მესიმ ასე აღნიშნა გოლი და 2 ათასითაც დაჯარიმდა

„ბარსა“ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში საჩივრით შედის... **ლეო მესის** გამო. რაშია საქმე? „რასინგთან“ მატჩში ლეო მესიმ გოლი მეტად ემოციურად და ის დედას უძღვნა (რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა). არგენტინელმა კი ყვითელი ბარათი და სადისციპლინო კომიტეტისგან 2-ათასევროიანი ჯარიმა მიიღო. მესიმ კანტაბრიელთა კარში პენალტი გაიტანა და მაისურა წამოიხადა, შიდა მაისურაზე ეწერა: *„ფელის კუმპლე მამი“* (დაბადების დღეს გილოცავ, დედა). სადისციპლინო კომიტეტში მესის ამ საქციელში უხეში დარღვევა დაინახეს.

„ბარსელონა“ ჩივის და ამტკიცებს, რომ მესის მოწოდებაში არ იყო არაფერი შეურაცხმყოფელი. პირიქით, მაისურაზე დაწერილი ტექსტი პოზიტიური სოციალური მესიჯისგან შედგებოდა. კატალონიელები დარწმუნებულნი არიან, რომ მესისაც მოუხსნიან ჯარიმას, ისევე როგორც ასეთი სახის ჯარიმა მოუხსნეს „ესპანიოლის“ შემტევ **ხოსე კალეხონს**, რომელმაც გოლი **დანი ხარკეს** ხსოვნას მიუძღვნა სექტემბერში.

„ბარსელონას“ **დანი ალვეში** დაუბრუნდა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა, თუმცა ბრაზილიელის მომავალი კლუბში ბურუსითაა მოცული. ასევე ივარჯიშა **ბოიან კრკიჩმა**, რომელიც, მეკარე **პინტოსთან** ერთად, მოწამლული იყო. ჯერ კიდევ შორია **კარლეს პუიოლისა** და **ჟეფრენ სუარესის** გამოჯანმრთელებამდე.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## უცხოური ფეხბურთი

● ესპანური კალეიდოსკოპი

# ესპანეთიდან საუდის არაბეთში

„მალიორკამ“ ორი ფეხბურთელი გაუშვა **ტუნი** და **ალპასან კეიტა**. ტუნი იჯარით სეგუნდადივიზიონის „ხიმნასტიკში“ წავიდა სეზონის ბოლომდე, ხოლო კეიტასთან კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუქმდა. კეიტა 27 წლის გვინეელი ფორვარდია, რომელიც „მალიორკასთან“ კონტრაქტის განყვეტის შემდეგ საუდის არაბეთში წავიდა და „ალ შაბაბთან“ 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, როგორც თავისუფალმა აგენტმა. კეიტა **მიქაელ ლაუდრუპის** გეგმებში არ ჯდებოდა, ამიტომაც უპრობლემოდ გაუშვეს არაბეთში. სეზონის პირველი ნახევარი აფრიკელმა სეგუნდადივიზიონის „ვალიადოლიდში“ გაატარა იჯარით.

ტუნის შემთხვევა ცოტა სხვანაირია, 28 წლის ნახევარმცველი ბალეარული კლუბის აღზრდილია და მას ასე იოლად ვერ შეელევიან. ფეხბურთელმა მუხლის ჯვარედინი იოგების სერიოზული ტრავმა გადაიტანა და ჯერჯერობით უჭირს „მალიორკას“ ძირითადში დამკვიდრება. ამიტომაც ის „ხიმნასტიკში“ პრაქტიკის მისაღებად გაუშვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტუნი (მარცხნივ) ქარიმ ბენზემასთან ორთაბრძოლაში

# ლია კარის დღე აზლეტიკოში და დაკეტილი ფანჯარა

მადრიდის „ატლეტიკოს“ დირექტორმა **მიგელ ანხელ ხილ მარინმა** განაცხადა, რომ **კიკე ფლორესი** აუცილებლად გაუძღვება გუნდს სეზონის ბოლომდე. ხილ მარინი სპეციალურად შეხვდა გუნდს მთელი შემადგენლობით, შეკრებაზე მან აღნიშნა, რომ „ატლეტიკომ“ დაასრულა ზამთრის სატრანსფერო მოლვაწეობა და სეზონის ბოლომდე კლუბი არც არავის შეიძენს და არც არავის გაუშვებს: *„ჩვენ იძულებულნი ვიყავით სიმაოს შევლეოდით. ამიტომ კლუბმა ორი ახალი ფეხბურთელი შეიძინა, ხუანფრანი და ელიასი. კიკე სეზონის ბოლომდე „ატლეტიკოს“ მწვრთნელია, როგორც ეს მას კონტრაქტში უნერია. შემდეგ კი მოვიქცევით ისე, როგორც შარშანდელ სეზონში, რომელიც ევროპის ლიგის მოგებით მაჟორულ ნოტზე დავასრულეთ - მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდებით და შევხედავთ. მაგრამ, ვიმეორებ, ეს შეხვედრა მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება და არა მანამდე. ამიტომაც თითოეული თქვენგანის მოვალეობაა ბოლომდე უერთგულოთ კიკეს და მისი ბრძანებები შეასრულოთ. რა თქმა უნდა, სეზონის მიმდინარეობით კმაყოფილი არ ვართ, კლუბი ძალიან ჩამორჩება ჩემპიონთა ლიგის ზონაში. მე შემიძლია გავიგო, რატომ შეიძლება დამარცხდეს „ატლეტიკო“ მადრიდის „რეალთან“ სათასო დაპირისპირებაში, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება წააგოს კლუბმა ყოველი მეორე შეხვედრა. ვერ წარმომიდგენია, რომ „ატლეტიკომ“ სეზონი ტოპ-4-ში არ დაასრულოს“*, - განაცხადა ხილ მარინმა.

კიკე სეზონის ბოლომდე რჩება

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დრენგზე, გაამართლე შენში დახარჯული ფული!

„ერკულესის“ პრეზიდენტი **ვალენტინ ბოტელია** გაოცებულია ჰოლანდიელი **როისტონ დრენტეს** საქციელით. ალიკანტელთა ბოსი მიიჩნევს, რომ, მართალია, ხანდახან დრენტე დიდებულად თამაშობს, მაგრამ საერთო ჯამში, „რეალის“ ფეხბურთელი, რომელიც იჯარითაა ვალენსიის მხარეში, ვერ ამართლებს იმ ხარჯს, რაც „ერკულესმა“ მის სანაცვლოდ გაიღო. ჰოლანდიელმა ლა ლიგის 20 ტურიდან 11 თამაშში მიიღო მონაწილეობა, ბოლო 5 მატჩში მან მოედანზე ჯამში 28 წუთი გაატარა.

მოგეხსენებათ, დრენტე ბოლოს კლუბთან ფინანსური უთანხმოების გამო არ თამაშობდა - ასე ვთქვათ, აჯანყდა. შემდეგ ჰოლანდიელი დაუბრუნდა „ერკულესს“, მაგრამ ახლა მას მუხლის ტრავმა აწუხებს: *„ჩვენ ძალიან ვნანობთ. ბევრს ვეცადეთ, რომ დრენტე გუნდის ნაწილი გამხდარიყო, ბევრი ფული გავიღეთ, ის კი ვერ ამართლებს. ჩვენ კვლავ შევეცდებით, მაგრამ ცოტა ფეხბურთელმაც უნდა შეგვინყოს ხელი“*, - განაცხადა ბოტელიამ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჟიგიჩი, უკან ესპანეთში

შესაძლოა, „ბირმინგემ სიტის“ ფორვარდი **ნიკოლა ჟიგიჩი** ისევ ესპანურ პრიმერადივიზიონს დაუბრუნდეს, ოღონდ ამჯერად ჟიგიჩს „ვალენსიაში“ ვეღარ ვიხილავთ. სანამ სატრანსფერო სეზონი დასრულდება, ფორვარდი საიჯარო ხელშეკრულებას სანტანდერის „რასინგთან“ გააფორმებს, ან კი პირდაპირი ტრანსფერით გადავა კანტაბრიაში.

30 წლის სერბ ფორვარდს ძალიან გაუჭირდა ინგლისურ ფეხბურთთან მორგება, მიუხედავად იმისა, რომ ტანმაღალია (202 სმ) და თავით ბრწყინვალედ თამაშობს. ამ სეზონში მან სულ 2 გოლი გაიტანა „ბირმინგემ სიტიში“. ჟიგიჩისთვის „რასინგი“ უცხო გუნდი არ არის, სერბეთს გარეთ ეს მისი პირველი გუნდია, სადაც 2006 წელს „ცრვენა ზვეზდადან“ გადავიდა. მან პირველივე სეზონში 12 გოლი გაიტანა და **პედრო მუნიტისთან** ბრწყინვალე დუეტი შექმნა.

ჟიგიჩი ინგლისმა ვერ იგუა

„რასინგის“ ახალმა ინვესტორმა **საიედმა** განაცხადა, რომ კლუბის ბიუჯეტს 50 მილიონ ევროს მიახმარს, რომელიც უმთავრესად სატრანსფერო საქმეებისთვის დაიხარჯება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ხელები შორს მეფე ლოვისგან!

ბილბაოს „ატლეტიკის“ პრეზიდენტმა **ფერნანდო მაკუამ** ცივი წყალი გადაასხა ევროპული კლუბების წარმომადგენელთა იმედებს, ვისაც ბასკთა ცენტრფორვარდის, **ფერნანდო ლორენტეს** ხელში ჩაგდება სურთ - მაკუა ამბობს, რომ არათუ ამ სატრანსფერო სეზონში, არამედ ზაფხულშიც კი „ბილბაო“ „მეფე ლომს“ (ლორენტეს მეტსახელია) არ გაყიდის. 25 წლის მსოფლიოს ჩემპიონს შესანიშნავი სეზონი აქვს პრიმერაში - 13 გოლი გაიტანა, აქედან 8 თავურით. *„კატეგორიულად ვაცხადებ, ფერნანდო არ დატოვებს „ატლეტიკის“ რიგებს ამ ზაფხულში. ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს და დიდ პროექტს ვახორციელებთ, ამ პროექტისთვის შეგულებული მთავარი მოთამაშეები, მათ შორის ლორენტეც, არ იყიდებიან და ტყუილად ნუ შეწუხდებით“*, - განაცხადა ფერნანდო მაკუამ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინტერვიუ. ლუსიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინჯერი ბაიერს ისევ მოუგებს!

## ბრაზილიელი ვან გაალსა და ჰიონესს ლანძღავს, მაგრამ მიუნხენში დაბრუნებაზე უარს მაინც არ იტყოდა

**მას მერე, რაც ლუსიომ მიუნხენის „ბაიერნი“ დატოვა, საფეხბურთო ექსპერტები და თვითონ მიუნხენელებიც ძალიან ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ „ბაიერნი“ დაცვაში ვერა და ვერ დალაგდა. მარტინ დემიკელისი და დანიელ ვან ბუიტენი ბავარიული გრანდის დაცვის ბურჯები რომ ვერ გახდებოდნენ, ეს იმთავითვე ცხადი იყო. მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს უფრო ახალგაზრდა უკანახაზელებისა ეიმედებოდა, მაგრამ უმაღლესი კლასის მცველებად ჯერჯერობით ვერც ჰოლგერ ბადშტუბერი და მით უმეტეს, ბრაზილიელი ბრენო ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, ლუსიო მიუნხენში დღემდე ყველას ახსოვს. ეს უკანასკნელი კი მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავს. „ბილდში“ ბრაზილიელის საინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ლუსიო „ბაიერნის“ პრეზიდენტ ული ჰიონესს უტევს. „ბაიერნის“ დაცვის ყოფილი ლიდერი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის შესახებაც საუბრობს – როგორც იცით, ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის მერვედფინალში „ბაიერნი“ სწორედ „ინტერს“ შეხვდება.**

**- ლუსიო, 2010 წელი თქვენს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. გარდა იმისა, რომ „ინტერთან“ ერთად ფაქტობრივად ყველაფერი მოიგეთ, ფიფას წლის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდით. გილოცავთ...**

- დიდი მადლობა. სიმართლე გითხრათ, ნაღდად არ მეგონა, რომ სიმბოლურ ნაკრებში შემიყვანდნენ. ეს ჩემთვის საკმაოდ დიდი სიურპრიზი იყო. ზოგადად კი, 2010 წელი ჩემთვის მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა. მოვიგე იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ამაზე ვოცნებობდი.

**- საკლუბო მუნდიალის შემდეგ მილანური კლუბის ხელმძღვანელებმა რაფა ბენიტესი გაათავისუფლეს. ესპანელმა სპეციალისტმა „ნერაძურის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მხოლოდ 6 თვე გაძლო. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაამართლა ბენიტესმა „ინტერში“?**

- ზუსტად არც მე ვიცი. ფაქტია, რომ პრობლემები გვქონდა და კლუბის ბოსმა მასიმო მორატიმ გადადგა ნაბიჯი, რომელიც ლოგიკური იყო. „ინტერს“ წინა სეზონში ფანტასტიკური შედეგები ჰქონდა და არ მიკვირს, მორატი მიმდინარე სეზონში ნაჩვენები ფეხბურთითა და შედეგებით ძალიან უკმაყოფილო რომ არის.

**- მორატის უდიდესი ძალაუფლება აქვს. ზუსტად ისეთი, როგორიც ული ჰიონესს „ბაიერნში“. შეგიძლიათ, მასიმო და ული ერთმანეთს შეადაროთ?**

- მორატი ძალიან განონასწორებული ადამიანია და სხვათა შორის, ძალიან თბილი პიროვნებაა. უკვე დიდი ხანია, რაც „ინტერს“ პატრონობს და არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც „ნერაძურიში“ უთამაშია და მორატიზე რაიმე ცუდი ეთქვას. მასიმომ „ნერაძურის“ ძალიან ბევრი რამ გაუკეთა და მიუხედავად ამისა, როცა გუნდი წარმატებებს ვერ აღწევს, მორატი ფეხბურთელებს აგრესიულად მაინც არასდროს ესაუბრება. ჰიონესი მორატის მხოლოდ იმით ჰგავს, რომ მანაც ძალიან ბევრი რამ გაუკეთა მიუნხენურ კლუბს, მაგრამ ულის მასიმოსთან შედარებით გაწონასწორება, ასე ვთქვათ, ბალანსი აკლია. მორატი არასდროს ბრაზდება და ყოველთვის განტვირთულია. ჰიონესი კი ძალიან ხშირად აფრქვევს ბოღმას. ული ხანდახან ისეთ რაღაცებს ამბობს, რომ ადრესატებს გულს ტკენს ხოლმე, რასაც მორატიზე ვერასდროს იტყვი.

**- ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჰიონესზე გაბრაზებული და ნაწყენი ხართ...**

- დიახ, ასეა. ერთხელ, მატჩის შემდეგ გასახდელში ძალიან ცუდად მომექცა. მესმის, მას უნდა, რომ „ბაიერნმა“ ყველა თამაში მოიგოს, მაგრამ ყოველთვის წარმატებული ვერ იქნები, ხანდახან წაგებაც უნდა აიტანო. აბსოლუტურად ნორმალური და ჩემთვის მისაღებია ისიც, რომ წაგების შემდეგ შეფი ბრაზდება, მაგრამ ვფიქრობ, გუნდის მენეჯერმა ან პრეზიდენტმა ასეთ დროს თავი უნდა აკონტროლოს, არაფრის დიდებით არ უნდა თქვას ისეთი რამ, რითაც ფეხბურთელს ან მწვრთნელს გულს ატკენს.

**- უფრო კონკრეტულად გვიამბობთ?**

- ეს იმ სეზონში მოხდა, როცა „ბაიერნმა“ მართლა ძალიან ცუდად ითამაშა და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვა, ანუ, 2006/2007 წლების სეზონში. ერთ-ერთი თამაშის შემდეგ ჰიონესი გასახდელში შემოვიდა და ყველას გვლანძღავდა, ყველაზე მეტად კი მე მაკრიტიკებდა. ისეთი სიტყვები მითხრა, ვერ გავიმეორებ. ასეა, ული ხანდახან თავს ვერ აკონტროლებს ხოლმე, რაც ფეხბურთელისთვის შესაძლოა, ნორმალური იყოს, მაგრამ პრეზიდენტისთვის აშკარად შეუფერებელია. სხვათა შორის, კარლ-ჰაინც რუმენიგე აბსოლუტურად სხვანაირია.

**- როგორი?**

- როცა რუმენიგეს ჩემთვის რამის თქმა უნდოდა, მირეკავდა და პირადად მეუბნებოდა, ან კაბინეტში მიბარებდა ხოლმე. ვფიქრობ, რომ ყველა ბოსი თუ მწვრთნელი ასე უნდა იქცეოდეს. ასეთი მოპყრობით პატივისცემას დაიმსახურებს. როგორც ჩანს, ული ჰიონესს არც უნდა, რომ მას პატივს სცემდნენ. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის.

**- ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ინტერი“ „ბაიერნს“ უნდა შეხვდეს...**

- ძალიან დაძაბული და ემოციებით დატვირთული თამაში გამოვა. „ბაიერნი“ მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადის – მნიშვნელობა არ აქვს, საკუთარ მოედანზე თამაშობს, თუ სტუმრად. იმედი მაქვს, რომ მიუნხენური კლუბის დამარცხებას ახლაც მოვახერხებთ და მეოთხედფინალში გავალთ. თუმცა ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება. ჩემი აზრით, „ინტერი“ წელსაც „ბაიერნზე“ ძლიერი გუნდია, თუმცა მიუნხენელებსაც შეუძლიათ არა მარტო ჩვენი გამოგდება და მეოთხედფინალში გასვლა, არამედ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც.

**- ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნი“ რომ დაამარცხეთ, ამ ფაქტმა განსაკუთრებით გაგახარათ?**

- დიახ და ამას არც ვმალავ, მაგრამ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ამ სიხარულს შურისძიებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ჩემთვის ასეთი რამ უცხოა და სიმართლე ვთქვა, ზოგადად „ბაიერნთან“ შურის საძიებელი არც არაფერი მქონდა. მიუნხენში ხომ რამდენიმე გენიალური წელიწადი გავატარე. თუმცა დღემდე მწყდება გული იმის გამო, რომ „ბაიერნმა“ გამყიდა. ადგნენ და გამომიცხადეს, აღარ გვჭირდებიო. არადა, მერე გამოჩნდა, რომ საჭირო ვიყავი, თუმცა ამას დღემდე არავინ აღიარებს. სწორედ ასეთი მიდგომის გამო გამიორმაგდა იმის სურვილი, რომ „ბაიერნი“ დაგვემარცხებინა. ფინალი მართლაც ძალიან კარგად ვითამაშე და ამით გავეცი საკადრისი პასუხი როგორც ვან გაალს, ასევე ჰიონესს.

**- ხვალ მიუნხენიდან რომ დაგიკავშირდნენ და დაბრუნება გთხოვონ, რას უპასუხებთ?**

- როცა მადრიდული ფინალი დასრულდა, ჩემს ქალიშვილთან ერთად „ბაიერნის“ ფანებთან მივედი. ყველა წამოდგა და ტაში დამიკრეს! ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო, განსაკუთრებული მომენტი იყო. რაში მჭირდება ჰიონესისა და ვან გაალის აღიარება, როცა ათასობით ფანმა მაღიარა და ტაში დამიკრა? სხვათა შორის, მაშინ „ბაიერნის“ დროშა მესროლეს, რომელსაც მაშინვე ვაკოცე. რეკორდმაისტერს და მის გულშემატკივრებს უდიდეს პატივს ვცემ! რომ არა ჰიონესი და ვან გაალი, ამ გუნდთან მხოლოდ კარგი მოგონებები დამაკავშირებდა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, „ბაიერნში“ დაბრუნების პრობლემა არ მექნებოდა... ოღონდ, ამისათვის საჭიროა, რომ „ინტერს“ აღარ ვჭირდებოდე, ხოლო „ბაიერნს“ კი ჩემი დაბრუნება უნდოდეს.

**- მიუნხენში გატარებულ წლებს ხშირად იხსენებთ?**

- რა თქმა უნდა. ბავარიაში ძალიან ბევრი ახლო მეგობარი მყავს, „ბაიერნთან“ ერთად ბევრი ტიტული მოვიგე, ჩემი ქალიშვილი მიუნხენში დაიბადა, ჩემი ვაჟი კი დღემდე „ბაიერნის“ თავგადაკლული ფანია...

**გოტფრიდ ლენცი**

● სერია A

# ლიდერთა საგრანსფერო ციებ-ცხელება

**დიდი იტალიური სამეულის შემდეგ, დადგა დრო, რომ სხვა გუნდების ბანაკშიც შევიხედოთ და სატრანსფერო საკითხები მიმოვიხილოთ. თქვენი ყურადღება „ნაპოლიზე“, „ლაციოსა“ და „რომაზე“ უნდა შევაჩეროთ. „ჯალოროსის“ ფეხბურთელები არ მალავენ, რომ მათი მიზანი სკუდეტოს მიპოვებაა, აი „ლაციოს' და „ნაპოლის“ წარმომადგენლები კი ერიდებიან ასეთი ამბიციური განცხადებების გაკეთებას და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის სურვილს ამჟღავნებენ. არადა, იგივე „ნაპოლი“ მეორე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და XXI ტურის შემდეგ ლიდერის მთავარ მდევრად გვევლინება. დანარჩენზე ქვემოთ ვისაუბროთ...**

## ნაპოლი

როგორც ჩანს, **აურელიო დე ლაურენტისმა** ჩათვალა, რომ „ნაპოლის“ ამ შემადგენლობითაც შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა და ეს შეიძლება ფატალური შეცდომაც აღმოჩნდეს. ნეაპოლური გუნდის პრეზიდენტი დაჰპირდა ტიფოზებს, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აუცილებლად გადაიბირებდა ორ-სამ მაღალი კლასის ფეხბურთელს. გულშემატკივრებიც იმედებით აღივსნენ, მაგრამ ჯერჯერობით პრეზიდენტი დანაპირებს არ ასრულებს. გუნდი იმდენად კარგად თამაშობს, რომ ქომაგები პროტესტის ყველანაირ ფორმას ერიდებიან - საამისო ვითარება უბრალოდ არ არის, მაგრამ სამხრეთელებს ეს შეიძლება ცუდად შემოუბრუნდეთ. გუნდი სამ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას: სერია A-ში, იტალიის თასსა და ევროპის ლიგაში – სამ ტურნირზე ერთდროულად ასპარეზობას კი დიდი ენერგია სჭირდება და ამ თემაზე **ვალტერ მაძარიმაც** არაერთხელ გააკეთა განცხადება. მოვუსმინოთ „ნაპოლის“ მთავარ მწვრთნელს:

*„რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ სერია A-ს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი გვიკავია და სათასო ტურნირებშიც ვაგრძელებთ ასპარეზობას. ეს შესანიშნავია, მაგრამ საღი გონება არ უნდა დავკარგოთ და მინაზე ორივე ფეხით მყარად გვმართებს დგომა. სამ ფრონტზე ბრძოლა ისეთ გუნდებსაც კი უჭირთ, რომელთა ბიუჯეტი ჩვენსას ათჯერ აღემატება. ურიგო არ იქნებოდა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ორი-სამი მაღალი დონის ფეხბურთელი გადაგვებირებინა, ამით ბევრ მოსალოდნელ პრობლემას ავიცილებდით თავიდან“.*

მაძარი უკონფლიქტო ადამიანია, სრულიად არასკანდალური და იშვიათად პრეზიდენტს ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვა კატეგორიულად მოსთხოვოს. ამიტომ, სურვილი დიმპლომატიური ენით გააჟღერა და ამასთან, პირდაპირ განაცხადა, რომ პრობლემები მოსალოდნელია. ვერ გეტყვით, რას აპირებს აურელიო დე ლაურენტისი, მაგრამ სნორედ მწვრთნელის კომენტარის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდია შანსი, სამხრეთულ კლუბს **მაქსი ლოპესი** შეუერთდეს. „კატანიას“ არგენტინელი ფორვარდი დიდი ხანია უფრო ამბიციურ გუნდში გადასვლას ლამობს და უკვე დაადასტურა კიდეც „ნაპოლის“ მაისურის მორგების სურვილი. მოკლე რეზიუმე ასეთია: თუ ნეაპოლელებს ყველა ფრონტზე მაქსიმალური მიზნისთვის ბრძოლა სურთ, სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეებში აქტიურობა მართებთ.

## რომა

„რომა“ მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაშია ჩაბმული, მაგრამ იმავე სკუდეტოს მოსაპოვებლად ყოველთვის რაღაც აკლდება. შესაძლოა, ეს რაღაც სწორედ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა იყოს. ამ ფორმაციის „ჯალოროსის“ ნამდვილად შეუძლია, მოგებათა სერია გამოაცხოს და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, თავად რომაელებს არ სჯერათ, რომ ლიდერის მანტიას ბოლო ტურამდე შეინარჩუნებენ. სწორედ ასე მოხდა გასულ სეზონში და თუ იტალიელი ექსპერტების ინტუიციას დავუჯერებთ, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. თუმცა, რატომ მხოლოდ ინტუიციას – შემადგენლობა პრაქტიკულად იგივეა და არც მწვრთნელია სხვა, ასე რომ, მოსაზრება ლოგიკას არის დაფუძნებული.

შესაძლოა, „რომა“ **ფილიპ მექსემ** დატოვოს და „მილანში“ გააგრძელოს კარიერა – ჯერჯერობით, სხვა რაიმე საინტერესო სატრანსფერო ინფორმაცია „ჯალოროსისთან“ დაკავშირებით არ ვრცელდება. გულშემატკივრებს საპროტესტოდ უნდა ჰქონდეთ საქმე, მაგრამ კლუბის პრეზიდენტს **როზელა სენსის** ძალიან გაუმართლა, ბოლო პერიოდში „რომა“ პროგრესს განიცდის და სატურნირო ცხრილში მაღლა მიიწევს. ამასთან, მიმდინარე სეზონში უკვე ორჯერ დაამარცხა უპირველესი მტერი, „ლაციო“ და ამით ტიფოზებს საუკეთესო განწყობა შეუქმნა. ანუ, ის დრო, როდესაც უმოქმედობის გამო არავინ გაგაკრიტიკებს, რადგან საამისო განწყობა უბრალოდ არ აქვთ. განწყობა გასაგებია, მაგრამ რისი მიღწევა შეუძლია ასეთ „რომას“? – პროგნოზი ასეთია: იმის, რასაც ბოლო წლებში სტაბილურად ახერხებდა, სკუდეტოსთვის ბრძოლა... დანარჩენზე **კლაუდიო რანიერი** ისაუბრებს: *„ყველაზე რთული უკვე გადავლახეთ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. სეზონის სტარტი მეტად მძიმე გამოვიდა და სიმართლე გითხრათ, გუნდიდან წასვლასთან ძალიან ახლოს ვიყავი. საბედნიეროდ, ეს ნაბიჯი არ გადავდგი და დღეს ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. ძალიან საინტერესოა სკუდეტოსთვის ბრძოლა მაშინ, როდესაც ფავორიტად არავინ მიგიჩნევს. იმედია, ჩვენ გავაოცებთ იტალიურ საფეხბურთო სამყაროს“.*

რომას მუდმივ რაღაც აკლდება

## ლაციო

„ლაციომ“ უკვე გაგვაოცა და ის გუნდი გაგვახსენა, რომელიც **სვენ გორან ერიქსონის** დროს მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა. თუმცა, ეს იყო სეზონის პირველ ეტაპზე, 2011 წლის შედეგებით კი რომაელები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. რაღაც აირია **ედუარდო რეიას** მიერ აწყობილ მექანიზმში და ჯერჯერობით, მისი დალაგება ვერ ხერხდება.

„ლაციოს“ მესვეურები ყველანაირად ცდილობენ, მწვრთნელს ხელი შეუწყონ, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ერთ-ერთ ბრიფინგზე რეიამ მორცხვად განაცხადა, რომ **ჯუზეპე სკული** მისი გუნდისთვის სულაც არ იქნებოდა ზედმეტი. დაფაცურდა **კლაუდიო ლოტიტო** და სკული დღეს სწორედ „ბიანკოჩელესტეს“ ფეხბურთელია. ვერ გეტყვით, რამდენად გაამართლებს ჯუზეპეს ტრანსფერი, მაგრამ აღებული კურსი აბსოლუტურად სწორია, „ლაციოს“ ყველაზე მეტად მაინც თავდასხმაში უჭირს. **სერჯო ფლოკარი** აქა იქ იტანს გოლებს, მაგრამ როდესაც გუნდი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, აქა-იქ არ გამოდგება. ერთი სიტყვით, შეტევაში გაჭირვებული „ლაციო“ ჯუზეპე სკულით გაძლიერდა, მაგრამ რამდენად ეფექტური იქნება „ჯენოას“ ექსფეხბურთელი რომაულ გუნდში, ძალიან რთული სათქმელია. „ბიანკოჩელესტეს“ გულშემატკივრები ტრანსფერს სკეპტიკურად უყურებენ და ვნახოთ, გამართლდება თუ არა მათი პროგნოზი. ისე კი, „ლაციო“ თმობს პოზიციებს და ექსპერტთა მოსაზრებით, ეს ტენდენცია გაგრძელდება.

**ლაშა წიკლაური**

პალერმო-პარმა

● იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# პალერმოს რთული გამარჯვება

| პალერმო-პარმა | 0:0 პენ. 5:4 |
|---|---|

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, მუნოზი, ბოვო, ბალცარეტი – მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო – პასტორე, ილიჩიჩი (90. კასამი) – მიკოლი (72. მარტინესი).

**პარმა (4-3-3):** პავარინი – ძაკარდო, პაჩი, ლუკარელი, მოდესტო – გალიპა (90. ვალიანი), მორონე, მარკესი (65. ჯოვინკო) – პალადინო, კანდრევა, ბოჟინოვი (78. კრესპო).

"რენცო ბარბერაზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა 120 წუთის განმავლობაში ფიცხელი ბრძოლა იხილეს, რომელიც უგულო ფრით დასრულდა. შედეგიდანაც ჩანს და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით თამაში დიდი ვერაფერი გამოვიდა. არც მომენტი შექმნილა უხვად და შესაბამისად, მოკლედ ვიტყვით იმაზე, რაც "პალერმოს" საშინაო არენაზე ხდებოდა.

**დელიო როსიმ** ძირითადი შემადგენლობით დაიწყო თამაში, რაც იმის მომასწავებელი გახლდათ, რომ "პალერმოსთვის" თასის ნახევარფინალში გასვლა სულაც არ არის მეორეხარისხოვანი. მეორე საქმეა, რომ ამ ძირითადმა ფეხბურთელებმა აშკარად რაგდეს თამაში და რბილად რომ ვთქვათ, საუკეთესო თვისებების წარმოჩენა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, **პასკუალე მარინომ** დაზოგა წამყვანი ფეხბურთელები და "პალერმოს" ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობით დაუპირისპირდა. სათადარიგოთა სკამზე დატოვა ორი წამყვანი თავდამსხმელი: **ერნან კრესპო** და **სებასტიან ჯოვინკო**. ორივე მათგანი მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში, თუმცა გაიბრწყინესო, ვერც მათზე ვიტყვით. მოკლედ, კლასიკური იტალიური დაპირისპირება ვიხილეთ, რომელიც ოთხი ტაიმისგან და თერთმეტმეტრიანების სერიისგან შედგებოდა. დიახ, იტალიის თასის პირველი ნახევარფინალისტი პენალტების სერიაში გამოვლინდა, გამარჯვება კი სიცილიელებს დარჩათ. პარმეზანელები **ფრანჩესკო ვალიანინმ** დააღალატა, მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა **სალვატორე სირიგუს** კარის ჩარჩოს, რამაც მასპინძლებს გზა გაუხსნა თასის ნახევარფინალისკენ.

სიცილიელებმა მეტად ემოციურად აღნიშნეს "პარმას" დამარცხება, დელიო როსი კი ლამის ჭკუიდან გადავიდა და სიხარულისგან მთელი სტადიონი შემოირბინა – აქვე, მისი კომენტარი: *"ძალიან რთული თამაში იყო, რომელშიც უფრო ძლიერს გაუმართლა. მინდა შევაქო მეტოქე, ბევრი იბრძოლეს და საკმაოდ კარგადაც წარმოჩნდნენ, მაგრამ გამარჯვებას მაინც ჩვენ ვიმსახურებდით. თამაში შეტევაზე ავაგეთ და გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით, "პარმა" კი ცდილობდა ანგარიში შეენარჩუნებინა და კარი მშრალად შეენახა. როგორც ჩანს, თავიდანვე არ იყვნენ უარს, რომ პენალტები დაგვერტყა. მადლობა შეგირდებს, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ და გულშემატკივრები გაახარეს".*

**ლაშა წიკლაური**

● აგენტი, ბიბლიოთეკა

## დიუფს თურქეთში უნდოდათ

**ელ ჰაჯი დიუფმა** კარიერა შესაძლოა, თურქულ "ქონიასფორში" გააგრძელოს. 30 წლის სენეგალელი შემტევის აგენტის თქმით, მის კლიენტს გარემოს შეცვლა სურს და "ბლექბერნიდან" წასვლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. სხვათა შორის, დიუფს "ქონიაზე" გაცილებით საინტერესო პერსპექტივაც აქვს – არ არის გამორიცხული, "ლივერპულს" დაუბრუნდეს, რომლის ღირსებასაც 2002-04 წლებში იცავდა.

შეგახსენებთ, დიუფმა სახელი 2002 წლის მუნდიალზე გაითქვა. მანამდე საფრანგეთში "სოშოში", "რენსა" და "ლანსში" ითამაშა, ინგლისში კი "ლივერპულისა" და "ბლექბერნის" გარდა, "ბოლტონისა" და "სანდერლენდის" ღირსებაც დაუცავს.

## ამსტერდამული ულგიმაგუმი ლივერპულს

"აიაქსი" "ლივერპულს" შაბათამდე დაელოდება და თუ მერსისაიდელები **ლუის სუარესში** 35 მილიონ ევროს არ გამოვლენ, ამსტერდამელები ფასს კიდევ უფრო გაზრდიან. არადა, "ლივერპული" ურუგვაელი მეგოლის სანაცვლოდ ჯერჯერობით, მხოლოდ 15 მილიონის გადახდაზეა ყაბულს.

"აიაქსის" თავკაც **ფრანკ დე ბურის** თქმით, მისი კლუბი შაბათის შემდეგ "ლივერპულს" ყოველდღიურად 5 მილიონი ევროთი გაუზრდისსუარესის ფასს. დე ბურმა იქვე დასძინა, რომ სუარესის შენარჩუნება ძალიან სურს და სულაც არ დასწყდება გული, თუ "ლივერპული" განზრახვაზე ხელს აიღებს.

ჯერჯერობით, "აიაქსის" გადაწყვეტილებაზე "ლივერპულის" რეაქცია უცნობია.

## გულიგის ცოლს ჩეჩნეთის ეშინია

**რუუდ გულიტის** ცოლმა **ესტელმა** ქმარს გროზნოში საცხოვრებლად ჩასვლაზე უარი სტკიცა. ესტელმა მეუღლეს უთხრა, რომ შვილებთან ერთად საცხოვრებლად ჰოლანდიაში რჩება. ჩეჩნეთში ცხოვრების პერსპექტივა არც "ტერეკის" ახალ დამრიგებელს ხიბლავს, უსაფრთხოების მიზნით გულიტი კლუბის საწვრთნელ ბაზაზე დიდებს ბინას.

*"რა თქმა უნდა, მეშინია. როგორც კი გავიგე, რომ რუუდი "ტერეკში" იმუშავებდა, მაშინვე გავიფიქრე, რომ იქ წასვლა არცთუ უსაფრთხოა და ძალიან ავღელდი. გროზნოში ვერც მე წავალ და ვერც ჩემი შვილები. გარდა იმისა, რომ საშიშია, იქ ინგლისური სკოლაც არაა. სამწუხაროდ, იმისიც კი მეშინია, რომ მას უქმეებზე ჩავაკითხოთ", -* ამბობს ესტელი, რომელიც ლეგენდარული **იოჰან კრუიფის** ქალიშვილია.

მის აზრს იზიარებს რუსეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **გუუს ჰიდინკი**. *"ეს რუუდის პირადი არჩევანია და მისი განსჯის უფლება არავის გვაქვს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მან არცთუ უსაფრთხო რეგიონს მიაშურა. მე მაგალითად, მსგავს შემოთავაზებაზე აუცილებლად უარს ვიტყოდი. როცა რუსეთში ვმუშაობდი, ამ ქვეყნის ყველა რეგიონი მოვიარე, სადაც ფეხბურთს თამაშობენ. გამონაკლისი მხოლოდ ჩეჩნეთია", -* ამბობს თურქეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. მიუნხენის ტურნირი

# მსროლელები სეზონს ხსნიან

დღეს მიუნხენში პნევმატური იარაღიდან სროლაში ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება. ამ შეჯიბრებით ტყვიის მსროლელები წლევანდელ სეზონსაც ხსნიან. ეს შეჯიბრება მეტად ხელსაყრელ ვადებში იმართება - იგი კონტინენტური პირველობებისთვის მზადებას ისახავს მიზნად და ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა კონტინენტის სპორტსმენისთვის. კონტინენტების რეგიონალური პირველობები, როგორც წესი, ძირითადად გაზაფხულზე იმართება ხოლმე, პირველად - სწორედ პნევმატურში (სპორტულიდან ბევრად გვიან - ზაფხულის დასაწყისში ტარდება). ამიტომ მიუნხენში გამოსვლა ყველას საშუალებას აძლევს, დროულად გამოავლინონ ხარვეზები და ადრინანად დაიჭირონ თადარიგი მომავალი სტარტებისთვის. ამას მშვენიერი სპორტული ბაზაც ემატება და სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს, რომ გერმანიაში ყოველწლიურად უძლიერესი შემადგენლობა იკრიბება. სავარაუდოდ, ასე იქნება ახლაც. ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში 1-7 მარტს იტალიურ ბრეშიაში გაიმართება.

გერმანიაში ჩვენგანაც საკმაოდ დიდი ნაკრები წავიდა - 7 სპორტსმენი. უფროსთა შეჯიბრებაში მხოლოდ ორი მონაწილე გვეყოლება - ქალებში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ისვრის, ვაჟებში - **ლევან ქადაგიძე**. დანარჩენი ხუთი მონაწილე ახალგაზრდებში გამოვა - ბიჭებში **დავით სულაქველიძე** და **რომან ბაბაევი** ისვრიან, გოგოებში - **ნინო ფანჩულიძე, თეონა იაშვილი** და **ანა გაგილაძე**.

როგორც გითხარით, შეჯიბრება მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ტარდება. სამაგიეროდ, ორი სტარტი იქნება, მონაწილეებმა მეტი სატურნირო პრაქტიკა რომ მიიღონ. დღეს ოფიციალური ვარჯიშის დღეა, მედლებისთვის ბრძოლა კი ხვალ დაიწყება და 29 იანვარს დასრულდება. ჩვენი გუნდის მთავარი იმედი - ნინო სალუქვაძე პირველად სწორედ ხვალ ისვრის, მეორედ კი ცეცხლის ხაზზე 29-ში დადგება. თუმცა ამჯერად მის გარდა, ახალგაზრდების გამოსვლაც გვაინტერესებს. სალუქვაძისგან განსხვავებით, მათგან მედლებს არ ველოდებით, მაგრამ შედეგები კი ნამდვილად საინტერესოა - აჩვენებენ თუ ვერა საკუთარ მაჩვენებლებს. თუმცა ფანჩულიძემ აქ შარშან სიურპრიზიც შემოგვთავაზა, როცა 374 ქულა გააკეთა - ამ მაჩვენებლის ფარგლებში ჩვენი ნაკრების წევრები ისროდნენ.

რაკი შარშანდელის გახსენებაზე მიდგა საქმე, ბარემ ისიც ვთქვათ - შემოდგომაზე სალუქვაძემ სწორედ მიუნხენში გაიმარჯვა მსოფლიოს სუპერთასის ფინალურ ტურნირში და სანუკვარ ჯილდოს მეცხრედ დაეუფლა. ამით კიდევ უფრო გაზარდა რეკორდული მაჩვენებელი - ოლიმპიურ ჩემპიონებს, სერბ **იასნა სეკარჩისა** და ჩინელ **ტაო ლუნას** ეს თასი მხოლოდ 6-6-ჯერ მოუპოვებიათ.

**ირაკლი თავაძე**

რეგიონი

# პროკურატურა ახალგაზრდების სამსახურში

გასულ შაბათ-კვირას გორში ახალგაზრდა ძიუდოისტთა საინტერესო ტურნირი ჩატარდა - შიდა ქართლის ღია პირველობა, რომელშიც რეგიონის გუნდების გარდა, თბილისელი და ახმეტელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ. არანაკლებ საინტერესო იყო ორგანიზატორის ვინაობაც - გორის რაიონის პროკურატურა. თურმე, ეს სტრუქტურა მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვა რეგიონებშიც ატარებს ანალოგიურ შეჯიბრებებს. მისასალმებელია, რომ სამართალდამცავები თავიანთი პირდაპირი მოვალეობის გარდა, საზოგადოებაზე, მის ახალგაზრდულ ნაწილზე სპორტული აქტივობის თვალსაზრისითაც ზრუნავენ. ეს ხომ დანაშაულის შემცირების საუკეთესო გზაა - ახალგაზრდობა რაც უფრო მეტად ჩაებმება სპორტში, მით ნაკლებია მისი კრიმინალში გარევის საშიშროება...

ეს ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა - 100-მდე მოზარდი მონაწილეობდა, თუმცა მათი უმეტესობა მჩატე წონებზე მოდიოდა, ზედა წონებში კი შედარებით ნაკლები მონაწილე იყო და ორგან მხოლოდ თითო ბრინჯაო გათამაშდა. მონაწილეთა შემადგენლობაც კარგი იყო - მრავლად შეხვდებოდით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებს ძიუდოსა და სამბოში, რომლებსაც არათუ საქართველოში, უცხოეთშიც არაერთხელ უსახელებიათ თავი. ყველაზე მეტი მედალი გორელებმა ირგუნეს, მათ შორის - ოქროსიც, თუმცა მთლად ხელცარიელნი არც სტუმრები დარჩენილან. არა გვგონია, მასპინძელთა წარმატება ვინმეს გაუკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ გორელთა ტრადიციებს ძიუდოში და იქაური სკოლის სიძლიერეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ხაშურელი **გიგა ხვედელიძე** (55), ქარელელი **ლაშა გიუნაშვილი** (60), კასპელი **ვახტანგ ტურაშვილი** (100), გორელები - **ოთარ არჩვაძე** (66), **ლაშა შავდათუაშვილი** (73), **უშანგი გასიტაშვილი** (90) და თბილისელები - **ბექა რატიანი** (81) და **დავით ჩოქური** (+100).

**ირაკლი თავაძე**

ფიგურული ციგურაობა

ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი

# მე-16 ადგილზე, მოკლე პროგრამის შემდეგ

გუშინ ბერნში, ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ ციგურაობაში ქართულმა წყვილმა (**ელისონ რიდი, ოთარ ჯაფარიძე**) მოკლე პროგრამაში იასპარეზა. პირველი დისციპლინის შემდეგ ელისონი და ოთარი მე-16 ადგილზე არიან, რაც, საერთო ჯამში, ურიგო შედეგი არ არის. ჩვენებურები ყინულზე მეოთხენი გავიდნენ და მათ მსაჯებისგან 46,86 ქულა დაიმსახურეს. ქართველებმა უფრო კარგი შეფასებები ტექნიკურ სეგმენტში მიიღეს, ვიდრე პროგრამულში, თანაც მათ ერთი ქულა ჩამოაკლდათ. პირველი დღის შემდეგ რიდისა და ჯაფარიძის წყვილმა ერთბაშად ხუთ დუეტს (ესპანელები, ბრიტანელები, შვეიცარიელები, ებრაელები და ესტონელები) აჯობეს. მოკლე პროგრამის შემდეგ ყინულზე ცეკვებში ფრანგები, **ნატალი პეშალა** და **ფაბიან ბურტაზი** ლიდერობენ 66,91 ქულით. ნებისმიერი პროგრამა ყინულზე ცეკვებში 28 იანვარს გაიმართება. ამავე დღეს დაიწყებს ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატზე შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო-თხილამურობა

იასონ აბრამაშვილი

# იასონი მსოფლიოს თასს გაუშინაურდა, მაგრამ...

ჩვენმა მოწინავე სამთო-მოთხილამურემ, **იასონ აბრამაშვილმა** კვლავ მოსინჯა ძალები მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე - ამჯერად მან შლადმინგის (ავსტრია) სლალომში იასპარეზა, თუმცა პირველი ცდა ვერც ახლა ჩაამთავრა და ტურნირს გამოეთიშა. სხვათა შორის, როგორც კიცბიუელის სლალომი, ეს შეჯიბრებაც ფრანგმა **ჟან-ბაპტისტ გრანჟმა** მოიგო. 80 მონაწილეს შორის აბრამაშვილი რეიტინგით 77-ე იყო.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრები იტალიაში იმყოფებიან, სადაც კურორტ რემესში ფის-ის ეგიდის ტურნირებში მონაწილეობენ. 25 იანვარს სლალომში სამი ქართველიდან ორივე ცდა მხოლოდ **ალექსი ბენაიიძემ** ჩაამთავრა და საბოლოოდ 21-ე ადგილზე გავიდა, **ბიძინა ქართველიშვილს** პირველივე ცდაზე მოეცარა ხელი, **კოტე ვახტანგიშვილს** - მეორეზე. გუშინდელ სლალომში კოტე ვახტანგიშვილმა 26-ე ადგილი დაიკავა, **დიმიტრი გედევანიშვილმა** - 33-ე, ბიძინა ქართველიშვილმა - 36-ე, ხოლო ბენიაიძე ამჯერად ტრასის მიღმა დარჩა. **ნინო წიკლაურმა** აბეტონეს (იტალია) გიგანტურ სლალომში („სითიზენის" ეგიდით) მე-17 ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# წინ მიიწევენ

გრენობლის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) ქართული ტრიოსთვის წარმატებულად მიმდინარეობს. ჩვენებურებმა ჯერ საკვალიფიკაციო ბატალიები გადალახეს, შემდეგ კი ძირითადი ბადის პირველ წრეში მოგებებით დაინყეს - 22 წლის **თათია მიქაძემ** (292) ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია მოახდინა - მან მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ **ანა ფლორისს** (165) მოუგო - 7:6 (1), 3:6, 6:3. მერვედფინალში გასვლისთვის თათიამ 8 სარეიტინგო ქულა გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ, წესით, თათიას გრენობლის ტურნირის ძირითად ბადეში არ უნდა ეასპარეზა, რადგან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა, თუმცა თამაშის უფლება მან „ილბლიანი დამარცხებულის" სტატუსით მოიპოვა და რეიტინგში 130 საფეხურით წინ მდგომი ჩოგბურთელიც გამოთიშა. მიქაძეს არც **მაკა ჩახნაშვილი** (257) ჩამორჩა, რომელმაც ფრანგ **ფლორენს ჰარინგს** (878) აჯობა, რომელიც „უაილდ ქარდით" იყო გრენობლში მიწვეული, მაკამ ორ სეტში მოიგო - 6:1, 6:4. **სოფიო შაფათავა** (281) მასპინძელ **ჟული კოინს** (203) ეთამაშება.

წყვილთა ბადეში შაფათავასა და მიქაძის წყვილი ვერ გაუმკლავდა **კეტი ო'ბრაიენისა** (დიდი ბრიტანეთი, 173) და **ლიანა-გაბრიელა უნგურის** (რუმინეთი, 160) დუეტს - 4:6, 7:6 (8), 12:14.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ჭაიბრეიკებს მიენდვნენ

დავით ზარქუა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალისა და მე-3 ადგილისთვის პაექრობაში ბოლო (მე-4) კლასიკური პარტიები გათამაშდა. ჩემპიონობისთვის, მოგეხსენებათ, ეროვნული ოსტატი **დავით ზარქუა** (2356) და დიდოსტატი **ლევან ფანცულაია** (2610) იბრძვიან. გუშინ თეთრებით ზარქუა იყო. მართალია, მან დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო, მაგრამ ეს წარმატების გარანტიას არ იძლეოდა, ამიტომ მეტოქეებმა ზედმეტ დავიდარაბას თავი აარიდეს და მე-16 სვლაზე დაზავდნენ, ოქროს მედლის მფლობელის გამოვლენა ტაიბრეიკებს მიანდეს, ისევე, როგორც ბრინჯაოსთვის მებრძოლებმა - საერთაშორისო ოსტატმა **ლუკა პაიჭაძემ** (2483) და ეროვნულმა ოსტატმა **გიგა ყუფარაძემ** (2395). ორივე შეხვედრაში ანგარიში თანაბარია - 2:2.

- საქართველოს ჩემპიონატში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი - შეიძლება ითქვას, რომ, ბაადურ ჯობავას გარდა, ყველა თამაშობდა, - მითხრა დავით ზარქუამ. - პირველ ლიგაში საგზურის მოპოვების შემდეგ უმაღლესი ეშელონის 16 საუკეთესოში მოხვედრა ჩემთვის დიდი პატივი იყო. მართალი გითხრათ, მთლად უიმედოდ არ ვყოფილვარ, მაგრამ ფინალში თუ ვითამაშებდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

აქამდე ეროვნულ ჩემპიონატებში ორჯერ ვიასპარეზე: 2004 წელს წრიული სისტემით პაექრობისას საერთაშორისო ოსტატის ბალი შევასრულე. 2008 წელს ნოკაუტსისტემით გამართული შეჯიბრების სტარტზევე ტაიბრეიკებში დავმარცხდი დავით ჯოჯუასთან.

წლევანდელი ასპარეზობის პირველ რაუნდში ნილისყრამ ტურნირის რეიტინგფავორიტი მიხეილ მჭედლიშვილი (2641) მარგუნა. 2004 წლის ჩემპიონატში ვძლიე მას, ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში კი მან მომიგო და წონასწორობა აღადგინა. ამჯერად თეთრი ფიგურებით ძველინდური დაცვის ერთ-ერთი არაპოპულარული გაგრძელება ავირჩიე. დებიუტში მცირე უპირატესობას მივაღწიე, რაც ბოლომდე გამოვიყენე და გავიმარჯვე, მომდევნო პარტიაში დავზავდით და ასე გავედი მეორე რაუნდში, სადაც გიორგი მარგველაშვილი დავამარცხე, ლუკა პაიჭაძეს კი ნახევარფინალში მხოლოდ ტაიბრეიკებში ვაჯობე, რითაც გადამწყვეტ ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვე. ჩემს საჭადრაკო კარიერაში ეს ყველაზე დიდი წარმატებაა.

ოცნებად მქონდა ქცეული, ეროვნულ ნაკრებში მეთამაშა, მაგრამ წლების განმავლობაში ამას ვერ ვახერხებდი, რადგან ჩვენთან პირველ გუნდში მოსახვედრად საკმაო კონკურენციაა, თანაც ჭაბუკობიდანვე ფინანსური პრობლემების გამო საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრებას ვერ ვახერხებდი, რაც ჩემს საჭადრაკო წინსვლას აფერხებდა. ბოლო ორი წელიწადია, მწვრთნელად ვმუშაობ და შეძლებისდაგვარად ტურნირებზეც დავდივარ. ამჯერად, ფინალის შედეგის მიუხედავად, ოცნება ავისრულე - წლეულს ნოემბერში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას დავიცავ საბერძნეთში, 21 მარტიდან კი კონტინენტის ვაჟთა ინდივიდუალურ ჩემპიონატში ჩავებმები პირველად. ნაკრებში ადგილის დაბევებამ პასუხისმგებლობა და ენთუზიაზმი გამიორკეცა. იმედების გასამართლებლად ყველაფერს ვიღონებ.

**- ფინალზე არაფერი გითქვამს...**

- აბა, რა გითხრათ - ძალიან ძლიერი და გამოცდილი მეტოქე მყავს, რომელმაც ნაკრებში თამაშისა და საქართველოს ჩემპიონობის გემოც იცის. ჩვენი ოთხივე კლასიკური პარტია დაძაბული გამოდგა. ვფიქრობ, რომ ტაიბრეიკებიც ასეთი იქნება...

**ვაჟა დანელია**

# ქულას ზავი მოაყოლა

ბიბრალტარში, როგორც გაუწყეთ, დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი დაიწყო, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 233 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის — 60 დიდოსტატი.

პირველ ტურში 90-მა მოჭადრაკემ მიაღწია წარმატებას. სტარტზე გამარჯვება იზეიმა **ნანა ძაგნიძემაც. გიგა ყაჭეიშვილს**, რომელმაც ტურნირზე ჩასვლა დაავიანა სავიზო პრობლემების გამო (ეტყობა, ორგანიზატორები გაფრთხილებული ჰყავდა), ნახევარი ქულა დაეწერა, ხოლო **სალომე მელიამ** ესპანელ **ფრანსისკო ვალიეხოსთან** წააგო. საგულისხმოა, რომ ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა **ჰოუ იფანმა** (ჩინეთი) ბოლო მომენტში თქვა უარი შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ტურნირის რეიტინგფავორიტია უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** (2764). პირველ ხუთეულში შემდეგ მოდიან **მაიკლ ადამსი** (ინგლისი, 2723), **ფაბიანო კარუანა** (იტალია, 2721), ფრანსისკო ვალიეხო (ესპანეთი, 2698) და **ვიქტორ ბოლოგანი** (მოლდოვა, 2693). Nნანა ძაგნიძე გუშინ თეთრი ფიგურებით ადამსს დაუპირისპირდა. მძიმე და დრამატული ორთაბრძოლა 73-ე სვლაზე ზავით დამთავრდა.

გაუწყებთ ტურნირის დანარჩენ ფავორიტთა შედეგებს: ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-რაბლო ლაფუენტე (არგენტინა) 1:0, ფაბიანო კარუანა (იტალია)-ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) 0:1, ანტონეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-ფრანსისკო ვალიეხო (ესპანეთი) 0:1, ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა)-დიიფ სენგუფთა (იდოეთი) 0:1, პია კრამლინგი (შვედეთი)-ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 0:1, ჩანდა სანდიპანი (ინდოეთი)-ანა ზატონსკიხი (აშშ) 1:0, ჟუ ჩენი (ყატარი)-რომან ედუარდი (საფრანგეთი) 1:0. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)-კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) 1:0...

დღეს მესამე ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 74 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის თვალსაჩინო მუშაკი, ვეტერანი მოფარიკავე, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ყოფილი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, თასის მფლობელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 1992 წლიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრი**

**მორის სახვაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

● საქართველოს თასი

# სტუდენტების დღე

## ჩიკვილაძე და ისევ 37

**რუსთავი, 26 იანვარი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**სტუ-ბათუმი 92:89**

29:21, 25:29, 20:21, 18:18

სტუ: ჭოხონელიძე, ბერუაშვილი (19ქ), ჩიკვილაძე (37ქ), გასიტაშვილი (1ქ), მაჩალაძე (6ქ), თევზაძე (3ქ), კობიძე (11ქ), ჯანგველაძე (5ქ), ლაშქარაძე (5ქ), ძიძიგური (2ქ), ახალკაცი (3ქ).

ბათუმი: რამიშვილი, მაისურაძე (22ქ, 10მ), მიქელაძე (8ქ), ნინუა (3ქ), ჩხატარაშვილი (5ქ), კეშელავა (15ქ, 15მ), ელიაშვილი (6ქ), სანაძე (30ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

კომისარი: რ. გელოვანი

**დინამო-აგრარული 78:96**

14:21, 13:23, 19:24, 32:28

დინამო: ივანეიშვილი (4ქ), ეძგვერაძე (7ქ), პატარაია (12ქ), თვაური (6ქ), გლუნჩაძე (2ქ), ცაგარეიშვილი (3ქ), ალხანაიძე (14ქ), გულდედავა (2ქ), ჩაველაშვილი (28ქ).

აგრარული: ტეტელაშვილი (18ქ), ნანიტაშვილი (13ქ), ბაიკაშვილი (5ქ), კანდელაკი (2ქ), ჩაჩანიძე (8ქ), ხანიაშვილი (13ქ), გემაზაშვილი (9ქ, 10მ), მუმლაძე (13), ჯავახიშვილი (8ქ, 14მ), არნავიძე (7ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

დინამო-აგრარული

საქართველოს თასის მე-9 გათამაშება გუშინ რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს ფავორიტები ისვენებდნენ, ოთხი გუნდი კი დამატებით ეტაპზე არკვევენ ერთი ბედნიერის ვინაობის, რომელიც განთესილებს მეოთხედფინალიდან შეუერთდება. დამატებითი ეტაპის ფორმატი ასეთია - ორი წყვილის გამარჯვებული ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში შეხვდება და თუ იქაც მოიგებს, ზემოთ ნახსენები მეოთხედფინალის საგზური ერგება.

გუშინ ორი მატჩი გაიმართა: სტუ „ბათუმს“ დაუპირისპირდა, ხოლო „აგრარული“ - „დინამოს“. გაიმარჯვეს ტექნიკოსებმა და აგრარებმა და ერთმანეთის წინაშე დღეს, 27 იანვარს 14 საათზე წარდგებიან.

■ ■ ■

ალბათ, ისიც ბევრს აინტერესებს, როგორ წარიმართა გუშინდელი შეხვედრები. მეტად საინტერესო გამოდგა სტუ-“ბათუმის“ დაპირისპირება. მატჩი ბოლო წამებამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. საფინალო სირენას 5 წამი უკლდა, ანგარიში კი საყაიმო იყო - 89:89. სწორედ ამ დროს ტექნიკოსთა ლიდერმა **ბექა ჩიკვილაძემ** სამქულიანი ისროლა, ჩაადო და „ბათუმი“ თასს მიღმა დატოვა.

ბექამ 37 ქულა მოაგროვა. ამ სეზონის რეკორდიც სწორედ ამდენია - 18 დეკემბერს სუპერლიგაში 37 ქულა იმავე ჩიკვილაძემ ჩააგდო.

ბათუმელთა რიგებში გამოირჩა „ენერჯიდან“ გადასული **დუდა სანაძე** - 30 ქულა. ორმაგი დუბლები შეასრულეს **ვანო მაისურაძემ** (22 ქულა, 10 მოხსნა) და **ლაშა კეშელავამ** (15 ქულა, 15 მოხსნა).

■ ■ ■

გუშინ სტუდენტების დღე იყო - სტუ-ს შემდეგ „აგრარულმაც“ გაიმარჯვა, რომელმაც „დინამოს“ 96:78 სძლია.

აგრარების შემადგენლობაში 18 ქულით ბომბარდირი **გიორგი ტეტელაშვილი** გამოირჩა. დინამოელთაგან კი **ნიკა ჩაველაშვილი**, რომელმაც 28 ქულა ჩაადო. თუმცა მისი სიზუსტე გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ლეგიონერები

# ესპანეთის ბადალი საღ არის?

**ევროთასზე სამი საქომაგო ობიექტი შეგვრჩა - სევილიის „კახასოლი“, კანარის კუნძულების „გრან კანარია“ და მადრიდის „ესტუდიანტესი“.**

■ ■ ■

„კახასოლში“ **ბექა ბურჯანაძე** ირიცხება, რომელიც ბოლო ტურის მატჩის განაცხადში კი იყო, თუმცა მწვრთნელმა მოედანზე არ გაიყვანა.

„კახასოლმა“ მწყობრი თამაშითა და ასეთივე ანგარიშით (66:55) იტალიური „ბენეტონი“ დაამარცხა.

სევილიელებს ორი ტურის შემდეგ ამდენივე მოგება აქვთ.

■ ■ ■

გაიმარჯვა „გრან კანარიამაც“, რომლის მეტოქე სერბული „ჰემოფარმი“ იყო. კუნძულელებმა დაძაბულ ბრძოლაში 72:66 იმარჯვეს.



ტორინ გრინი

ესპანელთა და საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **ტორინ გრინმა** 15 წუთში 2 ქულა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

„კანარიას“ თითო მოგება-ნაგება უწერია.

■ ■ ■

**ტაირონ ელისი** საქართველოს ოთხი წელი გულიანად ემსახურა და ყოველთვის საინტერესოა მისი საკლუბო ამბები. ტაირონმა გრინის მსგავსად 2 ქულა ჩაადო, რასაც 1 მოხსნა და 2 პასი მიამატა (22 წუთში).

მისმა გუნდმა კი „გალათასარაი“ თურქეთში დაამარცხა - 68:57.

ევროთასზე „ესტუდიანტესსაც“ ორი ტურის (მეორე ჯგუფურ ეტაპზე) შემდეგ ამდენივე მოგება აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!**

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

*დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.*




# ერთი დღე ბარსამდე

**2006 წელს ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზეთ მანუჩარ მარკოიშვილის დღიური. ორი წლის შემდეგ გიორგი ცინცაძის ჩანაწერები გამოვაქვეყნეთ... მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საქართველოს ნაკრების წევრების ყოველდღიურ ცხოვრებას. კალათბურთელებზე ინფორმაციებს კვირაში ერთხელ, მატჩების მიხედვით ვიღებთ და გაზეთში ვწერთ ხოლმე: 15 წუთში 7 ქულა და ა.შ... მაგრამ მხოლოდ კალათბურთელებმა უწყიან, რამდენი ოფლი იღვრება „კულისებში“, ვარჯიშებზე. ამის გარკვევასა და კალათბურთელთა უკეთესად გასაცნობად მათი დღიურის სააშკარაოზე გამოტანა საუკეთესო საშუალებაა. ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ, საქართველოს ნაკრების მორიგი კალათბურთელის დღიური შემოგთავაზოთ. ეს კვირა განსაკუთრებით დატვირთული გიორგი შერმადინისთვისაა (ამაზე კონკრეტულად თავად მოგვითხრობს), ამიტომ, დღიურის შევსება სლოვენიის „ოლიმპიას“ ქართველ ცენტრს ვთხოვე. ასე რომ, შეგვიძლია მომდევნო 7 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ერთად გადავიკითხოთ შერმადინის დღიურის თითო ფურცელი.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

დღიურის შედგენა რომ შემომთავაზეს, თავიდან დავფიქრდი, რა შეიძლებოდა ჩამეწერა, რაზე გამემახვილებინა ყურადღება და რა იქნებოდა მკითხველისთვის საინტერესო. ამასობაში ვაჟამ **მანუჩარ მარკოიშვილის** დღიურის ორი გვერდი გამომიგზავნა, ნავიკითხე და ძალიან დავინტერესდი - მანუჩარს მშვენივრად შეუდგენია დღიური. მინდა, ჩემი დღიურის წაკითხვის შემდეგაც მკითხველი კმაყოფილი დარჩეს.

■ ■ ■

ერთ მომენტში დავფიქრდი, რატომ შემომთავაზეს დღიურის შედგენა მაინცდამაინც ახლა, იანვარში?! ხომ შეიძლებოდა უფრო საინტერესო სეზონის დასკვნითი მონაკვეთი ყოფილიყო. თუმცა ბევრი ფიქრი არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ეს კვირა მართლაც საინტერესოა, მოვლენებით საკმაოდ დატვირთული.

დავიწყოთ ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბით - სამშაბათს ექიმებმა გვითხრეს, რომ ჩემი მეუღლე გოგონას ელოდება. აქამდე სქესი არ ვიცოდით. ძალიან გაგვიხარდა;

ხუთშაბათს ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ „ბარსელონას“ ვუმასპინძლებთ;

შაბათს ადრიატიკის ლიგაზე მეტად საპასუხისმგებლო მატჩი გველის - „ჰემოფარმს“ ვეთამაშებით;

კვირას, 30 იანვარს კი ევროპის ჩემპიონატის წილისყრაა. არავინ იცის ვინ მოხვდება ჩვენს ჯგუფში. არ ვიცი, 30-ში მეტოქეების ვინაობას რომ გავიგებ, რა შთაბეჭდილებებით დავიტვირთები, მაგრამ აზრს არც მერე შევიცვლი - ევროპის ჩემპიონატის ყოველ მატჩზე საბრძოლველად და მოსაგებად უნდა გავიდეთ, მნიშვნელობა არ აქვს მეტოქის ვინაობას.

■ ■ ■

კვირის დასაწყისიდან „ბარსელონასთან“ მატჩისთვის ვემზადებით. ორშაბათს ჩვენი ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრის, „ბარსელონა“-“მაქაბის“ ჩანაწერი გვიჩვენეს, რათა კატალონიელთა თამაშზე ზოგადი წარმოდგენა შეგვქმნოდა. სამშაბათს „ბარსელონასა“ და „ბილბაოს“ შორის დაპირისპირება განვიხილეთ. დღეს, საღამოს ვარჯიშზე, ალბათ, „ბარსას“ კალათბურთელებს კონკრეტულად დაგვიხასიათებენ, ვის რა პლუსი და მინუსი აქვს, უფრო ხშირად მარცხნიდან შედის, თუ მარჯვნიდან და ა.შ... მაგრამ, ვფიქრობ, პლუსებზე უფრო მეტს გველაპარაკებიან, ვიდრე მინუსებზე, რადგან საქმე „ბარსელონას“ ეხება, გუნდს სადაც ევროპის საუკეთესო კალათბურთელები არიან თავმოყრილნი, **ნავარო, ლორბეკი**... სხვათა შორის, ერაზემ ლორბეკის უმცროსი ძმა კლემენი ჩვენთან, „ოლიმპიაში“ თამაშობს, ერთი სული აქვს მისი ძმის გუნდი სლოვენიაში როდის ჩამოვა - უნდა მოვუგო და ბარსელონაში ისე გავუშვაო! ამ სეზონში ევროლიგაზე შინ არ წაგვიგია და მეც მინდა ტრადიცია არ დავარღვიოთ.

მოწინააღმდეგეთა პლუს-მინუსებზე რომ გველაპარაკებიან ხოლმე, ყოველთვის მაინტ-ერესებს, მეტოქის მწვრთნელი საკუთარ კალათბურთელებს ჩემს თამაშს როგორ უხასიათებს. მაგალითად, რას ეუბნება „ბარსელონას“ თავკაცი **ხავიერ პასკუალი ბონიფაც ნდონგს, კოსტა პეროვიჩსა** და **ფრან ვასკესს** ტანმაღალი ოლიმპიელების შესახებ. ...ბევრი რამ უშუალოდ თამაშისას გამოჩნდება.

■ ■ ■

ეს ჩანაწერები ოთხშაბათს შუადღისას შევასრულე, საღამოს ვარჯიშზე თუ რამე საინტერესო მოხდება, ხვალ დავწერ. „ბარსასთან“ მატჩის წინა დღეს, ოთხშაბათ დილას არაოფიციალური ვარჯიში გვქონდა - მწვრთნელმა გვითხრა, ვისაც გინდათ, მოდით და ივარჯიშეთო. მეც მივედი და სხვებთან ერთად ტყორცნებზე ვიმუშავე. შინ აქაური დროით 13:30 საათისთვის დავბრუნდი და ხარჩო დამხვდა. ჩემი მეუღლე ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. მიყვარს ნვნიანები, თან ორგანიზმისთვისაც საჭიროა. ხვალ შეგვიძლია ბორშჩზე დაგპატიჟოთ.

ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, დილის ვარჯიშის შემდეგ ყოველთვის ვიძინებ ხოლმე. ენერგიის აღდგენის საუკეთესო საშუალება სწორედ ძილია...

# ოლიმპიადა წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური სახეობები — ალვადგინოთ!

## ჩეხვა

**ცხენოსნური** სპორტის ეს სახეობა წარმოადგენს ხმლით ბრძოლისათვის მხედრის მომზადების დონის გამომჟღავნებას.

თამაშის წესი: საასპარეზო მოედანზე სიგრძეზე დადგამენ რამდენიმე მიზანს (წნელს, რგოლს, საჩხვლეტ ფიტულს და სხვა) ერთმანეთისაგან სათანადო მანძილზე დაშორებით. მათი ხმლით დაზიანებისათვის ინიშნება დრო.

მოასპარეზე მხედრები ჩადგებიან მწკრივში და შიშველი ხმლით ხელში მორიგეობით ნავარდით გაურბენენ საჩეხ ნიშნებს.

ზოგი მხედარი გამოდის ორი ხმლით. იგი სადავემიშვებულ გაწვრთნილ ცხენზე ამხედრებული ორი ხელით ჩეხავს მიზნებს — მარჯვნივ და მარცხნივ.

გამარჯვებული გამოდის ის მხედარი, რომელიც უმოკლეს ვადაში სუფთად დააზიანებს, დადგმულ მიზნებს.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ქალი საქართველოდან, რომელმაც სამბოში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა არის წყნეთელი **ნინო ოძელაშვილი.** ეს ტიტული მას თბილისში ხვდა წილად 2010 წლის ოქტომბერში. ფინალში ნინომ რუსეთის წარმომადგელს მოუგო.

**პირველმა** ქართველთაგან იალბუზი დალაშქრა **გიორგი ქავთარაძემ** 1891 წელს. იგი რუსეთის სამხედრო ტოპოგრაფების კორპუსის კაპიტანი იყო.

**პირველად** საქართველოს სპორტის ისტორიაში ზამთრის სახეობებში (ფიგურული ციგურაობა) ევროპის ჩემპიონატის მედალი (ბრინჯაო) **ელენე გედევანიშვილმა მოიგო.**

## თარიღი — 27 იანვარი – 2 თებერვალი



ნინო სალუქვაძე

**27.01.1956 წ.** დაიბადა **აფი გიგანი** — „თოვლის ჯიქად" წოდებული ალპინისტი, მეკლდეური, ევერესტზე ავიდა 1999 წელს.

**27.01.1907 წ.** დაიბადა **ლევ ძეკონსკი** — მოჭიდავე და მწვრთნელი. გივი კარტოზიას და ომარ ეგაძის აღმზრდელი. გარდაიცვალა 1981 წელს.

**28.01.1976 წ.** დაიბადა **ვახტანგ ნაცვლიშვილი** — კალათბურთი.

**29.01.1973 წ.** დაიბადა **პაატა გვასალია** — კრივი.

**30.01.1949 წ.** დაიბადა **ვიქტორ კრატასიუკი** — ნიჩბოსნობა. ოლიმპიური ჩემპიონი.

**31.01.1937 წ.** დაიბადა **ილარიონ ხაზარაძე** — კალათბურთი.

**31.01.1953 წ.** დაიბადა **ნოდარ ხიზანიშვილი** — ფეხბურთი.

**31.01.1938 წ.** დაიბადა **თამაზ ჩხარტიშვილი** — ხელბურთი (მსაჯი).

**1.02.1969 წ.** დაიბადა **ნინო სალუქვაძე** — ტყვიით სროლა. ოლიმპიური ჩემპიონი და ორგზის პრიზიორი.

**2.02.1945 წ.** დაიბადა **ჯემალ ხერხაძე** — ფეხბურთი.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. მურთაზ ხურცილავამ 69 მატჩი ჩაატარა სსრკ საფეხბურთო ნაკრებში. აქედან რამდენ შეხვედრას უკაპიტნა?**

ა – 9-ს
ბ – 12-ს
გ – 23-ს

**2. რიგით მერამდენე მსოფლიოს თასი მოიპოვა ტყვიით სროლაში ნინო სალუქვაძემ 2010 წელს?**

ა – მეოთხე
ბ – მეცხრე
გ – მეათე

**3. ვინ არის სუმოს ცნობილი ქართველი ოსტატი ტოჩინოშინი?**

ა – თეიმურაზ ჯულელი
ბ – ლევან ცაგურია
გ – ლევან გიორგაძე

**4. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რომელმა ვაჟმა ტანმოვარჯიშემ მოიპოვა პირველმა ოლიმპიური ჩემპიონობა?**

ა – რევაზ კაჭახიძემ
ბ – ვლადიმერ გოგოლაძემ
გ – პაატა შამუგიამ

**5. საქართველოში აღზრდილ-დაოსტატებული კალათბურთელებისგან ვინ მოიპოვა პირველმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული?**

ა – სერგეი კოვალენკომ
ბ – მიხეილ ქორეიამ
გ – ანზორ საკანდელიძემ

**პასუხები:** 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ.

იყო ასეთი შემთხვევა

## უნდა იცოდე, როდის გაშალო მკლავი

ცნობილი ჟურნალისტი **რაიმონდ მაჭავარიანი** წარსულში სახელოვან ფალავანს, აწ განსვენებულ **შოთა ლომიძესთან** ერთად თავსგადამხდარ ამბავს იხსენებს.

*„1982 წლის ხვატიანი ზაფხულია. იმერეთში მივდივართ... საჭეს შოთა უზის. ტაატით, ნება-ნება მიჰყავს მანქანა. ყველა ჩვენ გვისწრებს, ყველას ჩვენ ვუთმობთ გზას. განსაკუთრებით „უიგულები" გვიტევენ. ახალგაზრდების დამცინავი მზერა მიგვაცილებს... ეამაყებათ „ვოლგასთან" ორთაბრძოლის მოგება.*

*ერთმა მანქანამ გაბმული საყვირით მოგვთხოვა გზის დათმობა. სივიწროვე იყო და, ვიდრე გვერდზე გავდექით, კარგა დიდი მანძილი გავიარეთ. მოთმინებადაკარგულმა მძღოლმა და მისმა თანამგზავრებმა, გაგვასწრეს, მუშტები დაგვიქნიეს... შოთას შევხედე, ხომ არ იწყინა-მეთქი. საქმეში ხარ, — დევივით კაცი ბავშვივით ილიმება და ოხუნჯობს:*

*— რა უნდათ, თუ იცით, ჩვენგან?*

*— ნასვამები იქნებიან და აყალმაყალის მიზეზს ეძებენ, — მიუგო გვერდით მჯდომმა კარის მეზობელმა და მეგობარმა, ცნობილმა წყალბურთელმა* ***ირაკლი ჩხიკვაძემ.***

*— ხო, სულ მაგ ჭკუაზე ვარ, მაგათ გავუწერო მანქანა და თავი გავალახვინო...*

*— გალახვა ხომ მორევაზეა! — ჩავერთე ლაპარაკში.*

*შოთამ ერთხანს იყუჩა, შემდეგ კი სერიოზული სახით მიპასუხა, — ვიდრე მოითმინება, უნდა მოითმინო... ვინ იცის, რამდენი ჩხუბისთვის ამივლია გვერდი, მკლავი მაშინ უნდა გაშალო, როცა იცი, სხვა გამოსავალი არ არის და ცამდე მართალიც ხარ...*

საჭესთან იჯდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი კაცი! — დამთმობი, ლმობიერი, შემწყნარებელი.

ფოტო კომენტარით

ოლიმპიურ ძიუდოს 2014 წელს 50 წელი შეუსრულდება. 1964 წელს ეს იაპონური სპორტის ხალხური სახეობა პირველად ჩართეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. საგულისხმოა, რომ თავიდან ძიუდომ სწორედ იქ პოვა ნოყიერი ნიადაგი, სადაც ეროვნული ჭიდაობა იყო შემორჩენილი. მათ შორის იყო საქართველო თავისი განთქმული ქართული ჭიდაობით. არც ის იყო შემთხვევით, რომ ტოკიოს ოლიმპიადამდე ორი წლით ადრე, 1962 წელს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ჩართეს შვიდი ქართველი: **თ. არაბული, რ. ჯღამაძე, გ. ნონიკაშვილი, ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი, დ. ბერუაშვილი** და **ფ. ჩიქვილაძე.** ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიქვილაძე ტოკიოში მესამე პრიზიორები გახდნენ.

სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ სსრ კავშირის 1965 წლის ნაკრებია აღბეჭდილი: იმ წელს ეს გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. მარცხნიდან: I რიგში — ვ. ნატალენკო, ფ. ჩიქვილაძე, ა. ქიბროწაშვილი, ა. კიკნაძე, ა. კარაშუკი; II რიგში — ა. ბონდარენკო, ი. ციპურსკი, ო. სტეპანოვი, ვ. ანდრეევი (უფროსი მწვრთნელი), ა. ბოგომოლოვი, კ. რომანოვსკი, ვ. მასლოვი (მწვრთნელი).

ფოტო და ტექსტი მოგვაწოდა **გარუნ აკოპოვმა**

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ექვსი ერი

# პირველი ყველაფერი ძნელია




დენ პარქსი (მარცხნივ) და რორი ლამონტი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ეროვნული გუნდი ექვსი ერის გათამაშებისთვის ემზადება. „სკოტები" პირველ შეხვედრას 5 თებერვალს პარიზში გამართავენ საფრანგეთის ნაკრებთან.

„ნარშავების" ინგლისელ თავკაცს **ენდი რობინსონს** „ლე ბლეს" დამარცხების იმედი აქვს. შოტლანდიელებმა პარიზში უკანასკნელად 12 წლის წინ მოიგეს, იქამდე კი ფრანგთა მინაზე 42 წელინადი არ მოეგოთ. ინგლისელი თავკაცის მისვლით შოტლანდიის ნაკრებმა მცირე, მაგრამ პროგრესი მაინც განიცადა.

რობინსონის ბიჭებმა ბოლო ექვს თამაშში ხუთი შეხვედრა მოიგეს. წარმატებების სერია, რომელმაც სათავე შარშანდელი ექვსი ერის გათამაშებაში აიღო და ივნისის ტესტებზე გაგრძელდა, ნოემბერში ახალი ზელანდიის ნაკრებთან მარცხით დასრულდა. არგენტინის, ირლანდიისა და სამოას ნაკრებეთან მიღწეულმა წარმატებამ ენდის იმედი ჩაუსახა, რომ პარიზში გამარჯვების მიღწევა შეიძლება.

*„პირველი თამაში ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ ყოველთვის ძნელია. პრობლემა ისაა, რომ მოთამაშეები რამდენიმეთვიანი განშორების შემდეგ იკრიბებიან და შეთამაშება, რგოლებს შორის კავშირის აღდგენა უჭირთ. საჭიროა, სასწრაფოდ მოვძებნოთ თამაშის რიტმი, დავალაგოთ დაცვა, რათა მეტოქის შეტევების მოგერიება შევძლო. ამასთან, შეტევის ორგანიზებაზეც უნდა ვიფიქრო, რაც არანაკლებ რთულია.*

*არ ვიცი რა მოხდა ავსტრალიასთან მატჩში, რატომ წააგეს ფრანგებმა ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით (16:59). ამბობენ, რომ „ლე ბლეს" კრიზისი დაეწყო, მაგრამ ეს ასე არ არის. ფრანგებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, რომელსაც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. არც ის დაგავიწყდეთ, რომ საფრანგეთის ნაკრებმა შარშან დიდი სლემი შეასრულა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა პარიზში წარმატებას მივაღწიოთ,"* - თქვა ენდი რობინსონმა.

რობინსონმა შოტლანდიის ნაკრები უმძიმეს პერიოდში ჩაიბარა. მას „ნარშავებში" საკმაოდ მწირი პოტენციალის მოთამაშეები დახვდნენ. მას შემდეგ,მართალია გუნდი პროგრესს განიცდის, თუმცა ისეთი არაფერი ხდება, რომ სარაგბო სამეცნიერო ლიტერატურა ხელახლა გადაწერონ.

შოტლანდიის ნაკრების ძლიერ მხარედ ისევ რჩება შერკინება. რობინსონმა ძველ, ნაცად მოთამაშეებთან ერთად შედარებით ახალი, საკმაოდ ღონიერი და კარგად განსწავლული მორაგბეები, **ჯონ ველში, რობ ჰარლი** და **ჯეკ ქეთბერი** იხმო. სამივე მათგანმა მწვრთნელის სიმპათია ჯერ კიდევ ნოემბრის ტესტებისას დაიმსახურა და დღემდე ინარჩუნებენ ბრწყინვალე სათამაშო ფორმას.

რობინსონს გაცილებით მეტი თავსატეხი აქვს უკანა ხაზში. ტრავმების გამო გუნდს დააკლდებიან **გრემ მორისონი, კრის კაზიტერი, ფილ გოდმენი, ალასდაირ დიკინსონი** და **ჯიმ ჰემილთონი**. შოტლანდიელებისთვის კარგი ამბავი, ისაა, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ დაბრუნდა **ნიკ დე ლუკა.**

შოტლანდიელებს ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში „გლაზგოს" მეორეხაზელი **ალისტერ კელოკი** უკაპიტნებს. ამ 29 წლის მორაგბის მეთაურობით „ნარშავებმა" ივნისის ტესტებისას არგენტინა ტრიუმფით მოიარეს. რობინსონს სჯერა, რომ ტრავმამოშუშებული კელოკი გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია და „სკოტებს" გამარჯვებისკენ გაუძღვება.

*„კელოკის ლიდერის ხასიათმა გადამწყვეტი როლი ითამაშა არგენტინაში გუნდის მიერ მიღწეულ წარმატებაში. მუხლის მოშუშების შემდეგ დაბრუნებულმა კლუბში არაერთხელ წარმოაჩინა თავისი ხასიათი და თამაშის ბრწყინვალე უნარი. ვფიქრობ, კელოკს რელურად შესწევს ძალა გუნდი სწორი გზით ატაროს,"* - იმედოვნებს რობინსონი.

### შოტლანდიის ნაკრები

**შერკინება: ჯონ ბარკლი, ჯონი ბითი, კელი ბრაუნი, ჯოფ გროსი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰარლი, ნათან ჰინესი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მური ლოუ, სკოტ მაკლოიდი, ევან მურეი, როს რენი, რიჩი ვერნონი, ჯონ ველში.**

**უკანა ხაზი: ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, ჯეკ კუთბერტი, საიმონ დანიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, ალექს გროვი, რუარიდ ჯექსონი, გრეგ ლაიდლოუ, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, რორი ლაუსონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, ჰუგო საუთვილი, ნიკი ვოლკერი.**

მსოფლიო თასი

# ახალზელანდიელები ჰეიმენზე უარს ამბობენ




ახლახან გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს, ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი სფრანგეთში, „ტულონში" მოთამაშე შერკინების ბურჯ **კარლ ჰეიმენის** დაბრუნებას აპირებს, კავშირის პრეზიდენტმა **სტივ ტიუმ** უარყო.

„ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** დაადასტურა, რომ თუ 31 წლის ჰეიმენს ნაკრებში გამოიძახებენ, რათა სექტემბერში მსოფლიო თასზე ითამაშოს, კლუბი პრობლემას არ შეუქმნის.

კარლ ჰეიმენმა ეროვნულ ნაკრებში ბოლო, 45-ე მატჩში 2007 წლის მსოფლიო თასზე საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. მას შემდეგ „ოლ ბლექსის" 3-ნომრიანი მაისური ახალგაზრდა **ოუენ ფრენქსს** გადაულოცეს.

ჰეიმენი „ტულონში" შესანიშნავად ასპარეზობს, რამაც იმედი ჩაუსახა, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებში დაბრუნებას შეძლებს. თუმცა სტივ ტიუმ მისი სანაკრებო პერსპექტივა საეჭვოდ აქცია.

*„ჩვენ კარლთან მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ. უკვე რამდენი წელიწადია მას ახალ ზელანდიაში დაბრუნებას და კონტრაქტის გაფორმებას ვთხოვდით, მაგრამ მან „ტულონი" არჩია. ეს მისი გადაწყვეტილებაა. ჩვენთან კონტრაქტის გარეშე კი კარლი ეროვნულ გუნდში ვერ ითამაშებს,"* - თქვა ტიუმ.

27 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

### 1871 წელი

დაფუძნდა ინგლისის რაგბის კავშირი. ლონდონში სასტუმრო „პელ მელის" რესტორანში 21 კლუბის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომლებმაც ინგლისის რაგბის კავშირი დააარსეს. აქვე დამტკიცდა თამაშის ახალი წესები. ინგლისის რაგბის კავშირი მსოფლიოში ყველაზე ძველი სარაგბო გაერთიანებაა. ამ ორგანიზაციის პირველი გადასაწყვეტი პრობლემა იყო საკითხი, რაგბი სამოყვარულო დარჩებოდა თუ პროფესიული გახდებოდა. გადაწყდა, რომ რაგბი მოყვარულებს უნდა ეთამაშათ.

აღსანიშნავია, რომ 22-ე კლუბის, „ვოსფსის" ხელმძღვანელები თავყრილობაზე არ იყვნენ, რადგან მხოლოდ მეორე დღეს გამოცხადდნენ და თანაც სხვა სასტუმროში. ამიტომ არ არის „ვოსფსი" ინგლისის რაგბის კავშირის დამფუძნებელთა შორის.

### 1895 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა სეზონი უელსის ეროვნული გუნდის დამარცხებით დაიწყო - 5:4. ედინბურგში გამართულ შეხვედრაში ორი ლელო ფულ ბეკმა **ალან სმითმა** გაიტანა, გარდასახვა **რებერნ პლეისის** ანგარიშზეა.

### 1952 წელი

ირლანდიის ნაკრებმა პარიზში, „ოლიმბზე" საფრანგეთის ნაკრებს 11:8 მოუგო. სტუმართა გუნდიდან ორი ლელო **ჯიმი მაკარტიმ** გაიტანა. მათ შორის მეორე მთლიანად მისი დამსახურება იყო. ჯიმიმ მეტოქის ლელომდე 40 იარდი ირბინა და გზად ოთხ მოწინააღმდეგეს აუარა გვერდი. „სამყურების" დებიუტანტმა **ჯონ ნოტლიმ** გარდასახა, **ნოელ ჰენდერსონმა** კი ერთი საჯარიმო მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ირლანდიის ნაკრებმა პარიზში მხოლოდ ორჯერ მოუგო „ლე ბლეს".

ამავე დღეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა კარდიფში „ბარბაროსები" დაამარცხა - 17:3. მატჩის პირველი ტაიმი ფრედ 3:3 დასრულდა. შესვენების შემდეგ „ბარბაროსებმა" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, რისთვისაც „ბოკემ" დასაჯა კიდეც.

### 1963 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიის ნაკრებს 24:5 მოუგო. ფრანგთა გარემარბმა **კრისტიან დეროიმ** მეტოქეს სამი ლელო გაუტანა, კიდევ ერთი ლელო **გაი ბონიფასის** ანგარიშზეა. მასპინძელთა გუნდიდან ერთადერთი ლელო **ტონი ორაილის წილად** მოდის, რომელიც **ტომ კირნანმა** გარდასახა.

### 1997 წელი

ევროთასებზე „ჩელენჯ კაპის" პირველი გათამაშება ფრანგული გუნდების ჰეგემონიით წარიმართა. ფინალში, რომელიც ბეზიეში 10 ათასი ქომაგის თანდასწრებით გაიმართა, „ბურგუენმა" 18:9 მოუგო „კასტრს".

კრისტიან დეროი

დიდი რაგბი ესპანეთში

# კამპ ნოუ ოლიმპიურით შეიცვალა

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი, კატალონიური „პერპინიანი" „ჰაინეკენის თასის" გათამაშების მეოთხედფინალურ შეხვედრას **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან" 30 აპრილს, ბარსელონაში, „კამპ ნოუს" ნაცვლად ოლიმპიურ სტადიონზე გამართავს, რომელიც 55 ათას მაყურებელს იტევს.

იქამდე კი, 9 აპრილს „პერპინიანი" „კამპ ნოუზე" საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში ბასკურ „ბიარიცს" დაუპირისპირდება. ბიარიცელები თავის მხრივ, „ჰაინეკენის თასის" მეოთხედფინალში „ტულუზს" სან სებასტიანში, „ანოეტაზე" უმასპინძლებენ.

ირლანდიური „ლენსტერი" „ავივა სთედიუმზე" ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს" დაუპირისპირდება. ირლანდიელებმა განახლებულ „ლენსდაუნ როუდზე" უკვე ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. მათ ჯერ „მანსტერი" დაამარცხეს, ხოლო შემდეგ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი".

კიდევ ერთ მეოთხედფინალურ წყვილში, ინგლისური „ნორსჰემპთონი" შინ „ფრანკლინ გარდენის" ნაცვლად „მილტონ კეინესზე" უმასპინძლებს ირლანდიურ „ალსტერს".

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



msy.gov.ge

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# წინ ნახევარფინალებია

შვედეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მამაკაცებს შორის პლანეტის რიგით 22-ე პირველობაზე ხვალ ნახევარფინალები გაიმართება. ფინალში გასასვლელად საფრანგეთი შვედეთს შეხვდება, დანია - ესპანეთს. გადამწყვეტი მატჩი 30 იანვარს არის დანიშნული.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პლანეტის მოქმედი ჩემპიონი - საფრანგეთი ზედიზედ მეექვსედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში. ამასთან, ბოლო ხუთი ტურნირიდან ოთხში ამ გუნდმა მედლები მოიპოვა - ორი ოქრო და ორი ბრინჯაო...

ნახევარფინალისტთა ამ კვარტეტში შვედები ყველაზე ტიტულოვანები არიან - მათ ოთხჯერ აქვთ მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სკანდინავიელები 2001 წლის შემდეგ არ ყოფილან პრიზიორები. მაშინ შვედეთმა ფინალი მასპინძელ საფრანგეთთან წააგო.

დანია მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ზედიზედ მესამედ ითამაშებს. წინა ორ შემთხვევაში ისინი დამარცხდნენ: 2007 წელს ხორვატიაში ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ, ორი წლის წინ გერმანიაში „მცირე ფინალი" წააგეს პოლონეთთან.



საფრანგეთი ისევ ფავორიტია

ესპანეთმა თავისი ერთადერთი მედალი მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი წლის წინ ტუნისში მოიპოვა, თანაც მედალი უმაღლესი სინჯისა იყო.

**II ჯგუფური ეტაპი**

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ნორვეგია | 32:27 |
| გერმანია-ისლანდია | 27:24 |
| საფრანგეთი-უნგრეთი | 37:24 |
| ესპანეთი-ისლანდია | 32:24 |
| უნგრეთი-გერმანია | 27:25 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 31:26 |
| ნორვეგია-გერმანია | 35:25 |
| ესპანეთი-უნგრეთი | 30:24 |
| საფრანგეთი-ისლანდია | 34:28 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 160-129 | 9 |
| 2. ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 148-127 | 9 |
| 3. ისლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 137-141 | 4 |
| 4. უნგრეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 127-147 | 4 |
| 5. ნორვეგია | 5 | 1 | 0 | 4 | 133-143 | 2 |
| 6. გერმანია | 5 | 1 | 0 | 4 | 124-142 | 2 |

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-არგენტინა | 36:18 |
| შვედეთი-სერბეთი | 28:24 |
| დანია-პოლონეთი | 28:27 |
| შვედეთი-ხორვატია | 29:25 |
| დანია-არგენტინა | 31:24 |
| პოლონეთი-სერბეთი | 27:26 |
| ხორვატია-პოლონეთი | 28:24 |
| სერბეთი-არგენტინა | 26:25 |
| დანია-შვედეთი | 27:24 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 5 | 5 | 0 | 0 | 155-131 | 10 |
| 2. შვედეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 127-124 | 6 |
| 3. ხორვატია | 5 | 2 | 1 | 2 | 142-129 | 5 |
| 4. პოლონეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 123-129 | 4 |
| 5. სერბეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 127-139 | 3 |
| 6. არგენტინა | 5 | 1 | 0 | 3 | 117-139 | 2 |

მეორე რაუნდის ჯგუფებში ოთხ-ოთხმა საუკეთესო გუნდმა (ნახევარფინალისტების გარდა ესენი არიან: ისლანდია, უნგრეთი, ხორვატია და პოლონეთი) გაიანაღდა ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში თამაში. ლონდონის 2012 წლის თამაშების პირდაპირ საგზურს მხოლოდ გამარჯვებული გუნდი მიიღებს.

ამბები

**კალათბურთი**

## ბოში ორი კვირით თამაშგარეშია

ფერხდება „მაიამი ჰიტის" ერთ-ერთი ლიდერის **კრის ბოშის** მოედანზე დაბრუნება. ფორვარდს უფრო მეტი დრო სჭირდება ფეხის ტრავმის სამკურნალოდ, ვიდრე ამას თავიდან ვარაუდობდნენ.

„ჰიტის" მთავარი მწვრთნელის **ერიკ სპოელსტრას** თქმით, ბოში ჯერ მზად არ არის სრული დატვირთვებისთვის, ამიტომაც კიდევ ორი კვირის გამოტოვება მოუწევს.

## პოპოვიჩი ოლ სტარზე

„სან ანტონიო სპურსის" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი** „ყველა ვარსკვლავის მატჩში" დასავლეთი კონფერენციის ნაკრების მწვრთნელი იქნება - ნერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც „სან ანტონიომ" ორი დღის წინ „გოლდენ სტეიტი" დაამარცხა და დასავლეთში ლიდერობა განიმტკიცა.

ამ მოგებით „სპურსმა" თავის კონფერენციაში მინიმუმ 6 თებერვლამდე გაიანაღდა პირველი ადგილი. სნორედ ამ დღეს უნდა დასახელდეს „ოლ სტარის" მონაწილე გუნდების მწვრთნელები, თუმცა „სან ანტონიომ" თავის დამრიგებელს ეს უფლება ვადაზე ადრე გაუფორმა.

**პოლო**

## რუსს დისკვალიფიკაცია მისცეს

რუსი მეკარე **ევგენი ნაბოკოვი** ვერ ითამაშებს ამ სეზონში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. როგორც უკვე ვწერდით, ვეტერანი გოლკიპერი „ნიუ იორკ აილენდერსმა" აიყვანა, მაგრამ ნაბოკოვმა უარი თქვა აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუთსაიდერის რიგებში თამაშზე, ამიტომაც ნიუიორკულმა კლუბმა რუსს დისკვალიფიკაცია მისცა.

**ალიარება**

## ამერიკამ საუკეთესოები აირჩია

აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2010 წლის საუკეთესო სპორტმენები დაასახელა. მამაკაცებს შორის ყველა აჯობა ფიგურულ სრიალში ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ევან ლაისაჩეკმა**. ზამთრის თამაშებზე მან მთავარი ფავორიტი, რუსი **ევგენი პლიუშჩენკო** რთულ ბრძოლაში დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ქალებს შორის საუკეთესოდ დასახელდა სამთო-მოთხილამურე **ლინდსი ვონი**. შარშან ამ სპორტსმენმა ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს თასი და ვანკუვერში ერთი ოქროც მოიპოვა.

**კრივი**

## აღადგეკმა კლიჩკოები გამოიწვია

2011 წლისთვის კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლა დაიგეგმა. კერძოდ, ძმებმა კლიჩკოებმა მიიღეს პოლონელი მძიმეწონოსნის - **ტომაშ ადამეკის** გამოწვევა და მომავალ შეხვედრაზე კონტრაქტს მოაწერეს ხელი. თუმცა ჯერ უცნობია, რომელ ძმასთან გამართავს საჩემპიონო ბრძოლას პოლონელი მოკრივე.

სავარაუდოდ, შეხვედრა ადამეკის სამშობლოში, ევრო 2012 წლის ერთ-ერთ არენაზე სექტემბერში გაიმართება და ის ცნობილი ტელეარხის - HBO-ის ეთერში გადაიცემა.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი





გრიფინს უხეშობით აჩერებდნენ

# უფრო ქვემოთ აღარ შეიძლება

გუშინ ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან ყველაზე საინტერესო ალმოჩნდა მატჩი დალასში. „მავერიქსი" ბოლო დროს მომძლავრებულ „კლიპერსს" მასპინძლობდა. თუმცა კალიფორნიულ კლუბს, რომელმაც ბოლო 17 შეხვედრაში 12 მოიგო, თავისი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი - **ერიკ გორდონი** დააკლდა. სეზონის ბომბარდირთა სიაში მერვე ადგილზე მყოფმა 22 წლის მცველმა „გოლდენ სტეიტთან" მატჩში მაჯის ტრავმა მიიღო და სამი-ოთხი კვირით გამოაკლდა რეგულარულს.

საკადრო პრობლემების მიუხედავად, **ვინი დელ ნეგროს** შეგირდებმა კარგად დაიწყეს მატჩი, ინიციატივას დაეუფლნენ და პირველ მეოთხედში იგებდნენ - 13:4, 20:15 და 30:18... „დალასის" დამრიგებელი **რიკ კარლაილი** მიხვდა, რომ სასტარტოში **საშა პავლოვიჩის** დაყენებამ არ გაამართლა და ოპტიმალური ხუთეულის ძიება დაიწყო. მაგრამ მეორე მეოთხედის შუამდე მასპინძლებს მაინც არაფერი გამოსდიოდათ, „კლიპერსი" კი ნებისმიერი სიტუაციიდან აგდებდა და მალე 15-ქულიან უპირატესობას მიაღწია (40:25). მართალია, ამის შემდეგ სტუმრებს **ხოსე ბარესა** და **დირკ ნოვიცკის** რამდენიმე შეტევა გამოეპარათ, მაგრამ მაინც მაჟორულ ნოტზე დაასრულეს პირველი ტაიმი - **ბაირონ დევისის** ტყორცნის შემდეგ ანგარიში 62:54 გახდა.

ბუნებრივია, „დალასი" კმაყოფილი ვერ იქნებოდა 24 წუთში 62 ქულის გაშვებით. ამიტომაც გასახდელიდან დაბრუნებულმა „კოვბოებმა" დაცვა გაამკაცრეს და ეს კარგად გამოუვიდათ. „კლიპერსმა" მესამე მეოთხედში მხოლოდ 16 ქულის აღება შეძლო, „მავერიქსმა" კი **ტერის, ჩენდლერისა** და **სტივენსონის** მონდომებით 19:6 გაქცევა მოაწყვეს და ექვსი ქულით გავიდნენ წინ. ყველაფერთან ერთად **ბრენდან ჰეივუდმა** უხეშად შეაჩერა **ბლეიკ გრიფინი** და „კლიპერსის" ახალგაზრდა ლიდერს იდაყვის ტრავმა მიაყენა. ამის გამო დებიუტანტმა მეოთხე მეოთხედის დასაწყისი გამოტოვა, შემდეგ კი არც ისე დამაჯერებლად დაბრუნდა და მასპინძლებმა გაილაღეს.

მატჩში ინტრიგა საფინალო სირენამდე 6 წუთითა და 30 წამით ადრე გაქრა, როცა ნოვიცკისა და კომპანიის მორიგი სპურტი დასრულდა - 14:0. ანგარიში 103:86 გახდა და თამაშს აზრი დაეკარგა.

კრიზისი დაეწყო „იუტა ჯაზს". ამ გუნდს საშინელი გასვლითი ტურნე გამოუვიდა - „ვაშინგტონთან", „ნიუ ჯერსისთან", „ბოსტონთან" და „ფილადელფიასთან" მარცხის შემდეგ, **ჯერი სლოუნის** გუნდი ლოს ანჯელესში აპირებდა ამ სერიის შეწყვეტას, მაგრამ პასუხად დამცირება მიიღო. „ჯაზმენები" მოქმედ ჩემპიონთან 29 ქულით დამარცხდნენ. უკვე პირველი მეოთხედის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ „იუტას" იმ დღეს შანსი არ ჰქონდა. „ლეიკერსი" მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე დომინირებდა და აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდიოდა. პირველი მეოთხედის შემდეგ მასპინძლები 37:22-ს იგებდნენ. მათ ამის შემდეგაც გააგრძელეს შეტევითი კალათბურთის ჩვენება და დიდი შესვენებისთვის ანგარიში 66:38 გახდა, მესამე მეოთხედის შუა ნაწილისთვის კი სხვაობამ 33 ქულა შეადგინა. თამაში დამთავრებული იყო.

11 იანვარს „ლეიკერსთან" 57:112 წაგების შემდეგ „კლივლენდის" ფორვარდმა **ანტუან ჯეიმისონმა** განაცხადა, რომ მისი გუნდი ფსკერზე დაეშვა. როგორც აღმოჩნდა, კიდევ უფრო ქვემოთ დაშვებაც შესაძლებელი ყოფილა. გუშინ „კავალერები" „ბოსტონთან" დამარცხდნენ. ეს მათი ზედიზედ მე-18 წაგება იყო, ბოლო 29 მატჩში კი 28-ე მარცხი - ასეთი მონაკვეთი „კლივლენდს" თავის ისტორიაში არ ჰქონია. თუ ასე გაგრძელდა, **ბაირონ სკოტის** გუნდი „ნიუ ჯერსის" შარშანდელ რეკორდს მოხსნის.

**ვაშინგტონი-დენვერი 109:120**

**26:33, 30:35, 23:28, 30:24**

**ვ:** იანგი (26+5 მოხსნა), ბლეტჩი (25+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაკგი (11+7 მოხსნა), უოლი (10+13 პასი+5 მოხსნა), იანლიანი (10).

**დ:** ენტონი (23+7 მოხსნა), ნენე (21+9 მოხსნა), ჰარინგტონი (21+5 მოხსნა), აფლალო (18), ლოუსონი (17), ბილაპსი (15+6 პასი).

**ბოსტონი-კლივლენდი 112:95**

**34:26, 33:19, 24:24, 21:26**

**ბ:** პირსი (24), ალენი (18), დევისი (11+5 მოხსნა), რობინსონი (11), რონდო (11+5 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), გარნეტი (10+5 მოხსნა).

**კ:** აიენგა (15), სეშენსი (14+7 პასი), ჰარისი (14), ჰიქსონი (12+17 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ჯეიმისონი (11+7 მოხსნა), სამუელსი (10).

**დალასი-კლიპერსი 112:105**

**25:33, 29:29, 27:16, 31:27**

**დ:** ტერი (28), ბარეა (25), ჩენდლერი (21), ნოვიცკი (20+5 მოხსნა), მერიონი (10+10 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (22+11 მოხსნა), დევისი (21+6 პასი), ფოიე (15), გომესი (14).

**საკრამენტო-შარლოტი 89:94**

**19:21, 23:31, 25:24, 22:18**

**ს:** ევანსი (19+8 მოხსნა+5 პასი), ლენდრი (19), ტომპსონი (14).

**შ:** ჯექსონი (21), უოლასი (19+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოგუსტინი (16), ბრაუნი (13+18 მოხსნა).

**ლეიკერსი-იუტა 120:91**

**37:22, 29:16, 27:27, 27:26**

**ლ:** ბრაიანტი (21+6 პასი), გასოლი (20+7 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (19+11 მოხსნა+3 დაფარება), ოდომი (17+8 მოხსნა).

**ი:** უილიამსი (17+8 პასი), მაილზი (14+5 პასი+3 ჩაჭრა), მილსაპი (11+6 მოხსნა), ჯეფერსონი (10+9 მოხსნა), ევანსი (10).

ველოსპორტი

# ერთ წელს მისცემენ

ესპანეთის ველოსპორტის ფედერაცია დღეს გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას ტურ დე ფრანსის მოქმედი ჩემპიონის **ალბერტო კონდატორის** დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

გაზეთ „მარკას" ინფორმაციით, ესპანელ ველომრბოლს ერთწლიან სასჯელს მისცემენ. ხუთშაბათს გაიმართება ფედერაციის აღმასკომის სხდომა, სადაც გამოცხადდება კიდეც საბოლოო ვერდიქტი.

როგორც წესი, დოპინგის მიღებისთვის სპორტსმენებს ორწლიანი დისკვალიფიკაციით სჯიან, კონტადორის მიმართ ლმობიერი სასჯელის გამოტანა კი იმით არის განპირობებული, რომ აკრძალული პრეპარატი სპორტსმენის ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა. როგორც იცით, კონტადორი ამტკიცებს, რომ პრეპარატი კლენბუტეროლი მის ორგანიზმში უხარისხო ხორცის მიღების შემდეგ აღმოჩნდა. თუ ესპანელს ერთწლიან დისკვალიფიკაციას დაუმტკიცებენ, სასჯელი 2011 წლის 24 აგვისტომდე იქნება ძალაში. გარდა ამისა, ალბერტოს ტურ დე ფრანსის შარშანდელ ტიტულსაც ჩამოართმევენ. ამ შემთხვევაში, 2010 წლის ველომარათონის გამარჯვებულად ლუქსემბურგელი **ანდი შლეკი** გამოცხადდება, რომელიც ტურზე მეორე იყო.

ალბერტო კონტადორი

ამასთან, ალბერტო კონტადორის პრესატაშემ გუშინ განაცხადა, რომ ესპანური პრესის ეს ინფორმაცია - მხოლოდ ჭორია და არ ღირს მისი სერიოზულად მიღება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესპანეთის ფედერაციის ვერდიქტი შეიძლება საბოლოო არ იყოს. ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილების შეცვლა და სასჯელის გამკაცრება შეუძლიათ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირსა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# რაფა-სლემი არ იქნება

ავსტრალიის ღია პირველობის გუშინდელი დღის მომიხილვა ბოლოდან უნდა დავიწყოთ. გუშინდელი პროგრამის ბოლო მატჩში ერთმანეთს **რაფაელ ნადალი** და **დავიდ ფერერი** ხვდებოდნენ. ესპანელთა ურთიერთშეხვედრებში ნადალს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - 11:3. ბოლოს ფერერმა რაფას დამარცხება თავისი კარიერის საუკეთესო სეზონში - 2007 წელს ამერიკის ღია პირველობაზე შეძლო.

მიმდინარე ტურნირზე დავიდი ერთგვარად შეუმჩნევლად გავიდა მეოთხედფინალში, თუმცა მაღალი დონის ჩოგბურთს აჩვენებდა. უბრალოდ, მას გზად ერთი განთესილი ჩოგბურთელიც არ შეხვედრია. როცა **ენდი მიურეის** ჰკითხეს - როგორ განვითარდებოდა ამ მატჩში მოვლენები, ბრიტანელმა უპასუხა, რომ ხანგრძლივი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. უკვე მეორე გეიმმა (20 წუთი (!) გაგრძელდა) დაგვანახვა, რომ მართლაც დაძაბული დაპირისპირების მოწმენი ვიქნებოდით. ფერერი არაფერში ჩამოუვარდებოდა ნადალს, თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა უკანა ხაზზე და წარმატებით მიდიოდა შეტევაში. მესამე გეიმის შემდეგ რაფა რაღაცამ შეაწუხა და კორტზე ექიმი გამოიძახა. მთელი მატჩის განმავლობაში აშკარად ჩანდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი დისკომფორტს განიცდიდა და ექიმი პერიოდულად მიდიოდა მასთან რჩევების მისაცემად. ერთადერთი, რაშიც ფერერი მოიკოჭლებდა, ნერვების მოთოკვა იყო. პირველი ბრეიკის შემდეგ მაშინვე დათმო საკუთარი მონოდება, 5:3-ზე კი სეტზე ვერ ჩაანოდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფერერმა თავი ხელში აიყვანა და მოიგო პირველი პარტია, რომელიც საათსა და 10 წუთს გაგრძელდა.

ნადალი რომ წესრიგში არ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ იშვიათ ლამაზ დარტყმებზე ემოციას არ გამოხატავდა, არ ყვიროდა ტრადიციულ vamos-ს და მუდმივად დაღვრემილი უყურებდა ტრიბუნას, სადაც მისი გუნდის წევრები ისხდნენ. მიუხედავად ამისა, მეორე სეტი რაფას ბრეიკით დაიწყო. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამის შემდეგ ნადალი ზედიზედ რვა გეიმს (!) ნააგებდა. თითქმის ყველა გეიმში იბრძოდა, ჰქონდა გეიმბოლები და ბრეიკ-პოინტები, მაგრამ ფერერი ერთხელაც არ დაიბნა და თავისი ჩოგბურთის თამაში გააგრძელა.

პაუზებისას დავიდი პერიოდულად გახედავდა რაფას, თითქოს ელოდა, რომ ის თამაშიდან მოიხსნებოდა. ასეთი რამ შარშან ამავე სტადიაზე მოხდა, როცა ნადალმა ენდი მიურეისთან მატჩი ვერ დაასრულა. მას შემდეგ ესპანელს „დიდ სლემზე" არც ერთი მატჩი არ წაეგო, მაგრამ გუშინ შეწყდა ეს სერია. ნადალმა პატივი სცა თანამემამულეს და მატჩი ბოლომდე ჩაამთავრა, მესამე სეტში ისევ ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ რაფა არ იყო ამ მატჩის მომგები. 6:4, 6:2, 6:3 - ფერერმა თავის კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

რაფამ ვერ შეძლო „დიდი სლემის" ზედიზედ მეოთხე ტურნირის მოგება და არაკალენდარული „სლემის" (ჟურნალისტებმა მას „რაფა-სლემი" უწოდეს) შესრულება, რასაც მამაკაცთა ჩოგბურთში 1969 წლის შემდეგ არ ჰქონია ადგილი.

უფრო ადრე გაირკვა მესამე ნახევარფინალისტი, რომელთანაც ფერერს მოუნევს ფინალის საგზურისთვის ბრძოლა. ტურნირის მთავარი სენსაცია, **ცონგასა** და **სიოდერლინგის** მძლეველი უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** მორიგ გამოცდას აბარებდა ენდი მიურეის წინააღმდეგ. აქამდე ეს ჩოგბურთელები ერთხელ - ოთხი წლის წინ, დევისის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ბრიტანელმა იოლად გაიმარჯვა.

პირველივე გეიმში დოლგოპოლოვმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ მარტივ სიტუაციაში ვერ შეძლო მისი რეალიზება. ენდიმ ამის გამო დასაჯა მეტოქე, 4:1 დაწინაურდა, თუმცა პარტიის იოლად აღება არ გამოუვიდა. უკრაინელმა ბრძოლა გაუმართა მიურეის და სეტის ბედი ბოლოსკენ გადაწყდა - ენდიმ დიდი გაჭირვებით აიცილა თავიდან ტაი-ბრეიკი - 7:5.

თანაბარი ჩოგბურთი მომდევნო სეტში გაგრძელდა და მისი ბედი პრაქტიკულად ერთმა გათამაშებამ გადაწყვიტა - დოლგოპოლოვმა მეოთხე გეიმში 40:15-ზე ისევ იოლი ბურთი ვერ ჩააგდო და ბრეიკი გააკეთებინა მეტოქეს. შოტლანდიელმა უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა - 6:3.

მიურეის თითქოს იოლად უნდა მიეყვანა გამარჯვებამდე საქმე, რადგან მესამე პარტიაში ბრეიკით დაწინაურდა. ამ მომენტში უკრაინელი ძალიან ბევრს ცდებოდა, დაღლაც დაეტყო... მატჩი ლოგიკური დასასრულისკენ მიდიოდა, როცა დოლგოპოლოვს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მან გაათანაბრა ანგარიში და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. იქ დაბნეულმა მიურეიმ ცუდად ითამაშა და ტურნირზე პირველი სეტი წააგო - 6:7(3:7).

უკრაინელმა მესამე სეტში გარდატეხა შეიტანა, მაგრამ მთლიანად მატჩში ამის გაკეთება ვერ შეძლო. მიურეი გონს მოეგო და მეოთხე პარტიის სტარტზე ზედიზედ 14 (!) გათამაშება მოიგო, 4:0-ის შემდეგ კი ოდნავ მოეშვა, დოლგოპოლოვი მეტოქეს გამოეკიდა, მაგრამ დანევა ვერ მოახერხა - 6:3.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალური წყვილი გაირკვა ქალთა ბადეში. გუშინდელი შეხვედრები ორ სეტში დასრულდა და ორივეში ფავორიტებმა იძალეს.

რუსმა **ვერა ზვონარევამ** ისე დაიწყო **პეტრა კვიტოვასთან** მატჩი, რომ იქ წესით ბრძოლა არ უნდა ყოფილიყო. ჩეხის ათმა შეცდომამ მსოფლიოს მეორე ჩოგანს სულ მცირე დროში 4:0 დაწინაურების საშუალება მისცა. კვიტოვა მხოლოდ მცირე ხნით გამოვიდა კრიზისიდან და ზედიზედ ორი გეიმი აიღო. მას შეეძლო ამ სერიის გაგრძელება, მაგრამ რუსი დროულად გაქტიურდა და ნახევარ საათში პირველი სეტი მოიგო - 6:2.

მეორე პარტიის დასაწყისი პირველს ჰგავდა: ზვონარევა თავიდანვე 3:0 დაწინაურდა და აქ მოხდა უცნაური რამ - ჩეხმა რუსის ამ გაქცევას ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით უპასუხა. ვერას სიტუაციის გამოსასწორებლად განსაკუთრებული გზების ძებნა არ დასჭირვებია, რადგან კვიტოვას წარმატებული თამაში დასრულდა, შეცდომებს უმატა და ზვონარევამ სამი გეიმის აღებით - 6:2, 6:4 გაიმარჯვა.

ამის შემდეგ კორტზე **კიმ კლაისტერსი** და **აგნიეშკა რადვანსკა** გავიდნენ. ბოლო მატჩებში ბელგიელი ფავორიტის თამაში მაინცდამაინც ხარისხიანი არ ყოფილა - კიმი 30-40 უნებლიე შეცდომას უშვებდა. თუმცა პირველი სეტის სტარტზე კიმს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - ორმაგი ბრეიკით 4:1 გავიდა წინ. ერთი ბრეიკი პოლონელმა დაიბრუნა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოასწრო - 3:6.

მეორე სეტში რადვანსკამ თავიდანვე არ გაუშვა წინ მეტოქე, მიუხედავად იმისა, რომ კლაისტერსს თითქოს ყველა გეიმში ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. კიმმა 3:2-ზე შეძლო მორიგი ბრეიკის გაკეთება და როგორც ჩანს, ნაადრევად დარწმუნდა თავის გამარჯვებაში. ამან ბელგიელს ცუდი სამსახური გაუწია და რადვანსკამ 5:4-ზე სეტზე ჩაწოდების შანსი მიიღო. პოლონელი 30:0 დანინაურდა და ისევ შეტრიალდა პარტიის ბედი - ამჯერად კლაისტერსის სასარგებლოდ. ტაი-ბრეიკზეც დაძაბული ბრძოლა იყო იქამდე, სანამ კიმმა ოდნავ არ მოუმატა თამაშს და შემოკლებული გეიმი თავის სასარგებლოდ არ დაასრულა - 6:3, 7:6(7:4).

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:4, 6:2, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) 7:5, 6:3, 6:7(3), 6:3.

**1/2 ფინალი**

დავიდ ფერერი (ესპ, 7)-ენდი მიურეი (ბრიტ, 5); როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3).

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25) 6:2, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12) 6:3, 7:6(4).

**1/2 ფინალი**

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-ნა ლი (ჩინ, 9); ვერა ზვონარევა (რუს, 2)-კიმ კლაისტერსი (ბელ, 3).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

რაფა იმედგაცრუებულია

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მაჯრები**

| | |
|---|---|
| აუსტრია-დინამო (გ) | 3:0 |
| რიდი-დაჩა | 2:1 |
| გაზელი-ვოლენი | 3:0 |
| ბელინცონა-კრინსი | 0:1 |
| ძსამაძსი-ბილი | 5:0 |
| თუნი-ლოზანა | 1:0 |
| ლოკომოტივი (ა)-ლეხი | 0:4 |
| ზალცბურგი-გრიოდიგი | 3:0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ფულჰემი | 1:0 |

**ინგლისის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი. II მაჯრი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 2:1 დ.დ. 3:1 (1:2) |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| სამპდორია-მილანი | 1:2 |
| ნაპოლი-ინტერი | 0:0 პენ. 4:5 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტენერიფე-გრანადა | 2:2 |

**ესპანეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მაჯრები**

| | |
|---|---|
| სევილია-რეალი | 0:1 |
| ბარსელონა-ალმერია | 5:0 |

**გერმანიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დუისბურგი-კაიზერი | 2:0 |
| კოტბუსი-ჰოფენჰაიმი | 1:0 |
| ალემანია-ბაიერნი | 0:4 |

**პოლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-ჰსვ ეინდჰოვენი | 1:1 პენ. 8:7 |
| უტრეხტი-გრონინგენი | 3:2 |

**პორტუგალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| რიუ ავე-ბენფიკა | 0:2 |
| პორტუ-ნაციონალი | 3:0 |

**ბელგიის თასი**

**1/4 ფინალი. I მაჯრები**

| | |
|---|---|
| სერკლი-ბეერსხოტი | 2:0 |
| სტანდარდი-მეხელენი | 2:0 |
| ვესტერლო-ლიერსი | 1:2 |
| ვოლუვე-გენტი | 0:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სელტიკი-ჰარტსი | 4:0 |
| ჰიბერნიანი-რენინჯერსი | 0:2 |
| ინვერნესი-აბერდინი | 0:2 |
| სტ. ჯონსტონი-მოზერველი | 1:0 |
| სტ. მირენი-დანდი იუნ | 1:1 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| დენიზლი-ანტალია | 2:2 |
| გაზიანთეფი-სქერი | 2:0 |
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 2:1 |
| მანიშა-ბბ გაზიანთეფი | 1:2 |
| ძასიმფაშა-ბურსა | 3:1 |
| ძირიხანი-ძარსიაძა | 2:5 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნიუთაუნი-ლანელი | 0:0 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ომონია | 2:2 |
| არისი-აელ | 0:0 |
| ენოსისი-ალკი | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი-აეპ | 3:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი | 64:71 |
| კახა ლაბორალი-ლ. რიტასი | 86:89 |
| პარტიზანი-ეფესი | 76:79 |
| მონტეპასკი-რეალი | 68:78 |

**ჰოკეი**

**KHL**

| | |
|---|---|
| ტორპედო-ვიტიაზი | 4:0 |
| სპარტაკი-ცსკა | 3:1 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 4:3 |

● TV პროგრამა

**27 იანვარი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**16:55** ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი-ყაზახეთი. რუსეთი (LIVE).
**22:55** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. მაკაბი-რომა (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:25** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები. მელბურნი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-ვალენსია (LIVE).
**05:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჰიუსტონი (LIVE).

**SPORT+**

**19:55** ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი-შვედეთი. რუსეთი (LIVE).
**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. პანათინაიკოსი-უნიკახა (LIVE).

**EUROSPORT**

**12:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები. მელბურნი (LIVE).
**17:00** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მოკლე პროგრამა. ბერნი. შვეიცარია (LIVE).
**21:45** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. ბერნი. შვეიცარია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** საბხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. 5 კმ. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
**14:30** საბხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). 10 კმ. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
**23:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. XV ტური. რომა-ვიბო ვალენტია (LIVE).

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-ანაჰაიმი 2:3**

1:2, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 სელიანე-15 (რაიანი-17, ვიშნოვსკი-34), 0:2 ფაულერი-5 (ვიშნოვსკი-35, ს. კოიეუ-15), 1:2 ნეში-23 (ბრასარი-22, კლიტსომი-4), 1:3 ჯ. ბლეიკი-10 (ს. კოიეუ-16, სელიანე-30), 2:3 ბრასარი-12 (ვორაჩეკი-23, ტიუტინი-14).

**რეინჯერსი-ფლორიდა 3:4**

0:1, 1:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ოლეში-4 (ჰიგინსი-9, ვიდემანი-19), 1:1 სტეპანი-14 (ვოლსკი-14, ცუკარელო-6), 1:2 ელერბი-1 (კულიკოვი-12, მატასი-10), 1:3 სანტორელი-13 (ალენი-7, დვორაკი-11), 2:3 პრუსტი-7 (ზაუერი-5, ცუკარელო-7), 3:3 ბ. ბოილი-18 (გაბორიკი-15, ცუკარელო-8), 3:4 უივერი-2 (ოლეში-10, სანტორელი-14).

**ფილადელფია-ვონრეალი 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-23 (მ. რიჩარდსი-29, პრონგერი-14), 2:0 ტიმონენი-3 (პრონგერი-15, მ. რიჩარდსი-30), 3:0 კარჩილო-3 (პრონგერი-16), 3:1 დეშარნე-3 (გილი-5, დერჩი-11), 4:1 ფირუ-19 (პარტნელი-17, ბრიერი-19), 4:2 დერჩი-9 (მოენი-6, ჰამრლიკი-17), 5:2 ბრიერი-26 (პრონგერი-17, ბობროვსკი-2).

**პიტსბურგი-აილენდერსი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ადამსი-3 (ჯეფრი-2, ეშემი-5).

**ოტავა-ბაფალო 2:3 (ოს)**

1:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კ. კელი-11 (ფოლინო-11), 1:1 ბირონი-1 (ენისი-16, სტეფორდი-9), 1:2 ჰეხტი-8 (მიერსი-15, ვანეკი-22), 2:2 გონჩარი-6 (ე. კარლსონი-20, ფიშერი-9), 2:3 შ. მორისონი-1 (პომინვილი-17, ვანეკი-23).

**ტამპა ბეი-ჰორონტო 2:0**

2:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 საიმონ განიე-9 (ჰედმანი-17, პურსელი-22), 2:0 პურსელი-8 (ბ. კლარკი-11, ბერგენჰაიმი-11).

**ჩიკაგო-მინესოტა 2:4**

2:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პაელატი-14 (ბროძიაკი-10), 1:1 შარპი-26 (ჰ. კეინი-24, ტუუზი-22), 2:1 ბროუერი-15 (ტუუზი-23, ბ. კემპბელი-16), 2:2 კობესიუ-9 (სპარჯონი-1, ბუშარი-12), 2:3 მიეტინენი-9 (ბრუნეტი-16, მ. კოიეუ-29), 2:4 ბუშარი-4 (კუელენი-21, კობესიუ-4).

**ფინიქსი-ედმონტონი 3:4**

0:1, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 აპშოლი-13 (იენდლი-34, სტემპნიაკი-13), 2:0 ტარისი-8 (რეი უიტნი-26, იენდლი-35), 2:1 დაკი-3 (სტორტინი-4, ფოსტერი-9), 2:2 ჰოლი-16 (ჰორკოფი-9, პეტრი-2), 2:3 უმარკი-3 (სემ განიე-18, პაიარვი-13), 3:3 აპშოლი-14 (დოუნი-22, ტარისი-8), 3:4 პენერი-15 (ჰოლი-14, ჰორკოფი-10).

# დასვი შეკითხვა...

## და წაიკითხე პასუხი Q&A ჩვენს გაზეთში

კითხვები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com
ან მოიტანეთ მისამართზე: იოსებიძის 49.




***რატომ არ არსებობს ფორმულა 1-ში ბოლიდი მე-13 ნომრით?***

იმიტომ, რომ რიცხვი „13“ უიღბლოდ არის მიჩნეული. საერთოდ, ევროპაში არ უყვართ კენტი რიცხვები. მაგალითად, იტალიელებისთვის უბედურების მომტან რიცხვად „17“ მიიჩნევა. 1970 წლამდე რამდენიმე გრან-პრიზე მონაწილეები მხოლოდ ლუწ რიცხვებს იყენებდნენ. სულ მსოფლიოს ჩემპიონატში მე-13 ნომერი ხუთმა ადამიანმა გამოიყენა:

- **მორიც ფონ შტრახვიცი**, 1953 წელს გერმანიის გრან-პრის წინ ვარჯიშის დროს;
- **კლივ ტრანდელი**, 60-იან წლებში სამხრეთ აფრიკის ეტაპების დროს, რომელიც ჩასათვლელ რბოლებში არ შედიოდა;
- **კარელ გოდენ დე ბოფორი**, 1962 წელს ჰოლანდიის გრან-პრის წინ ვარჯიშის დროს;
- **მოისეს სოსლანა**, 1963 წელს მექსიკის გრან-პრიზე;
- **დივინა გალიკა**, 1976 წელს ბრიტანეთის გრან-პრიზე.

***როგორ განისაზღვრება მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე ყველა წონითი კატეგორიის გათვალისწინებით? ვინ არის დღეს პლანეტის საუკეთესო მოკრივე?***

ტიტული - „მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე“ საკმაოდ პირობითი ცნებაა, და მიუხედავად ამისა, ბევრი მოკრივე ცდილობს ამ სტატუსის მოპოვებას. ბუნებრივია, წონით კატეგორიებად დაყოფილი მოკრივეები ერთმანეთს რინგზე ვერ ხვდებიან. ყოველ წონას თავისი ჩემპიონი ჰყავს. მაგრამ რომელია ამ ჩემპიონებს შორის „ყველაზე ჩემპიონი“?

ამის გასარკვევად მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) შეიმუშავა სპეციალური რეიტინგი. აქამდე ამ კლასიფიკაციას სათავეში **ფლოიდ მეივეზერი** ედგა (სანამ კარიერას არ დაასრულებდა). ახლა კი საუკეთესოს ტიტული ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მფლობელობაშია.

შარშან „პაკმენმა“ ორი ბრძოლა ჩაატარა, ორივე მოიგო და მერვე წონით კატეგორიაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ის პირველი აზიელი მოკრივეა, ვინც პროფესიულ რინგზე ასეთ წარმატებას მიაღწია.

***სპორტის რომელ სახეობაშია ყველაზე მეტად გავრცელებული თაღლითობა?***

სპორტულ შეჯიბრებებში თაღლითობა - არც ისე იშვიათი მოვლენაა, თუმცა ამასთან დაკავშირებით კვლევა არასოდეს ჩატარებულა. სავარაუდოდ, ყველაზე ხშირად თაღლითობას მარათონში აქვს ადგილი.

მოკლე და საშუალო მანძილებზე რეგულარულად იჭერენ სპორტსმენებს დოპინგზე, მაგრამ, როცა გასარბენი მანძილი 42 კილომეტრია, ხანდახან შეჯიბრების დროს საოცარი ამბები ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარბენს მასიური ხასიათი აქვს და მონაწილეთა რაოდენობა ათასობით განისაზღვრება. ავიღოთ მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე დიდი - ნიუ იორკის მარათონი. ამერიკის კრიმინალისტიკის ინსტიტუტმა ამ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა შეემოწმებინა - რამდენი მონაწილე გარბის პატიოსნად 42 კილომეტრს სტარტიდან ფინიშამდე და რამდენი მარათონელი იყენებს თაღლითობას გამარჯვების მოსაპოვებლად. კვლევის დროს სიცრუის დეტექტორი გამოიყენებოდა. დასკვნამ ნიუ იორკის მარათონის ორგანიზატორთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხუთი წლის განმავლობაში შემონმება დაახლოებით რვა ათასმა მარათონელმა გაიარა და აქედან 5 ათასი „მატყუარა“ აღმოჩნდა.

აკრძალული ილეთებიდან ყველაზე გავრცელებულია - გარბენის დროს „დუბლიორის“ გამოყენება და გარკვეული მანძილის ტრანსპორტით გავლა. ამ მხრივ, საინტერესო და სახალისო ფაქტები მრავლად მოიპოვება. ამჯერად ორ ასეთ შემთხვევაზე გიამბობთ.

1991 წლის 15 სექტემბერს ტრადიციული ბრიუსელური მარათონის მონაწილეებს შორის იყო ალჟირელი **აბას ტეჰამი**. მან და მისმა მწვრთნელმა ასეთი „ტაქტიკა“ აირჩიეს: საწყის სტადიაზე ტეჰამის ნომრით მისი მწვრთნელი გარბოდა, დისტანციის შუაში კი მას უშუალოდ მარათონელი ცვლიდა. თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. დასვენებული ტეჰამი იოლად დაეწია დაღლილ ლიდერებს, გაუსწრო მათ და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მაგრამ აპლოდისმენტების ნაცვლად, ალჟირელმა სტვენა დაიმსახურა. ნომრის გადაცემის ფანდმა არ გაამართლა: ალჟირელებმა აშკარად, სხვა მორბენლების თვალწინ გაცვალეს როლები და კონკურენტებმა ამის შესახებ ტრასაზე მყოფ მსაჯებს შეატყობინეს. იგივე გააკეთეს მაყურებლებმა, რომლებსაც არ გამორჩენიათ მარათონში თაღლითი **სტაიერის** მონაწილეობა. ორგანიზატორებმა მისი დისტანციიდან მოხსნა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად. ტეჰამის არაფერი შეატყობინეს და ფინიშამდე მისვლის საშუალება მისცეს. მხოლოდ ამის შემდეგ საჯაროდ შეარცხვინეს და გამარჯვება ჩამოართვეს.

როცა გარბენი დიდ ქალაქში იმართება, მორბენლებს აქვთ ცდუნება პროგრესს საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით მიაღწიონ. ასე მაგალითად, 1980 წელს ბოსტონის მარათონის დროს ვინმე **როზი რუისმა** იმ დროისთვის ფენომენალური შედეგი აჩვენა - 2 საათი, 31 წუთი და 56 წამი. მის შემთხვევაში ტყუილი მოგვიანებით გამოააშკარავეს. გაჩდნენ მოწმეები, რომლებმაც შეამჩნიეს, როგორ ჩავიდა რუისი მეტროში. გაირკვა, რომ მან მთელი დისტანციის სამი მეოთხედი მატარებლით გაიარა. როზის დისკვალიფიკაცია მისცეს და მთავარი პრიზი დააბრუნებინეს.

ნიუ იორკის მარათონი

ზოგჯერ მოთამაშეები შიშვლები ტოვებენ მოედანს

***რამდენი მაისურის ჩუქება შეუძლია ფეხბურთელს გულშემატკივრებისთვის?***

სერია A-ში ფეხბურთელებს ყოველი ოფიციალური მატჩისთვის ორ მაისურს აძლევენ, რომლიდანაც მოთამაშეს შეუძლია ერთი მეტოქეს გაუცვალოს ან გულშემატკივარს აჩუქოს. მთელი სეზონის განმავლობაში სერია A-ს მოთამაშისთვის განკუთვნილი მაისურების საერთო რაოდენობა, იმ კლუბზეა დამოკიდებული, რომელშიც ეს ფეხბურთელი გამოდის. საშუალოდ ეს რიცხვი 38-დან 76-მდე მერყეობს, ზოგიერთ კლუბში კი ასამდე ადის.

მაგალითად, „ლაციოში“ დამკვიდრებულია მაისურების გაცემის ზემოთ ნახსენები წესი. „ინტერში“ ყოველი ოფიციალური მატჩის წინ სამ-სამი მაისურა გაიცემა: ერთი პირველი ტაიმისთვის, მეორე - მეორე ტაიმისთვის, ხოლო მესამე ფეხბურთელმა შეიძლება თავისთვის დაიტოვოს ან გულშემატკივარს აჩუქოს. „იუვენტუსში“ მოთამაშის საკუთრება ხდება მატჩისთვის გაცემული ორივე მაისურა. ასეთივე სქემაა „ნაპოლიში“. „ფიორენტინაში“ კი ფეხბურთელებს თავიდანვე ურიგებენ მთელი სეზონისთვის განკუთვნილ „სასაჩუქრე“ მაისურებს. თუ ეს მაისურები ფეხბურთელებს ვადაზე ადრე გაუთავდებათ, „ფიორენტინას“ მოთამაშეები მას საკუთარი ხარჯით იძენენ.

ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბევრმა კლუბმა მნიშვნელოვნად შეამცირა გულშემატკივრებისთვის განკუთვნილი მაისურების რაოდენობა. ხოლო იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ამოწურეს „სასაჩუქრე“ მაისურების ლიმიტი, ფორმის შეძენა 60-90 ევროს საფასურად შესთავაზეს. „კატანიაში“ კი გულშემატკივრებს მაისურებს საერთოდ აღარ ჩუქნიან.



***რა მაქსიმალური სიჩქარით მიფრინავს ბურთი მაგიდის ჩოგბურთში?***

სპორტის ამ სახეობის არსებობის ისტორიაში ბურთი რამდენჯერმე შეიცვალა. ეს მხოლოდ ფერს არ შეეხება (2007 წლიდან დადგინდა, რომ ტურნირებზე მხოლოდ თეთრი ფერის ბურთები უნდა გამოიყენონ). შეიცვალა ზომა: ადრე ბურთის დიამეტრი 38 მილიმეტრი იყო და ორ გრამზე ოდნავ მეტს იწონიდა. ასეთი ბურთით მაქსიმალური დაფიქსირებული სიჩქარე იყო საათში 175 კილომეტრი. 2000 წელს დიამეტრი გაიზარდა და 40 მილიმეტრს მიაღწია, წონა 2.7 გრამამდე აიწია. შესაბამისად, ბურთის სიჩქარემ ცოტათი იკლო და ახლა 140-150 კმ/სთ-ს არ აღემატება.

***ცნობილია, რომ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა - ცაციაა. რომელი ხელით ობამაშიბსის კალათბურთს და რომელ საკალათბურთო გუნდს გულშემატკივრობს?***

**ბარაკ ობამა** დრიბლინგსა და ტყორცნებს მარცხენა ხელით ასრულებს, თუმცა ბურთს მარჯვენა ხელითაც კარგად ატარებს. ობამა საკმაოდ კარგად თამაშობს, ოღონდ საკუთარ შესაძლებლობებს მოკრძალებულად აფასებს და არ აჩვენებს ყველაფერს, რაც მოედანზე შეუძლია. *„მხიარული ადამიანია, მაგრამ რეალურად საკმაოდ ხისტი, დისციპლინირებული კალათბურთელი გახლავთ და გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს“*, - ამბობს პრეზიდენტის ერთ-ერთი პარტნიორი. როცა ობამას მომავალმა მეუღლემ - **მიშელმა** ბარაკთან შეხვედრა დაიწყო, მან თავის ძმას - ასევე კოლეჯის მოთამაშეს მომავალი პრეზიდენტის მოედანზე გამოცდა დაავალა. ძმამ თამაშის შემდეგ მიშელს უთხრა - მისი ბოიფრენდი თავის თავში დარწმუნებული და არაეგოისტი ადამიანია. წინასაარჩევნო კამპანიისას ბარაკ ობამამ არაერთხელ გამოამჟღავნა თავისი საკალათბურთო თვისებები.

*„ამერიკელებს არ სჭირდებათ სუსტი პრეზიდენტი“*, - ამბობს პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი **ტიმ ბლესინგი**. სახელმწიფოს პირველ პირს ხომ დღეში 14 საათი მუშაობა უნევს. ბევრი პოლიტიკოსი ვერ უძლებდა ასეთ რეჟიმს და ეს მათ ჯანმრთელობაზე აისახებოდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ობამას სპორტისთვის თავი არ დაუნებებია. ერთხელ კალათბურთის კომენტატორის როლშიც მოგვევლინა: ეს საუნივერსიტეტო ლიგის მატჩში მოხდა, რომელშიც ერთმანეთს „დიუკი“ და „ჯორჯთაუნი“ ხვდებოდნენ.

ამერიკის პრეზიდენტი „ჩიკაგო ბულზს“ გულშემატკივრობს.

ობამა ორივე ხელით თამაშობს

***როდის შემოიღეს ფორმულა 1-ში პიტლეინზე სიჩქარის შეზღუდვა?***

პიტლეინზე სიჩქარის შეზღუდვა მას შემდეგ შემოიღეს, რაც 1993 წელს, დონინგტონში ევროპის გრან-პრის დროს **აირტონ სენამ** პიტლეინის გავლით აჩვენა საუკეთესო წრე, რადგან ამ გზით მანძილი უფრო მოკლე გამოდიოდა. ბრაზილიელს ეს შეგნებულად არ გაუკეთებია. წვიმის საბურავის შესაცვლელად პიტ-სტოპზე შესვლას აპირებდა, მაგრამ ისევ წვიმა წამოვიდა, ბრაზილიელი აღარ გაჩერდა და ბოქსები სრული სიჩქარით გაიარა.

ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ პიტლეინზე სიჩქარის შეზღუდვა შემოიღო.

გეორდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**